ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 22 აპრილი 1999 №72 (845) | ფასი 1 ლარი


## თვრამეტწლამდელები ისევ ყოჩაღობენ

ლაშა ჯაკობიას წყვილმა გოლმა ქართველი თვრამეტწლამდელები ჩეხეთთან ფრედ ათამაშა

## დიდი გადასახლება

ალესანდრო დელ პიეროს თვალი ინტერისკენ უჭირავს. „იუვენტუსის" ვარსკვლავმა ზაფხულში შესაძლოა მარჩელო ლიპისკენ გასწიოს



## ლოკომოტივის ქართველი თავდამსხმელი ზაზა ჯანაშია (რ)ომში მიდის

## დიდი ქართული გუნდის აღსასრული




## დღეს ევროლიგის ფინალია

„კინდერი" ტიტულს დებიუტანტი „ჟალგირისისგან" დაიცავს

## ფინალი. 26 მაისი. ბარსელონა. კამპ ნოუ

# ბაიერნი — მანჩესტერი




ბაიერნი — დინამო 1:0. შტეფან ეფენბერგი (№11) ბოლომდე იბრძოდა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

უპ, ნუ იტყვით! კარგა ხანია, ასეთი დაძაბული, ემოციური და ამაღელვებელი ღამე არ ყოფილა.

ჩემპიონთა თასის ფინალისტები გაირკვნენ — 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ბარსელონაში, „კამპ ნოუზე" ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი" გერმანიის „ბაიერნს" დაუპირისპირდება.

დაძაბული ნახევარფინალები იყო:

ტურინში ძალიან ცდილობდა „იუვენტუსი", ზედიზედ მეოთხედ გასულიყო ჩემპიონთა თასის ფინალში, მაგრამ ამ ჯერზე მხოლოდ ნახევარფინალისტად დარჩა.

ევროთასებზე „მანჩესტერმა" პირველად დასძლია „იუვენტუსის" ბარიერი...

მიუნხენში უკრაინის ჩემპიონი კიევის „დინამო" მედგრად იდგა, მაგრამ ბასლერმა და კომპანიამ თავისი გაიტანეს. „სუპერმარიოს" გოლის ნახვა ერთ რამედ ღირდა...

...ფინალისტები ამ გათამაშებაში უკვე შეხვედრიან ერთმანეთს. ჯგუფურ ტურნირში ორმა შეხვედრამ გამარჯვებული ვერ გაარკვია — მიუნხენში, „ოლიმპიაშტადიონზე" 2:2 იყო, მანჩესტერში, „ოლდ ტრეფორდზე" — 1:1.

26 მაისს გამარჯვებული აუცილებლად გაირკვევა.




იუვენტუსი — მანჩესტერი 2:3. დუაიტ იორკი „იუვენტუსთანაც", ისევე როგორც „ინტერთან", გაფრინდა და გოლი გაიტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის თვრამეტწლამდელთა ჩემპიონატის პირველი შესარჩევი მატჩი

# ჩეხეთი 2:2 საქართველო

ოპავა. „ვ მესტსკიხ სადეხ". 21 აპრილი. 19 საათი

0:1, 0:2 ჯაკობია (43, 60), 1:2 პოლაკი (73), 2:2 სვიტაკი (84)
ჩეხეთი: ჩუდოვსკი, რაჩეკინი, კუჩერა, შრამეკი, კოუნოვსკი (მატუშეკი 55), სვიტაკი, როზიცკი (კოვოლიკი 52), ბაროში, შპილაჩეკი, პოლაჩეკი (ურბანეკი 46), პოლაკი
საქართველო: ბათიაშვილი, ხიზანეიშვილი, ხიზანიშვილი, აბრამიძე, დევიძე (ჯ. მუჯირი 72), მენთეშაშვილი (კორღალიძე 80), დილმელაშვილი, ო. გველესიანი, ლ. ნოზაძე, ჯაკობია, გ. მიქაძე (გაგუა 87)
გაფრთხილება: რაჩეკინი, შრამეკი, აბრამიძე; მსაჯი: ო. ჩუკინი (ბელარუსი)

# ჯაკობიამ შანსი მოგვცა



ლაშა ჯაკობიამ ჩეხებს ორი გოლი გაუტანა

გერმანელთაგან პატივნაცემმა, გერმანიის ეროვნული ნაკრების ჰერმან ნოირბერგერის სახელობის საფეხბურთო ბაზაზე ხუთი დღით მომზადებულმა საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა, ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა. გუშინ ჩეხეთის ჩრდილოეთით მდებარე პატარა ქალაქ ოპავაში ჩვენებურები ჩეხ თანატოლებს დაუპირისპირდნენ. მატჩი ფრედ დასრულდა — 2:2. არადა, რა ახლოს ყოფილა გამარჯვება. ბელგიურ ლიეჟის „სტანდარდში" მოთამაშე ლაშა ჯაკობიას დუბლით დაწინაურებულ ქართველებს, ანგარიშის შესანარჩუნებლად სულ რაღაც 17 წუთი რჩებოდათ, როცა საქმე მოთავებულად ჩაუთვლიათ და მასპინძლებისთვის ორი გოლიც უფეშქაშიათ.

უკრაინელების უკრაინაში დამარცხებელ ჩეხებს მატჩი საკმაოდ აგრესიულად დაუწყიათ, ჩვენებურებს ბურთის თავისუფლად მიღების საშუალებას არ აძლევდნენ. ჩვენები ფრთხილობდნენ, დაცვაში ყურადღებით თამაშობდნენ და პირველსავე შესაძლებლობას იყენებდნენ ბურთის ჯაკობია — მიქაძის დუეტისთვის გადასაცემად.

ნაკრების მწვრთნელი ვახტანგ კოპალეიშვილი მომავალი მეტოქის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას არ უჩიოდა. მან ჩეხეთში გამგზავრებამდეც არაერთხელ აღნიშნა, მოწინააღმდეგეს კარგად ვიცნობთო და ეს ყოველივე საქმითაც დაამტკიცა.

მწვრთნელს ოთარ ხიზანეიშვილისა და ვალერი აბრამიძისთვის ჩეხების ყველაზე სახიფათო, ვერცხლისწყალივით მოძრავი რადეკ შპილაჩეკისა და ტომაშ პოლაჩეკის პერსონალური მეურვეობა დაუვალებია. ქართველი ფეხბურთელებიც ლანდივით მთელს მოედანზე ასდევნებიან მასპინძლებს და თურმე თითქმის გაუუვნებლებიათ კიდეც. სამწუხარო კი ისაა, სტუმრების ორადორ შეცდომას ორჯერვე გოლი რომ მოჰყოლია. თუმცა, ბურთების გაშვებამდე პოლაჩეკი შეუცვლიათ.

ჩეხების ორივე გოლი საქართველოს ნაკრების კართან შექმნილ არეულობას მოჰყოლია. საჯარიმო მოედნიდან ვერგატანილი ბურთისთვის ფეხი უფრო მარჯვედ ჩეხებს მოუქნევიათ და ზურაბ ბათიაშვილისთვის აუღებელი დაურტყამთ. ეს ყველაფერი, 11 წუთის შუალედში მომხდარა. ჯერ იან პოლაკს გაუტანია, შემდეგ მარტინ სვიტაკს. თუმცა, ეგ რა სათქმელია იმასთან შედარებით, რასაც თურმე ჩვენები პირველი ტაიმის მიწურულსა და მეორეს 15 წუთის დაწყების შემდეგ განიცდიდნენ. აფერუმ, ფეხმტკივან ლაშა ჯაკობიას, რომელმაც ჩეხთა სამი ფეხბურთელის მარწუხების მიუხედავად უყოჩაღია და ჩუდოვსკისთვის მართლაც საოცარი გოლები გაუტანია, მათგან პირველი, საჯარიმოს კუთხიდან კარის შორეულ მაღალ კუთხეში. შემდეგ, მსაჯის ტაიმისთვის წამატებულ წუთებში ლაშა ნოზაძის დარტყმული ბურთი ჯერ ძელს მოხვედრია, მერე კარის ხაზზე გაგორებულა. წუთის ჩაგდებით გიორგი მიქაძისთვის უჯობნია მეკარეს. ჯაკობიას მეორე გოლის მერე კი, ჩეხები მთლად დაბნეულან, ჩვენებსაც უსარგებლიათ და მომენტი მომენტზე შეუქმნიათ. სამწუხაროდ, მეტი ველარ გაუტანიათ...

თუმცა რა, შვედეთში ევროპის ჩემპიონატზე სათამაშოდ, ალბათ, ეს ორი გოლიც საკმარისი იქნება. ჩვენმა ჭაბუკებმა ივაჟკაცეს და საკმაო ფორა შეიქმნეს ბათუმის მატჩის წინ. საქმის ნახევარი უკვე გაკეთებულია.

ახლა კი საქართველოს 18-წლამდელთა მწვრთნელის — ვახტანგ კოპალეიშვილის ის სიტყვები წაიკითხეთ, რომელიც წუხელ, მატჩის დამთავრების შემდეგ ოპავიდან გვითხრა.

— ძალიან განვიცდი. თავად წარმოიდგინეთ, მატჩი მოგებული რომ გვეგონა, ჩვენივე შეცდომებით ფრედ დავამთავრეთ. ორჯერ შემთხვევით, ელემენტარულად, უყურადღებობის გამო დავისაჯეთ.

ყველაფერი კი გამოუცდელობის ბრალია. ბიჭები 0:2-ზე დამშვიდნენ და მეტოქეც ასარგებლეს. ამიტომაც ჩვენი გუნდიდან ვერავის გამოვყოფ, ხუთიანზე არავის უთამაშია.

ახლა წინ 11 მაისია, ბათუმის მატჩისთვის კარგად უნდა მოვემზადოთ და დღევანდელი შეცდომები აღარ გავიმეოროთ. ჩეხებმა დაგვიმტკიცეს, რომ კარგი გუნდი ჰყავთ, როგორია, შინ ორი ბურთით აგებდნენ და ბოლოს ძალა მოიკრიბეს, ანგარიში გაგვითანაბრეს.

დუბლის ავტორი ლაშა ჯაკობია კი, როგორც ყოველთვის, ახლაც მოკრძალებული გახლდათ.

— ყველამ კარგად ვითამაშეთ. ჩემი გოლებიც გუნდური თამაშის შედეგია. მგონი, ორივე ბურთი ლამაზი გამომივიდა. ვეცდები, საპასუხო მატჩშიც გავიტანო.

ძოზა ინასარიძე

# მეორე ჯგუფი

## დასავლეთი. „ა" ქვეჯგუფი

XVIII ტური

15 აპრილი

### სამგურალი 2 4:0 რაჭა

1:0 კოპალიანი (25), 2:0 ქიმაძე (53), 3:0 არსენიძე (60), 4:0 ნაკანი (80)
გაფრთხილება: ქიმაძე, არსენიძე, გ. სვანაძე (ყველა სამგურალი 2), ბიჭაშვილი (რაჭა)
მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი)

### რიონი 0:4 სულორი

0:1 კორძაძე (49), 0:2 ბუხაიძე (70), 0:3 გოჩა ბრეგვაძე (83), 0:4 კორძაძე (86)
გაფრთხილება: აბუთიძე (რიონი), ბიბილეიშვილი (სულორი)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

### მაღაროელი 1:4 გაგრა

0:1 ტ. მანაგაძე (10), 0:2 გორდაძე (38), 0:3 ტ. მანაგაძე (44), 0:4 გორდაძე (70), 1:4 სევასტოპულო (87)
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

### ოკეანე 3:1 იბერია 2

0:1 გ. მჭედლიშვილი (21), 1:1 კრავეიშვილი (63), 2:1 კ. ბაკურაძე (70), 3:1 კაცაძე (84)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

16 აპრილი

### ჩიხურა 0:0 ტორპედო 2

გაფრთხილება: თ. სამხარაძე (ჩიხურა), მუშკუდიანი (ტორპედო 2)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

### საირმე 1:5 მეშახტე

0:1 კუბლაშვილი (16ს.კ.), 0:2 კირკიტაძე (32), 0:3 ავალიშვილი (53), 0:4 კირკიტაძე (58), 1:4 ეხვაია (84), 1:5 ჩაფიძე (88)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

XIX ტური

19 აპრილი

### რაჭა 4:1 რიონი

1:0 შერაზიძე (19), 1:1 ლომთაძე (23), 2:1, 3:1 ჯმუხაძე (62, 73), 4:1 ჩიტალაძე (88)
გაფრთხილება: თოდაძე (რიონი)
გაძევება: თოდაძე (79, რიონი)
მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

### იბერია 2 3:1 სამგურალი 2

1:0 ივეჩიანი (3), 1:1 ქიმაძე (34), 2:1 ივეჩიანი (53), 3:1 ყურაშვილი (59)
გაფრთხილება: გ. მჭედლიშვილი, ჩიქობავა, სანიკიძე (ყველა იბერია 2), შვანგირაძე, ქიმაძე, გობრონიძე (ყველა სამგურალი 2)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

### ტორპედო 2 6:0 მაღაროელი

1:0 თაბაგარი (3ს.კ.), 2:0 კვერნაძე (50), 3:0 შ. ფუტკარაძე (60), 4:0 ბ. ასათიანი (74), 5:0, 6:0 ი. გიორგაძე (88, 90)
მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი)

20 აპრილი

### ოკეანე 1:0 საირმე

1:0 ხელაძე (19)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

### სულორი 9:3 ჩიხურა

1:0 სადილიანი (3), 2:0 მ. კორძაძე (6), 2:1 პაპიჯანოვი (17), 3:1 დვალიშვილი (19), 4:1 ფაიქიძე (21), 5:1 გოჩა ბრეგვაძე (28), 6:1 სადილიანი (34), 6:2 პაპიჯანოვი (53), 7:2, 8:2 კოტიშაძე (55, 56), 8:3 პაპიჯანოვი (72), 9:3 ბუხაიძე (75)
მსაჯი: გ. ცირდავა (გულრიფში)

21 აპრილი

### გაგრა 0:3 მარგვეთი

0:1 ი. ხაჭაპურიძე, 0:2, 0:3 დ. ნოზაძე
გაფრთხილება: ხაჭაპურიძე, ბიწაძე (მარგვეთი)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულორი | 18 | 16 | 2 | 0 | 58:15 | 50 |
| მარგვეთი | 17 | 15 | 2 | 0 | 67:17 | 47 |
| მეშახტე | 17 | 12 | 1 | 4 | 43:22 | 37 |
| ოკეანე | 18 | 11 | 1 | 6 | 25:25 | 34 |
| გაგრა (-3) | 18 | 12 | 0 | 6 | 39:20 | 33 |
| სამგურალი 2 | 17 | 9 | 2 | 6 | 32:30 | 29 |
| რაჭა | 18 | 6 | 2 | 10 | 31:36 | 20 |
| ტორპედო 2 | 18 | 5 | 4 | 9 | 23:25 | 19 |
| რიონი | 17 | 5 | 2 | 10 | 21:28 | 17 |
| იბერია 2 | 18 | 3 | 3 | 12 | 21:39 | 12 |
| საირმე (-3) | 18 | 4 | 1 | 13 | 14:38 | 10 |
| ჩიხურა (-3) | 17 | 2 | 3 | 12 | 20:61 | 6 |
| მაღაროელი (-3) | 17 | 1 | 3 | 13 | 19:57 | 3 |

## დასავლეთი. „ბ" ქვეჯგუფი

XVIII ტური

15 აპრილი

### მერცხალი 1:3 სქური

0:1 დ. ჯოლოხავა (20), 0:2 ჯღარკავა (34), 0:3 კვირკვია (67), 1:3 მანჯავიძე (76)
გაფრთხილება: გოჩა კვარაცხელია (სქური)
მსაჯი: ზ. ხუციშვილი (დმანისი)

### ოდიში 2 0:0 შუქურა

მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

### კოლეჯი 5:0 ეგრისი

1:0 ი. ბახტაძე (48), 2:0 კუნჭულია (55პ), 3:0 დარჩიძე (69), 4:0, 5:0 ბეჟანიძე (70, 85)
გაფრთხილება: გეგია (ეგრისი)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

### ბახმარო 2:0 სამეგრელო

16 აპრილი

### სალხინო 2:0 კოლხეთი 2

1:0, 2:0 ძაგანია (44, 90)
გაფრთხილება: დარჯანია, წოწონავა (ორივე სალხინო), თედეევი (კოლხეთი 2)

### კოლხეთი 4:2 ენგური

1:0, 2:0 დ. დანელია (13, 24), 2:1 ჭაჭუა (50), 3:1 კ. ხურცილავა (65), 4:1 დ. დანელია (68), 4:2 შონია (70)
გაფრთხილება: კ. ხურცილავა, ონიანი (ორივე კოლხეთი), ჩიქობავა, ჭაჭუა (ორივე ენგური)

XIX ტური

19 აპრილი

### შუქურა 1:2 კოლეჯი

0:1 კობიძე (68), 0:2 დარჩიძე (72), 1:2 ჯიჯავაძე (89)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

### ეგრისი 0:0 ბახმარო

გაფრთხილება: ხევსურიანი, ა. მიქავა (ორივე ეგრისი), კ. თავაძე (ბახმარო)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

### სქური 3:2 ფაზისი

1:0 დ. ჯოლოხავა (25), 2:0 ჯღარკავა (26), 3:0 დ. ჯოლოხავა (28), 3:1 კვირკველია (38), 3:2 მაკალათია (74)
გაფრთხილება: ჯაბუა, დ. ჯოლოხავა, აბულაძე (ყველა სქური), ხურციძე, ლეჟავა (ორივე ფაზისი)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

20 აპრილი

### ენგური 3:0 მერცხალი

1:0 შონია (8), 2:0 გიგიბერია (31), 3:0 ჯურხაძე (75)
გაფრთხილება: ჭაჭუა (ენგური), პ. ბაკურაძე (მერცხალი)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

### კოლხეთი 2 1:0 ოდიში 2

1:0 ბურჭულაძე (43)
გაფრთხილება: წულაია (კოლხეთი 2), ჭეჟია (ოდიში 2)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

### სამეგრელო 0:5 კოლხეთი

0:1, 0:2 კ. ხურცილავა (55, 65), 0:3 ქაშიბაძე (75), 0:4, 0:5 დ. დანელია (87, 88)
გაფრთხილება: ა. შენგელია, გ. თოლორდავა (ორივე სამეგრელო), ვ. ალანია (კოლხეთი)
მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი | 17 | 14 | 2 | 1 | 53:10 | 44 |
| კოლეჯი | 18 | 11 | 4 | 3 | 36:16 | 37 |
| სქური | 18 | 10 | 2 | 6 | 42:38 | 32 |
| ენგური | 18 | 9 | 4 | 5 | 36:26 | 31 |
| შუქურა | 17 | 9 | 2 | 6 | 36:24 | 29 |
| ფაზისი | 17 | 9 | 1 | 7 | 32:23 | 28 |
| მერცხალი | 17 | 7 | 1 | 9 | 26:27 | 22 |
| ბახმარო | 18 | 6 | 3 | 9 | 18:30 | 21 |
| ოდიში 2 | 18 | 5 | 6 | 7 | 22:24 | 21 |
| სამეგრელო | 18 | 5 | 3 | 10 | 22:33 | 18 |
| ეგრისი | 18 | 4 | 5 | 9 | 19:37 | 17 |
| კოლხეთი 2 | 17 | 5 | 1 | 11 | 15:37 | 16 |
| სალხინო | 17 | 3 | 0 | 14 | 28:60 | 9 |

## აღმოსავლეთი. „ა" ქვეჯგუფი.

XXII ტური

15 აპრილი

### არსენალი 2 0:1 უნივერსიტეტი იბერია

0:1 მინაშვილი (21)
გაფრთხილება: რობაქიძე (არსენალი 2)
მსაჯი: ლ. მიქელაძე (სამტრედია)

### სამგორი 1:5 ალაზანი

0:1 მეურმიშვილი (40), 1:1 კვილაძე (48), 1:2 შალვაშვილი (56), 1:3 ბაწაშვილი (76), 1:4 დარჩიაშვილი (83), 1:5 ყიზილაშვილი (90)
გაფრთხილება: ხალიჩაშვილი (სამგორი), შ. კობიაშვილი, დარჩიაშვილი (ორივე ალაზანი)
მსაჯი: მ. ელიკაშვილი (თბილისი)

### კახეთი 3:0 ხალიბი

1:0 ბაბულაიძე (15), 2:0 ბობოხიძე (55), 3:0 ჯუგაშვილი (88)
გაფრთხილება: ჯუგაშვილი, გიგაური (ორივე კახეთი), სულაშვილი (ხალიბი)
მსაჯი: ა. ორდენიძე (ონი)

### ძანაგკო 0:3 ზოოვეტი

0:1 გუგუშვილი (9), 0:2 მახარობლიშვილი (28), 0:3 დ. ხომერიკი (71)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

### ჭაბუკიანი 0:2 ლარწყალი

0:1 ჯ. წიკლაური (64), 0:2 სირაძე (83)
გაფრთხილება: ტალახაძე (ჭაბუკიანი), დ. ჩიგოშვილი, გულაშვილი, დ. ცომაია (ყველა ლარწყალი)
გაძევება: დ. ცომაია (72, ლარწყალი)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

### აკადემია 3:0 დინამო 3

1:0 კოჩაძე (22), 2:0 გ. მეტრეველი (59), 3:0 მ. ბახტაძე (83)
გაფრთხილება: მ. ... (აკადემია), თავბერიძე (დინამო 3)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

### მრეტები 3:0 ალგეთი

19 აპრილი

### დინამო 3 0:2 არსენალი 2

0:1, 0:2 თ. კვირკველია (4, 8)
გაფრთხილება: ალახვერდოვი (დინამო 3), ეგაძე (არსენალი 2)
მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

### ხალიბი 3:1 მრეტები

1:0 გოგოძე (17), 2:0 პ. სოხაძე (38), 3:0 ჩოხელი (47), 3:1 ზაზაშვილი (70ს. კ.)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

### უნივერსიტეტი იბერია 0:1 ყვარელი

0:1 შ. მიქაბერიძე (3)
გაფრთხილება: გ. ლობჟანიძე (ყვარელი)
მსაჯი: ზ. ხუციშვილი (დმანისი)

### ზოოვეტი 0:0 ჭაბუკიანი

გაფრთხილება: მარგიევი (ჭაბუკიანი)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

### ალაზანი 0:1 აკადემია

0:1 ვ. კაკაშვილი (64)
გაფრთხილება: ჩაჩუა, მ. ვაშაკიძე (ორივე აკადემია)
მსაჯი: ა. ორდენიძე (ონი)

### ლარწყალი 4:0 კახეთი

1:0 ჯ. წიკლაური (1), 2:0 დ. ჩიგოშვილი (37), 3:0, 4:0 ბარამიძე (82, 85)
გაფრთხილება: აგაბაბიანი, თ. მაისურაძე (ორივე კახეთი)
გაძევება: ბედოიძე (35, კახეთი)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

### ალგეთი 0:3 სამგორი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლარწყალი | 21 | 17 | 4 | 0 | 59:15 | 55 |
| აკადემია | 20 | 17 | 1 | 2 | 46:9 | 52 |
| ყვარელი | 21 | 13 | 5 | 3 | 33:12 | 44 |
| ჭაბუკიანი (-3) | 22 | 13 | 3 | 6 | 33:22 | 39 |
| ხალიბი | 21 | 12 | 2 | 7 | 39:24 | 38 |
| კახეთი | 22 | 11 | 4 | 7 | 36:30 | 37 |
| არსენალი 2 | 20 | 10 | 3 | 7 | 32:17 | 33 |
| დინამო 3 | 22 | 10 | 3 | 9 | 35:31 | 33 |
| ზოოვეტი | 21 | 8 | 6 | 7 | 41:33 | 30 |
| ალგეთი | 22 | 7 | 1 | 14 | 28:46 | 22 |
| უნივერსიტეტი იბერია | 22 | 6 | 4 | 12 | 19:28 | 22 |
| სამგორი | 20 | 4 | 3 | 13 | 26:42 | 15 |
| მრეტები | 21 | 4 | 2 | 15 | 21:42 | 14 |
| ალაზანი | 22 | 2 | 2 | 18 | 20:62 | 8 |
| ქანაგკო | 21 | 2 | 3 | 16 | 15:70 | 6 |

## აღმოსავლეთი. „ბ" ქვეჯგუფი

XIX ტური

13 აპრილი

### დინამო 2 — საუ გადაიდო

16 აპრილი

### თორი 2:1 მესხეთი

1:0 შაიშმელაშვილი (57), 1:1 პარუნაშვილი (71), 2:1 ქობესაშვილი (78)
მსაჯი: დ. რეხვიაშვილი (გარდაბანი)

### ვარძია 1:1 ცხუმი

1:0 მოდებაძე (28), 1:1 ოდიშარია (29)
გაფრთხილება: შემაზაშვილი (ვარძია), ასიტაშვილი (ცხუმი)
მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

### დილა 2 2:2 ივერია

1:0 სულთანიშვილი (12), 1:1, 1:2 ა. ხმალაძე (15, 25), 2:2 სულთანიშვილი (40)
გაფრთხილება: იასაშვილი, კარელიძე (ორივე დილა 2), ულუმბელაშვილი, ნეკერაშვილი (ორივე ივერია)
გაძევება: ულუმბელაშვილი (76, ივერია)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

### ქარელი 1:1 ლოკომოტივი 2

1:0 მიდელაშვილი (39), 1:1 გ. ჯანელიძე (57)
გაფრთხილება: ხაჩატუროვი, გ. ნოზაძე, კორძაძე (ყველა ქარელი), ნ. ბაქრაძე, გოგნაძე, კაცია (ყველა ლოკომოტივი 2)
გაძევება: კორძაძე (88, ქარელი)
მსაჯი: ზ. ხუციშვილი (დმანისი)

17 აპრილი

### ცხინვალი 3:1 იბერია

1:0, 2:0 ბოჭორაძე (43, 57), 2:1 ღვინცაძე (76), 3:1 ტილკავაშვილი (83)
გაფრთხილება: თ. კუპატაძე, ბალაშვილი (ორივე იბერია)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

### განთიადი 3:0 ჟინერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 18 | 16 | 0 | 2 | 48:12 | 48 |
| ცხინვალი (-3) | 19 | 15 | 2 | 2 | 53:14 | 44 |
| ლოკომოტივი 2 | 19 | 12 | 3 | 4 | 50:28 | 39 |
| ქარელი | 19 | 12 | 3 | 4 | 38:14 | 39 |
| ივერია | 19 | 10 | 6 | 3 | 42:21 | 36 |
| განთიადი | 19 | 9 | 4 | 6 | 32:29 | 31 |
| ცხუმი | 19 | 7 | 4 | 8 | 36:29 | 25 |
| მესხეთი | 19 | 5 | 5 | 9 | 30:39 | 20 |
| იბერია | 19 | 6 | 1 | 12 | 37:41 | 19 |
| თორი | 19 | 6 | 1 | 12 | 24:32 | 19 |
| საუ | 18 | 5 | 4 | 9 | 31:36 | 19 |
| დილა 2 | 19 | 4 | 3 | 12 | 27:48 | 15 |
| ვარძია | 19 | 3 | 4 | 12 | 16:48 | 13 |
| ჟინვალი | 19 | 1 | 2 | 16 | 18:91 | 5 |

შენიშვნა: (-3) — დაკლებული აქვს სამი ქულა

ეროვნული ბიბლიოთეკა



წასასვლელად გამზადებული ვლადიმერ გუცაევი




თემურ ქეცბაია ნაკრებში თამაშს ისევ უარობს

ბადრი კოთოლაშვილის ფოტოები

# შიშს დიდი თვალები აქვს

## ფეხბურთს კი კაცები თამაშობენ

ძველი დრო რომ იყოს, 26 აპრილი ერთი რიგითი, ჩვეულებრივი ორშაბათი იქნებოდა. აბა, მაშინ ვილას გაუკვირდებოდა ნორვეგიელთა სტუმრობა, განსაკუთრებით კი ფეხბურთელებისა. იმდროინდელ „დინამოს", ნორვეგიელთა კი არა, მთელი სკანდინავიის „რჩეული" ფეხბურთელების დამარცხება ძალების დაუძაბავად შეეძლო.

მას შემდეგ მაინცდამაინც დიდი დრო არ გასულა, მაგრამ ნორვეგიის ეროვნული ნაკრები მაჩანჩალობიდან ბრაზილიის ორჯერ დამჩოქებელ გუნდად ამაღლდა, ხოლო ქართული ფეხბურთი კი ნელ-ნელა იშლება საფეხბურთო რუქიდან.

მოდის ნორვეგია და წინ მუქარა მოუძღვის, ნურაფრის იმედი გექნებათ, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებაო. მართალს ამბობს ის ხალხი, სიმართლეს და რეალობას უყურებენ თვალებში.

ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ და თავს არ მოვიტყუებთ, მაშინ ერთ დასკვნამდე მივალთ, დღეისთვის ნორვეგიის ნაკრები ნებისმიერ კომპონენტში გვჯობნის, ჩვენს გუნდში არ არსებობს ამპლუა, რომელიც მეტოქისას გაუტოლდება.

თამაში უკვე დღესაა წაგებული. არასდროს გვინახავს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები ასე შეშინებული. არასდროს ყოფილა გუნდი ასე არეული და ინტრიგებით დამძიმებული.

თამაშამდე დღე არ გავა, რომელიმე ფეხბურთელმა არ შემოთვალოს, ჩემი იმედი ნუ გექნებათ, შეუძლოდ შევიქენი და ჩემი თამაში სათუოაო. ეს შიშია აბა, სხვა რა სახელი უნდა მოუძებნო, თუმცა, ბევრს რომ ჰკითხო, საქმე სულ სხვაგვარადაა.

არა, კიდევ ერთხელ შეცდა ვლადიმერ გუცაევი. შეცდა იმიტომ, რომ წასასვლელად ცუდი დრო შეარჩია. გუცაევი სლოვენიასთან მატჩის შემდეგ უნდა გადამდგარიყო. მაშინ უფრო დაფასებული წავიდოდა.

ნურავის ჰგონია, რომ ეროვნული გუნდი მწვრთნელს პატივს დასდებს და ლამაზ გაცილებას მოუწყობს. სიმშვიდე მოჩვენებითია და ნაკრების წევრთა ერთი ნაწილი მხოლოდ იმას ნატრობს, მწვრთნელი დროზე მოიშოროს თავიდან.

მოკლედ, ფარული თუ აშკარა ქიშპი გრძელდება და ამ დაპირისპირებაში ყველაზე ცუდი ის არის, რომ საქართველოს ნაკრების მართალია უმნიშვნელო, მაგრამ მაინც შანსი იკარგება.

იქნებ ახლაც არ არის გვიან და გუცაევს დრო კიდევ დარჩენია. დღეს 22 აპრილია, ნაკრების შეკრება ოფიციალურად 4 დღეში იწყება, იქნებ გეყოთ გამბედაობა, ბატონო ვოვა, იქნებ არ ჩაკვდეს ბოლო იმედი.

არადა, გუცაევს დღითი დღე ეცლება ხელიდან გამოძახებული ფეხბურთელები. კიდევ კარგი, ნაკრების ყველა წევრი სუსტხერხემლიანი და მშიშარა არაა, თორემ სტუმრებს ახალგაზრდული ნაკრებით დავხვდებოდით, თავად ახალგაზრდულის თავკაც გიგლა იმნაძეს ვახტანგ კოპალეიშვილისგან მოუწევდა ფეხბურთელთა გადმობირება.

პირადად მე ახლა რასაც მოგითხრობთ, არ შევეხებოდი, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტია. საქმე თემურ ქეცბაიას ეხება. სავარაუდოდ იგი არ აპირებს თბილისში, გუცაევის ხელმძღვანელობით თამაშს.

სიმართლე თუ გნებავთ, არჩამოსვლაში მაინცდამაინც დიდი უბედურებას ვერ ვხედავ. ნაკრებში გამოსვლაზე უარი თემურზე გაცილებით სახელიან ფეხბურთელებს უთქვამთ. ეს მიღებულია მსოფლიოში და ამაში გასაკვირიც არაფერია.

თუმცა ამ უარს საქართველოში არავინ ელოდა. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ თითქოს ჩაფარცხა კონფლიქტი მწვრთნელსა და მოთამაშეს შორის, მაგრამ გუცაევმა მორიგი შეცდომა დაუშვა და ქეცბაია საუკრაინო, სასლოვენიო შეკრებებზე არ გამოიძახა. მწვრთნელმა მაინც პირველმა მოინანია, ეს ერთგვარად ბოდიშის მოხდას ნიშნავდა. თემური 21-კაციან სიაში გამოჩნდა და... ისევ უარი.

გუცაევი წავა ნაკრებიდან, ცხოვრება ისეთია, ვერც ქეცბაია ითამაშებს მუდამ, საქართველოს ეროვნული ნაკრები კი დარჩება, მხოლოდ საკითხავია — როგორი.

ახლა თემურ ქეცბაიას ერთი კითხვა მსურს დავუსვა, ნუთუ მას მართლა ჰგონია, რომ ქართული ფეხბური ჟურნალისტებმა დაღუპეს?

ძალიან ცუდი, თუ ასე ფიქრობს ერთ დროს ჩვენი რჩეული.

ქართული ფეხბურთი დაღუპა უთავობამ, უსახსრობამ და ყველაფერზე ფიქრმა გარდა ფეხბურთისა. აქედან გამომდინარე, ფეხბურთის სიკვდილი გამოიწვია იმ დამარცხებებმა, რომლებსაც ჩვენი ნაკრებები და კლუბები ახერხებდნენ წლიდან წლამდე. ნაკრების ერთ-ერთი სრულუფლებიანი წევრი კი თემურ ქეცბაიაც იყო და ფეხბურთის უკუსვლის მიზეზი სხვა „სიკეთესთან" ერთად იქნებ საკუთარ თავშიც უნდა ეძებოს.

არადა, ქეცბაიას შეეძლო, ჩამოსულიყო და ეთამაშა ისე, როგორც ადრე გვინახავს. მისი გამოცდილება, მონდომება და ბრძოლის ჟინი, რასაც წლების მანძილზე ვაფასებდით, შეკრავდა ნაკრებს. თანაგუნდელებში მისი გავლენა იმდენად დიდია, რომ დღეს მინავლებული იმედი გაღვივდებოდა და იქნებ 28 აპრილს სასწაულიც მომხდარიყო, მაგრამ ამის არ მჯერა.

ნაკრები წააგებს, შანსი ჭაობიდან ამოსვლისა გაქრება, ქომაგი ფეხბურთს საბოლოოდ აქცევს ზურგს და უფეხბურთობა მერე ნახეთ.

გულშემატკივართა პროტესტიც პლასტიკატის ნასროლ ბოთლებში გამოიხატება, რაც ორიოდ დღეში არავის ემახსოვრება და დამთავრდება ავადმოსაგონარი ზღაპარიც, რომლის მოყოლა თავიდანვე არ უნდა დაგვეწყო. ეს იყო ჩვენი, ჟურნალისტების შეცდომა. გვიან მივხვდით, რომ ფეხბურთი მკვდარია. (სხვათა შორის პირველებმა ავტეხეთ განგაში.) დღემდე გვჯეროდა ჩვენი ფეხბურთელების სიდიადისა, რომელთა მსგავსებიც დღეს ყველგან თავსაყრელია — ლატვიაში, მოლდოვაში, კვიპროსზე, ისლანდიაში, ალბანეთში და, ალბათ სან მარინოშიც.

ნორვეგიელებს კი გადახედეთ, რა გუნდი ჩამოჰყავთ, ძლიერები, პროფესიონალები, საქმის მკეთებლები.

საქართველოს ნაკრებს კი გამარჯვება ეზარება, თამაშამდე კვირით ადრე შიში თრგუნავს, ბრძოლას თავს არიდებს.

1981 წლის 13 მაისის ერთ-ერთ გმირს ვკითხე, თუ როგორ მიაღწია „დინამომ" ასეთ სიმაღლეს. მარტივი პასუხი მივიღე:

— ყველას გვწამდა გამარჯვების, მინდორზე მოსაგებად, გამარჯვების წყურვილით აღსავსე გავდიოდით და შიშიც უმალ ქრებოდა.

მაშინდელი ქართველი ფეხბურთელი თამაშს გასახდელში არ წააგებდა, მაშინ ნამდვილი კაცები თამაშობდნენ და როგორ გგონიათ, იმ დროს არ იყო განხეთქილება მწვრთნელ-ფეხბურთელებს შორის, არ იყო დაპირისპირება და შუღლი? კი იყო, მაგრამ მინდორზე ყველაფერი აწყობილ მექანიზმს ჰგავდა, რადგან სათამაშოდ კაცები გადიოდნენ და არა ბავშვები.

დღეს კი, რაღა დღეს, დღევანდელობა ბურუსშია ჩაძირული, ისევე როგორც მომავალი, მხოლოდ წარსული დიდება დაგვრჩენია.

**მამუკა კვანტალიანი**

# ვალერი ჩოლარია: სარბიელის პროგნოზი გამართლდა

აგვისტოსთვის საფეხბურთო ტელეტრანსლაციებზე მონოპოლიის ხელში ჩასაგდებად ორი ქართული და ერთი უცხოური ტელეკომპანია იბრძოლებენ.

„თქვენი პროგნოზი გამართლდა" — განუცხადა გუშინ „სარბიელს" ფეხბურთის ფედერაციის გენმდივანმა ვალერი ჩოლარიამ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით გამართული მატჩების ტელეტრანსლაციის უფლება სახელმწიფო ტელევიზიის პირველ არხს 1 აგვისტომდე ექნება. ამ დღის შემდეგ ზაზა შენგელიას უწყებას მხოლოდ 300 000 დოლარის გადახდის შემდეგ მიეცემა უფლება, განაგრძოს მატჩების ჩვენება. ფედერაციაში არ ფიქრობენ, რომ შენგელიას უარი დიდად დააზარალებს ქართულ ფეხბურთს. ქართული ფეხბურთის № 2 ჩინოვნიკის ვალერი ჩოლარიას თქმით: „ტელეტრანსლაციების უფლების ყიდვით დაინტერესება უკვე გამოთქვეს ორმა ქართულმა და ერთმა უცხოურმა ტელეკომპანიამ".

ფეხბურთის ფედერაციაში უკვე მზად აქვთ ხელშეკრულების პროექტი, რომელსაც აგვისტოს მერე მყიდველ ტელევიზიასთან გააფორმებენ. ხელშეკრულებით ფედერაცია 2000 წლის საფეხბურთო სეზონის ბოლომდე 300 000 დოლარად ჰყიდის: ეროვნული ჩემპიონატის მატჩებისა და ტურის მიმოხილვის, თბილისში მოყვარულ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების, 16 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევის თამაშების, საქართველოს თასის შეხვედრების, ტელეტრანსლაციების დროს რეკლამის განთავსების, ეროვნული ნაკრების საშინაო მატჩების ტრანსლაციის (ეროვნულ სტადიონზე სარეკლამო დაფების განთავსების გარეშე — ამ უფლებას შვეიცარული „ტელესპორტი" ფლობს) უფლებას.

თავის მხრივ, პარტნიორმა ტელევიზიამ უნდა უზრუნველყოს ტელეტრანსლაციის ორგანიზება და მაღალი ხარისხის ჩვენება. უფასოდ განათავსოს ეთერში ფედერაციის ლოგო.

ხელშეკრულებიდან შემოსული თანხა, ჩოლარიას თქმით: „მოხმარდება მხოლოდ ქართული კლუბების კეთილდღეობას". ყველაზე მეტ თანხას მიიღებს ის კლუბი, რომლის თამაშიც მეტჯერ იქნება ტრანსლირებული.

ფედერაციაში „პირველი არხის" შეფის შენგელიას უარი 300 000 დოლარის გადახდის თაობაზე მტკივნეულად არ აღუქვამთ. ჩოლარიამ დაადასტურა „სარბიელის" გუშინდელ ნომერში გამოთქმული ვარაუდი, რომ სახელმწიფო ტელევიზიამ შეიძლება საფეხბურთო ტელეტრანსლაციებზე მონოპოლია დაკარგოს.

გენმდივნის თქმით: „ორმა ქართულმა და ერთმა უცხოურმა ტელეკომპანიამ უკვე გამოთქვეს ფედერაციასთან ზემოთ ნახსენები ხელშეკრულების გაფორმების სურვილი და დაიწყეს მოლაპარაკება ფედერაციასთან".

ხელშეკრულების გაფორმებამდე ჩოლარიამ ამ ტელეკომპანიების დასახელებისგან თავი შეიკავა, თუმცა ჩვენს კითხვაზე, გამართლდა თუ არა ჩვენი გუშინდელი პროგნოზი, გვიპასუხა, თქვენი პროგნოზი გამართლდაო.

შეგახსენებთ, რომ ამ თემაზე ქართული ტელევიზიების შესაძლებლობების ანალიზისას „სარბიელის" გუშინდელ ნომერში გამოვთქვით ვარაუდი, რომ საფეხბურთო ტელეტრანსლაციების მონოპოლისტად გახდომის ყველაზე დიდი შანსი ტელეკომპანია „რუსთავი 2"-სა და ჯერ მაუწყებლობადაუწყებელ „მწვანე კუნძულს" აქვთ. ამის თქმის საფუძველს ამ ტელეკომპანიების უკან სერიოზული ფინანსური ჯგუფების დგომა განაპირობებს.

შეიძლება ითქვას, რომ ფეხბურთის ფედერაციის „რჩეული" ტელეკომპანია დაეუფლება საქართველოში ჩემპიონთა ლიგის მატჩებისა და მიმოხილვის ტრანსლაციის უფლებასაც. ასეთი პროექტის განხორციელებით დაინტერესებულ ტელეკომპანიას უეფაში რეკომენდაცია სწორედ ადგილობრივმა ფეხბურთის ფედერაციამ უნდა გაუწიოს.

ასეთი ხელშეკრულების გაფორმება ორივე მხარისთვის უაღრესად ხელსაყრელი იქნება. ხელშეკრულების მონაწილე ტელეკომპანია არნახულად გაიზრდის აუდიტორიას და რეკლამიდან შემოსულ თანხებს. ფედერაცია მაქსიმალურად გადაწყვეტს თავის ამოცანას ფეხბურთის პროპაგანდის თვალსაზრისით და ღარიბ კლუბებს ნაღდი ფულით შეეშველება. მოგებული დარჩებიან სპორტის ამ სახეობის ქომაგებიც, რომელთაც საკუთარ ტელევიზორში, გამართული ქართულით ნებისმიერი საფეხბურთო რეპორტაჟის ნახვა შეეძლებათ.

**სიმონ მენაბდე**

პირველად საქართველოში, საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირი, საქართველოს მინი-ფეხბურთის ასოციაცია, საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია და საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტი აწყობენ მინი-ფეხბურთის ტურნირს სახელწოდებით

**საქართველოს ახალგაზრდობის თასი**

**ტურნირის საინფორმაციო მხარდაჭერას უზრუნველყოფენ გაზეთი „სარბიელი" და რადიო „აუდიენცია".**

მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ყველა რეგიონის ახალგაზრდებს. ერთდროულად გათამაშდება: *თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, გურიის, სამეგრელოს, იმერეთის, რაჭის, შიდა ქართლის, მესხეთ-ჯავახეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის და ქვემო ქართლის* „ახალგაზრდობის თასი". რეგიონებში გამარჯვებულები გაითამაშებენ „საქართველოს ახალგაზრდობის თასს".

გამარჯვებულთათვის დაწესებულია სოლიდური საპრიზო ფონდი.

მონაწილეობის მსურველებს გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ:

თბილისი — 92-11-90, 39-34-27, 29-28-94; ბათუმი — 7-23-71; ოზურგეთი — 6-54-99; ზუგდიდი — 2-20-51; ქუთაისი — 4-54-11; ონი — 2-04-77; გორი — 2-58-27; ახალციხე — 2-13-72; თელავი — 3-11-69; დუშეთი — 2-13-33; რუსთავი — 12-96-51

# ილია კოკაია: ტრანსფერებზე ფედერაციის დარაჯები მუშაობენ



ილია კოკაია

*პირადად ჩემთვის ერთგვარი სიურპრიზია ილია კოკაია, „შერიფის“ საფეხბურთო აგენტი. „შერიფი“ გეხსომებათ (მის შესახებ ორი დღის წინაც გიუწყებოდით), მოლდოვური ამბიციური კლუბია, ილია კოკაია კი ფიფას ლიცენზირებული ერთადერთი ქართველი აგენტი გახლავთ. იქნებ შესავალისთვის ესეც ზედმეტი იყოს. რატომ? ამას ქვემოთ შეიტყობთ. რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, სხვა სახელი ვერც მოვუძებნე საქმიანი საუბარი, ერთი კაცის საუბარი (თორემ მე რომ დიდად ამ გამომიდგია თავი, ქვემოთ ამაშიც დარწმუნდებით).*

*ძველი ამბავია ჩვენში თქმას ქმნა არ მოსდევს და ამდენი, მხოლოდ თქმითაც, ბევრიც გადაღეჭილია, მაგრამ არის ხოლმე ნათქვამი, შემდეგ დაფიქრების დიდ სურვილს რომ გიტოვებს, საფიქრალი კი ქართული ფეხბურთის შემხედვარეთ კარგა ხანს არ გამოელევათ...*

— მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში ვცხოვრობ, ქართულ ფეხბურთზე ინფორმაციის სიმწირეს ნამდვილად არ ვუჩივი. გეხსომებათ, უკრაინის ნაკრებთან მატჩის წინ, როცა ეროვნულ გუნდში ვაჟა თარხნიშვილი გამოიძახეს, ამას ჟურნალისტების მხრიდან გარკვეული რეზონანსი მოჰყვა — დაახლოებით ამგვარი შინაარსის — რა უნდა, სადღაც მოლდოვის ჩემპიონატში მონაწილე კაცს საქართველოს ნაკრებშიო. იცით რა ხდება მოლდოვაში? ვერ ვიტყვი, რომ იქ ფეხბურთის ბუმია, მაგრამ უაღრესად პროფესიონალური მიდგომაა საქმისადმი. „შერიფის“ პრეზიდენტმა ვიქტორ გუშანმა უაღრესად სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი. კლუბს არავითარი ინფრასტრუქტურა არ გააჩნდა, მაგრამ დიდი ფულის მეშვეობით ბაზაც დაიქირავა და საჭირო ხალხიც შეკრიბა. წარმოიდგინეთ, მთავარი მწვრთნელის — სერგეი ბოროვსკის გარდა „შერიფში“ მწვრთნელის სტატუსით კიდევ ცხრა ადამიანი მუშაობს, ისინი ზედმიწევნით ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ყოველი ვარჯიშის შემდეგ კლუბის თითოეულ ფეხბურთელს უტარდება სამედიცინო კომპიუტერული შემოწმება, რის საფუძველზეც დგინდება, თუ რა მდგომარეობაშია მოთამაშე კონკრეტული ვარჯიშის შემდეგ. რა უფრო სჯობს მისთვის, დატვირთვის მომატება, თუ პირიქით შემცირება, მწვრთნელიც შესაბამისად იქცევა და ნათელი წარმოდგენა ექმნება, ვინ როგორ ფორმაშია კონკრეტული მატჩის წინ. კეთდება ჩვენში ასეთი რამ? მეტსაც გეტყვით, არის ასეთი ტერმინი ემპეკა. როგორ გგონიათ, რამდენ ქართველ მწვრთნელს სმენია ამის შესახებ? ვფიქრობ, არც ერთს. ერთს ვკითხე და მიპასუხა, უნგრეთის საფეხბურთო კლუბიაო. სინამდვილეში ეს ინიციალები ქართულად ასე ჟღერს — ჟანგბადის მაქსიმალური მოთხოვნა. ეს მოთხოვნა ფეხბურთელის ორგანიზმში 60-ზე დაბალი არ უნდა იყოს. 1974 წელს გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ ჰელმუტ შიონს რამდენიმე მოთამაშის გაშვება მოუხდა იმის გამო, რომ ამ ფეხბურთელთა „ჟანგბადური“ მაჩვენებელი 70-ზე(!) დაბალი იყო. ეს მოხდა 25 წლის წინ, დღეს კი თანამედროვე ფეხბურთი ძირითადად მძლავრ ფიზიკურ კონდიციებზეა დამყარებული. თქვენ მოლდოვა ეძახეთ და ამ კომპონენტში დაწუნებული ფეხბურთელი იქაურ გუნდში ვერანაირად მოხვდება. გარწმუნებთ, ასეა. ვაჟა თანხნიშვილის გარდა „შერიფში“ ჩემი მიყვანილი ქართველი ფეხბურთელების ჟანგბადის მაქსიმალური მოთხოვნა 42-სა და 43-ს შორის მერყეობდა. ამის შემდეგ მათ გაიარეს საგანგებო ოთხჯერადი ტესტები და აღმოჩნდა, რომ სასურველ კონდიციამდე „გაზრდა“ მხოლოდ დიმიტრი არსოშვილს შეუძლია. ბუნებრივია, მასთან მუშაობა გაგრძელდება. აი, თამაზ პერტიას და ცეზარ ხუროძის საკითხი კი, შეიძლება ითქვას, გადაწყვეტილია — ისინი „შერიფს“ დაშორდებიან.

სხვათა შორის, რამდენიმე დღეა, რაც სერგეი ბოროვსკი მოლდოვაში დაბრუნდა. იგი საქართველოში იყო. ჩვენ გვსურდა, „შერიფისთვის“ რამდენიმე ქართველი მოთამაშე შეგვერჩია (გუნდის ქართველებით გაძლიერების პერსპექტივა კლუბის პრეზიდენტსაც ერთობ ხიბლავს) და ამ მიზნით „ბათუმისა“ და „დინამოს“ ამას წინათ გამართულ შეხვედრას დავესწარით. პირდაპირ გაოცებული დავრჩი. ფეხბურთელები დაღოღავდნენ მოედანზე, დარბოდა მხოლოდ ორი მოთამაშე — ერთი, ვისაც ბურთი ჰქონოდა და მეორე მისი ვიზავი, დანარჩენები იდგნენ. ეს არის ქართული ფეხბურთი? — მკითხა გაკვირვებულმა ბოროვსკიმ. ჩვენში არ არსებობს მოთამაშის ფიზიკურად მომზადების სრულყოფილი მეთოდი. ჰკითხეთ საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ნებისმიერ ფეხბურთელს, როდის ირბინეს კროსი ბოლოჯერ. დარწმუნებული ვარ, ბევრი ვერც გაიხსენებს. არადა, თანამედროვე მოთხოვნით, ფეხბურთელი დღეგამოშვებით მაინც უნდა დარბოდეს კროსს. ქართველ ფეხბურთელებს ცუდმა მომზადებამ ერთგვარი დამახინჯებული ფსიქოლოგია ჩამოუყალიბა. თავად განსაჯეთ, ექსტრაკლასის ფეხბურთელი თამაშის დროს ერთი გაქცევით დახარჯული ენერგიის აღდგენას 10-15 წამს ანდომებს, ქართველ მოთამაშეს კი ამის გასაკეთებლად 5-10 წუთი სჭირდება და, ბუნებრივია, სირბილსაც მაქსიმალურად ერიდება...

**— თქვენ ფიფას ლიცენზირებული ერთადერთი ქართველი აგენტი ბრძანდებით, მაგრამ ჩვენში სატრანსფერო საქმეში იმგვარი ქაოსია, თქვენი სტატუსის ბარემ ათი კაციც რომ გვყავდეს, ვეჭვობ, ეს საქმეს სასიკეთოდ წაადგეს. ვგონებ, პრობლემა სხვა რამეშია საძიებელი. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?**

— ნაწილობრივ გეთანხმებით. თავის დროზე ცნობილ ნოდარ ახალკაცს სურდა საქართველოში საფეხბურთო აგენტთა ინსტიტუტის ჩამოყალიბება, მაგრამ არ დასცალდა. ეს საქმე რომ გამოსულიყო, ვფიქრობ, ამგვარ ქაოსს ნაწილობრივ თავიდან ავიცილებდით. დღეს კი რა ხდება — ტრანსფერებზე ჩვენში მსაჯები, ფედერაციის დარაჯები და კიდევ ათასი ჯურის დილეტანტები მუშაობენ. შედეგიც სახეზეა. რა ნაცნობი სურათია არა? უცხოეთში წასულები უკან ბრუნდებიან და ისმის ცნობილი, ათასგზის გაცვეთილი სიტყვები — ორ თვეში უნდა ჩავიდე და კონტრაქტი გავაფორმო, ან პირობებზე ვერ შევთანხმდით, ანაც უკეთესი ვარიანტი გამომიჩნდა და ასე დაუსრულებლად. წუთითაც არ დაიჯეროთ მსგავსი რამ. უცხოეთში კლუბს თუ ფეხბურთელი სჭირდება, მას უკან არ გამოუშვებს. სასაცილო არ არის, ხესუს ხილი დაიჭირეს და ნემსაძესთან კონტრაქტი ვერ გააფორმა. ხილი დახვრეტაზე რომ მიჰყავდეთ, წამოწყებულ საქმეს ბოლომდე მაინც მიიყვანს. ან განთავისუფლების შემდეგ რატომ არ ინება კონტრაქტზე ხელის მოწერა. ცოტა ხნის წინ გერმანიაში ფედერაციიდან დამირეკეს, არიქა, გვიშველე, პეტრიაშვილი ბულგარეთშია დარჩენილი, წამოსასვლელი ფული არა აქვს და დაეხმარეო. გეკითხებით, რა უნდოდა, როგორ მოხვდა, რისთვის წავიდა იგი ბულგარეთში... დღეს ეს ფეხბურთელი „სამგურალში“ თამაშობს. რა, ცუდი პირობები დაახვედრეს უცხოეთში და კლუბის ხელმძღვანელობას ვერ შეუთანხმდა? სამწუხაროდ, მოთამაშის ტრანსფერი დღეს ქართულ ფეხბურთში ფულის შოვნის ერთადერთი გამოკვეთილი გზაა. პრობლემაც ამაშია, ასეთი ქვეყანა შორს ვერ წავა. არც ერთ განვითარებულ საფეხბურთო ქვეყანაში — ინგლისში, იტალიაში, გერმანიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, გნებავთ ბელგიასა და ჰოლანდიაში, ფული მხოლოდ ტრანსფერით არ იშოვება. იქ მოგებას ჯანსაღი ფეხბურთი იძლევა. ჩვენთან კი მსაჯების და დარაჯების დრო დგას. ქაოსი მანამდე იქნება, სანამ ქართული საფეხბურთო მექანიზმი წელში არ გაიმართება. ბრმად მოთამაშის უცხოეთში წაყვანა როგორ შეიძლება. თითქმის ყოველდღე მომდის კორეიდან ფაქსი, ქართველი მოთამაშეების ჩაყვანას მთხოვენ. როგორ შემიძლია ამის გაკეთება, როცა არ ვიცი, რა პირობებს სთავაზობენ იქაური კლუბები ჩემს კლიენტს. სანამ ადგილზე არ ჩავალ და მათი პირობების ვარგისიანობაში არ დავრწმუნდები, გამორიცხულია, იქ ვინმე წავიყვანო. ამიტომ ტრანსფერი ცოტა ძნელი და რთული პროცესია. და მეორეც — ვის სჭირდება დღეს ქართველი ფეხბურთელი? ერთეულებზე არაფერს ვამბობ, ისინი მართლაც იმსახურებენ სოლიდურ კლუბებში თამაშს. ისევ და ისევ სათანადო ფიზიკური კონდიციების უქონლობის გამო დღეს ფაქტობრივად ჩვენს ჩემპიონატში ნორმალური საფეხბურთო კლასის ფეხბურთელი არ არსებობს. კი, ბატონო, ტექნიკის ხარჯზე მშვენივრად ჩაატარებ ერთ შეხვედრას, მეორე და მესამე ჩაგივარდება, მეოთხე მატჩს ძალების აღდგენას მოანდომებ, მეხუთეში ნახევარი ძალით შეძლებს თამაშს, გეკითხებით, ვინ გაცლის ამდენს? კლუბი, რომელიც სეზონში საშუალოდ 40 მატჩს ატარებს, მოგცემს ამის საშუალებას? ნებისმიერი კლუბი უცხოელს იმისთვის ყიდულობს, რომ მასში თანამემამულეზე უკეთესი მოთამაშე ეგულება. ამიტომ ნებისმიერ ფეხბურთელს ვეუბნები, მითხრან, რომელ გუნდში სურს თამაში, დაწყებული „ბარსელონადან“, დამთავრებული თუნდაც „შერიფით“. არ არის პრობლემა გასასინჯად ყველგან მივიყვან, მაგრამ აქვთ კი თავის იმედი, დააკმაყოფილებენ ისინი ძირითად მოთხოვნებს? გვყავს დღეს ისეთი ფეხბურთელი, ვინც, მაგალითად, გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში შეძლებს თამაშს? თქვენ გეგულებათ ვინმე ასეთი? მითხარით მისი გვარი და დღესვე წავიყვან...

**— წესით და რიგით თანამემამულესთან თანამშრომლობა უფრო უპრიანი უნდა იყოს, ცნობილი ქართველი ფეხბურთელები კი რატომღაც არ გწყალობენ, ისინი საქმიან ურთიერთობას უცხოელებთან არჩევენ...**

— ყველა ადამიანი არჩევანში თავისუფალია. მეც მყავს ბევრი უცხოელი კლიენტი რუმინელი, უკრაინელი, გერმანელი...) მათი თანამემამულეები მსოფლიოს ფეხბურთის სატრანსფერო საქმეში დიდ სიტყვასაც ამბობენ, მაგრამ... ასე რომ, ამაში უჩვეულოს ვერაფერს ვხედავ. ისე, ქართველი კლიენტითაც შემიძლია ვიამაყო. ვაჟა თარხნიშვილზე მოგახსენებთ. სერგეი ბოროვსკი აღფრთოვანებულა მისით. ამას წინათ განაცხადა, თარხნიშვილი იმ დონეზე თამაშობს, როგორც ჩემს დროს ჩივაძე საბჭოთა კავშირის ნაკრებშიო. ამით იმის თქმა კი არ უნდოდა, რომ ვაჟა, ჩივაძის დონის ფეხბურთელია, უბრალოდ, თარხნიშვილს, ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის მსგავსად, ყველა თამაშში საოცარი მაჩვენებელი აქვს. მისი ტექნიკური წუნი თითოეულ მატჩში 12-13 პროცენტს არ აღემატება. ეს ფაქტია. სხვათა შორის თარხნიშვილი გუნდმა ერთსულოვნად აირჩია „შერიფის“ კაპიტნად.

**— ეროვნული ნაკრები ქართველ გულშემატკივარს მართლაც ტკივილად ექცა...**

— ევროპის რომელიმე კლუბში ერთბაშად ხუთი ქართველი რომ თამაშობდეს და ამ გუნდმა საერთაშორისო სარბიელზე ვარსკვლავები მოწყვიტოს, ეს მაინც არ იქნება ქართული ფეხბურთის ჭეშმარიტი სახე, რადგან იგი მთლიანად ეროვნულ ნაკრებშია. რამდენიმე დღეში ნორვეგიის ნაკრებს ვხვდებით ერთი შეხედვით ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსიც გვაქვს, მაგრამ... ვწუხვარ, ამის თქმა რომ მიხდება — ჩვენი შანსები ნულის ტოლია. რატომ ვიქმნით ილუზიებს, რატომ გვეგონა (და გვგონია), რომ საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებდა... ლატვიის მაგალითი ავიღოთ. შესარჩევი ციკლის დაწყების წინ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ რევაზ ძოძუაშვილს ერთი რამ სთხოვა, ნუ წააგებთ 5:0, 6:0 და ყველანაირად გვერდში დაგიდგებითო. ჩვენთან კი ხელების შლა დავიწყეთ და გუცაევს „ადვილი ჯგუფიდან“ უპრობლემოდ გასვლა მოვთხოვეთ. წარმოიდგინეთ, როგორი განსხვავებული ფსიქოლოგიური განწყობით შეხვდებოდა ორივე ნაკრები შესარჩევი ციკლის დაწყებას. ყველაზე მთავარი — ძოძუაშვილის უკან ლატვიის ფეხბურთის ფედერაცია დგას, იგი მარტო არ არის. საერთო ჯამში ყველას თავის წვლილი შეაქვს, გუცაევი კი მარტოა, სრულიად მარტო, ეული და განადგურებული, ასეთ პირობებში რას ვითხოვთ? იცით, გერმანიის ეროვნული ნაკრების სამსახურში 5 000 კაცია, ჩვენთან... უდიდეს შეცდომა მიმაჩნია ამ ეტაპზე გუცაევის გუნდიდან გაშვება, შეცდომა იყო ჩივაძის და ყიფიანის ვადაზე ადრე დათხოვნაც. და მაშინ, როცა გუცაევს უნდა ვაიძულებდეთ, შესარჩევი ციკლი ჩაამთავროს, ვაკეთებთ საპირისპიროს. არც უცხოელი მწვრთნელის მოწვევა მიმაჩნია მართებულ გადაწყვეტილებად. მას შენი ეროვნული მრწამსი ნაკლებ აინტერესებს, მთავარია, ჯიბე გაისქელოს, ვართ კი დღეს უცხოელის ჯიბის გამსქელებლები?

ასე რომ, ქართველებს მეტი განსჯის უნარი გვმართებს და საქმის საკეთებლად დიდი ძალისხმევა გვჭირდება, მაგრამ ვშიშობ, ეს საკეთებელიც ნელ-ნელა თვალსა და ხელს შუა გვეცლება.

** პაატა ძვანტალიანი**

## ლოკომოტიველები არ ნებდება

„სამგურალი“ — „ლოკომოტივის“ ნახევარფინალის შედეგმა, ბუნებრივია, რკინიგზელთა საშეფო გუნდის არაერთი გულშემატკივარი გააწბილა. წყალტუბოელთა გამარჯვება თუ მთლად სენსაციად არა, გარკვეულ მოულოდნელობად შეიძლება ჩაითვალოს. „ლოკომოტივის“ ირგვლივ აგორებული ათასი ტყუილ-მართალიდან გამომდინარე, საფეხბურთო საქართველოში ერთგვარი ინტერესითაც კი მოელოდნენ, რა მოჰყვებოდა თასის ნახევარფინალს, მაგრამ ყველას ვურჩევთ სიმშვიდის შენარჩუნებას — რკინიგზელთა შორის არავითარ რეორგანიზაციას, მცირეოდენ ცვლილებასაც კი არ ექნება ადგილი.

— რაც მოხდა, მოხდა, წაგება კი გვეწყინა, მაგრამ ამას გუნდში რაიმე ცვლილებები არ მოჰყვება. გავაგრძელებთ თამაშს, გამოსვლას ჩემპიონატში და ძველებურად ვიბრძოლებთ პრესტიჟისთვის. კიდევ ვიმეორებ — „ლოკომოტივი“ არ იმსახურებდა წაგებას, მაგრამ არ გაგვიმართლა და ამის გამო ვინმესთვის პრეტენზიის წაყენება აზრადაც არავის მოსვლია — განუცხადა „სარბიელს“ „ლოკომოტივის“ ვიცე-პრეზიდენტმა ტარიელ ღვაბერიძემ.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



თემურ მახარაძე

გაგროვებ თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების შეხვედრათა პროგრამებს.

ვეძებ ევროთასებზე „დინამოს“ შინ „კარდიფ სიტი“, „ტვენტე“, მტკ და სტუმრად გამართული მატჩების პროგრამებს.

1936-89 წლების საკავშირო ჩემპიონატებში და თასებზე თბილისის „დინამოს“ მონაწილეობით გამართული შეხვედრების პროგრამებს.

საქართველოს ნაკრების შინ და სტუმრად ჩატარებული მატჩების პროგრამებს.

ზაურ ძიურჯიევი

გლდანის მასივი,
I მიკრორაიონი, მე-8 კორპუსი,
ბინა 31. ტელ: 67 09 31

**ბოლონია**

**1:1 (0:0)**

**მარსელი**

1:0 პარამატი (18), 1:1 ბლანი (86პ)
ბოლონია: ანტონიოლი, ბია, მანგონე, რინალდი, პარამატი, მაროკი, ინგესონი, ფონტოლანი (კაპიოლი 76), ბინოტო (ნერვო 76), სინიორი, ანდერსონი (კოლივანოვი 86)
მარსელი: პორატო, გალასი, ბლანი, და სილვა, დომორო, ლუქსენი, ბრანდო (მორისი 46), ბრავო (გურვენეკი 76), პირესი, დუგარი (კამარა 62), რავანელი
გაფრთხილება: რავანელი, ბრავო, ლუქსენი, ანტონიოლი, ბრანდო, გალასი
გაძევება: მაროკი (88)
მსაჯი: მერკი (გერმანია)

# ბოლონიაში ადუღებული ჩაიდანი

UEFA CUP

**უეფას თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩების მიმოხილვა**



REUTERS ბოლონიიდან

სტეფან კურბისს (შუაში) იტალიელი კარაბინიერი და ბრაზილიელი და სილვა ამშვიდებენ

...„მარსელის“ თავკაცი როლან კურბისი მუხლებზე იდგა და ღმერთს მადლობას სწირავდა. მისი ბიჭები, პირველად ამ ფრანგული კლუბის ისტორიაში, უეფას თასის ფინალში გავიდნენ.

...ზუსტად იმ დროს კი მისი ვაჟი „დალაკრას“ სტადიონზე გაშმაგებული დაქროდა. უმცროს კურბისს ხოტორა თავი დასისხლიანებული ჰქონდა და, ალბათ, ამის შემოქმედს ეძებდა.

...ზუსტად იმ დროს, როდესაც ფრანგი თავკაცის ვაჟი დამნაშავეს ეძებდა, ხოლო მამამისი უფალს ემადლიერებოდა, „ბოლონიას“ და „მარსელის“ ფეხბურთელებმა გასახდელისკენ მიმავალ გვირაბთან ისეთი ჩხუბი გამართეს, ყარაჩოღელებს შეშურდებოდათ.

ჩხუბი ასე დაიწყო. გასასვლელთან მდგომ ფეხბურთელთა ერთ ჯგუფში უცბად ჩოჩქოლი ატყდა, სავარაუდოდ, კონფლიქტს ბოლონიელმა ამადეო მანგონემ დაუდო სათავე. ჯგუფში თურმე იტალიელები სჭარბობდნენ — პარამატი, კაპიოლი, მაინი, რომლებმაც კრისტოფ დუგარის დააყარეს მუშტები და წიხლები. მოულოდნელად აყალმაყალში ზემოხსენებული სტეფან კურბისი ჩაერთო და ჯამპიერო მაინის ისეთი დაარტყა, საწყალს ლაწვი გაუსკდა და სისხლი წამოუვიდა. ხელჩართულ ბრძოლას სრულიად უდანაშაულო იაპონელი ფოტოგრაფი შეეწირა, რომელიც შემდეგ საავადმყოფოში გააქანეს.

ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, სიტუაცია თანდათან უმართავი ხდებოდა და საქმეში სამართალდამცავები ჩაერივნენ. მარტო იტალიელები არა, მოჩხუბრების გასაშველებლად მანამდე 2000 მარსელელი ქომაგის დასაშოშმინებლად ტრიბუნაზე მყოფი ფრანგი პოლიციელებიც ჩავარდნენ მოედანზე.

კონფლიქტის დაწყებამდე ბოლონიელები გულშემატკივრებიც აქტიურობდნენ, მათ სტუმარ ფეხბურთელებს სანთებელები, ფორთოხლები და სხვა რამე რუმეები დაუშინეს.

გუშინ უეფამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ საქმის შესწავლის პროცესშია და გადაწყვეტილებას უახლოეს მომავალში მიიღებს. სავარაუდოდ, სხვადასხვა სიმძიმის სანქციებით ორივე მხარე დაისჯება.

რა მოხდა ამისთანა სამშაბათს „დალაკრაზე“?

ყველაფერი მშვიდად დაიწყო. პირველი ტაიმი საერთოდ უინტერესო გამოდგა, ფრანგებიც და იტალიელებიც ზედმეტად ნერვიულობდნენ. ნერვიულობას კი უმეტესად შეცდომები მოსდევს. დაახლოებით პირველი 15 წუთი უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ, სხვა თუ არაფერი, მათ ისტორიაც უფრო მდიდარი აქვთ და კლასიც — მაღალი. აი, ბოლონიელებს კი აშკარად ეტყობოდათ, რომ არნახულ წარმატებას უკვე მიაღწიეს, ისევე, როგორც, ვთქვათ, 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში ბულგარელებს.

თუმცა მე-18 წუთზე იტალიელებმა სერიოზული ნაბიჯი გადადგეს წინ — მათ გაუჩნდათ შანსი, პირველად თავიანთ 90 წლიან ისტორიაში ფინალში გაეღწიათ. გაშვებული გოლი ფრანგთა დაცვის და ნაწილობრივ მეკარის ბრალი იყო. დაცვის იმიტომ, რომ მეტოქის კაპიტანი მიქელე პარამატი საჯარიმოში უყურადღებოდ დატოვა, ხოლო პორატოსი იმიტომ, რომ მან ბურთი ახლო კუთხეში გაუშვა. ასე თუ ისე, ანგარიში გაიხსნა. დარჩენილ დროში, შესვენებამდე საინტერესო აღარაფერი მომხდარა, თანაბარი, არაფრისმთქმელი დმ მძიმე თამაში მიმდინარეობდა.

მეორე 45 წუთი სრულიად განსხვავებული გახლდათ. ფრანგები ამჯერად გაცილებით დიდ უპირატესობას ფლობდნენ. „ბოლონია“ ამას აშკარად არ ელოდა, ძალიან დაიბნა. „მარსელმაც“ იგრძნო ეს და ტემპს მოუმატა. კი აუჩქარეს ფრანგებმა, მაგრამ სახიფათო მომენტი ანტონიოლის კართან მაინც არ ჩანდა. მალე ორივე გუნდი მიეჩვია ასეთ მდგომარეობას და თამაშმა, ცოტა არ იყოს, მონოტონური ხასიათი მიიღო, თუმცა დაძაბულობა პირველად სწორედ მაშინ გახდა საგრძნობი.

მატჩი თანდათან ცეცხლზე მდგარ ჩაიდანს დაემსგავსა. „ბოლონია“ კონტრშეტევებზე გადაერთო, რადგან „მარსელი“ დიდი ძალებით გადავიდა თავდასხმაში. ამ ტაქტიკამ გაამართლა, ოღონდ ეგ არის, რამდენიმე მეტად ხელსაყრელი შანსი მასპინძლებმა ქარს გაატანეს. სწორედ აქ გამოჩნდა კიდევ ერთხელ, რომ „ბოლონია“ კარგი, მაგრამ უკლასო გუნდია. ასეთებს კი უეფას თასის ფინალში არაფერი ესაქმებათ.

შესაძლებლობების გამოუყენებლობამ, ფრანგთა განუწყვეტელმა, უფხო შეტევებმა, შეხვედრის მნიშვნელობამ და სტადიონზე გამაყრუებელმა ხმაურმა მდგომარეობა უკიდურესად დაძაბა. ჩაიდანი გახურდა.

იმატა უხეშობამ, ყვითელი ბარათის ფრიალმა. ამას პატარ-პატარა საქმის გარჩევები და ჯაჯგურიც მოჰყვა.

ეს ამბები რომ ხდებოდა, კურბისი შეცვლებს აკეთებდა. ერთ-ერთ შეცვლაზე მან მოედანზე ფლორიან მორისი შეუშვა, ბიჭი, რომელიც 86-ე წუთზე „ბოლონიას“ საჯარიმოში შეიჭრა და ანტონიოლიმ მოცელა.

მსაჯის ხელში უმალ გაჩნდა ყვითელი ბარათი, მერე კი ამ ხელმა საფეხბურთო სამყაროს ამცნო, სტუმრებმა პენალტი უნდა დაარტყანო.

ჩაიდანი კიდევ უფრო გაცხელდა.

ბურთს, რომელიც თერთმეტმეტრიან ნიშნულზე იდო, ზღვისპირელთა კაპიტანი ლორან ბლანი მიუხალოვდა. წამიც და იგი ხელებგაშლილი გაურბოდა მისალოცად გაკიდებულ თანაგუნდელებს. მსაჯის ხელი კი, წესით ცენტრისკენ რომ უნდა ყოფილიყო გაშვერილი, კვლავ პენალტზე მიუთითებდა — ემოციებისგან გადაღლილი რავანელი [illegible] რდა საჯარიმოში. თუმცა ამით არაფერი შეცვლილა, ბურთის გორებაში გამობრძმედილმა კაპიტანმა სიმშვიდე შეინარჩუნა და იგივე განმეორდა — ბლანი გარბის, მას სხვა მარსელელები მისდევენ და ბოლოს ყველა ერთად ხარობს.

ჩაიდანი დუღილის პირას მივიდა.

მერე სინიორის ახლოდან დარტყმული იყო, რომელსაც შეეძლო იგი გმირი გაეხადა, მაგრამ ბედის ირონია ხომ იცით რაც არის, ბურთი სტეფან პორატომ მოიგერია და მორის-ბლანის გმირული დუეტი ტრიოდ აქცია.

და ჩაიდანი ადუღდა.

— თქვენ არ გცოდნიათ ღირსეულად დამარცხება — უთხრა გასასვლელისკენ მიმავალმა კურბისმა ბოლონიელებს.

მისმა იტალიელმა კოლეგამ, კარლო მაცონემ კი ცნობისმოყვარე ჟურნალისტებს რიტორიკული კითხვა დაუსვა: „რაღაც სისულელეებზე საუბარი გსურთ, თუ თამაშზე“?

ჯუზეპე სინიორის აღელვებას საზღვარი არ ჰქონდა:

— საფინალო სასტვენის შემდეგ ვიღაც გადარეული დავინახე, რომელიც მოედანზე გამომწვევად იქცეოდა, აშკარად ეტყობოდა, მუშტები ექავებოდა. მერე მითხრეს, რომ ეს „მარსელის“ თავკაცის შვილი იყო. თუ ეს სიმართლეა, სირცხვილი ფრანგებს.

მეტოქე ორჯერ მოიქცა უკადრისად, ერთხელ მარსელში, ერთხელაც დღეს. ჩვენ ბურთს აუტში ვაგდებდით, როცა რომელიმე მარსელელი ტრავმას იღებდა, ისინი კი აღარ გვიბრუნებდნენ. დღევანდელი მატჩი რომ დასრულდა, ფრანგები ჩვენს გულშემატკივრებთან მივიდნენ და ცინიკურად იქცეოდნენ. კი, მათ მოგვიგეს, მაგრამ ამის აღნიშვნა უფრო ღირსეულად შეიძლებოდა. ფორცა „პარმა“! — საუბრის ბოლოს სინიორიმ ლოზუნგიც გამოაცხო, რომლითაც 12 მაისს, მოსკოვში, უეფას თასის ფინალში თანამემამულეებს დაუჭირა მხარი.

— ჩვენსას მივაღწიეთ და ამით ძალიან ბედნიერი ვარ. პარამატის გოლმა თითქოს გაგვტეხა, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლეთ. ახლა მხოლოდ „პარმაზე“ და მომავალ ფინალზე ვიფიქრებთ — თქვა ლორან ბლანმა.

ისე, 12 მაისს პარმელთა დამარცხება ბლანს და კომპანიას ძალიან გაუჭირდება. 1993 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელებს მოსკოვში დისკვალიფიცირებული მცველი ვილიამ გალასი, ნახევარმცველი პეტერ ლუქსენი და იტალიელი ფორვარდი ფაბრიციო რავანელი გამოაკლდებათ.

**დავით ძოვზირიძე**

**პარმა**

**2:1 (3:1)**

**ატლეტიკო**

1:0 ბალბო (35), 1:1 რობერტო (63), 2:1 კიეზა (83)
პარმა: ბუფონი, სარტორი (მუსი 40), სენსინი, ტურამი, ფუზერი, ბაჯო (ბოგოსიანი 53), ფიორე, ბენარივო, ვერონი (ვანოლი 84), კიეზა, ბალბო
ატლეტიკო: მოლინა, ტონი, სანტი, შამოტი, ხელი, ვალერონი, მენა, რობერტო, ჟუნინიო, ტევენე (ტორისი 67), ლარდინი (სერენა 46)
გაფრთხილება: სანტი
მსაჯი: დარკინი (ინგლისი)

# ეს ხომ ყველამ იცოდა

UEFA CUP

**უეფას თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩების მიმოხილვა**



REUTERS პარმიდან

იტალიელმა მუსიმ ჟუნინიოს (№10) ბურთი აართვა

ამ შეხვედრამ ინტერესი ორი კვირის წინ დაკარგა. მაშინ მადრიდს უეფას თასის 1995 წლის მფლობელი „პარმა“ ეწვია, „ატლეტიკოს“ 3:1 მოუგო და, ფაქტობრივად, თავი მოსკოვში დაიგულა. ესპანეთის დედაქალაქში კარგად გამოჩნდა, რომ იტალიელები რადომირ ანტიჩის გუნდს ერთი თავით სჯობნიდნენ და ეს ამბავი განმეორებით მატჩში, პარმაში, დამტკიცდა.

ვიღაც იტყვის, ბუფონი სასწაულებს სჩადიოდა, თორემ „ატლეტიკოს“ შეეძლო პირველ ტაიმში ერთი-ორი გოლის გატანა და მერე არავინ იცის, რა მოხდებოდაო. მაგრამ საქმეც ეს არის — „პარმას“ ბუფონი და მისი დარი ვარსკვლავები რომ ჰყავს, იმიტომაა მადრიდულზე უფრო კარგი გუნდი.

ისე, მატჩის დასაწყისი მართლაც ესპანელების იყო. სანამ მასპინძლები გამოფხიზლდებოდნენ, მათ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს რუსთავში ნამყოფი (საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა მაშინ 2:0 მოუგო იტალიელ თანატოლებს) ბუფონის კართან.

მერე კი „პარმამ“ თამაში დაალაგა და ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მოსალოდნელი იყო. ძალიან მაღალ დონეზე ითამაშა არგენტინულმა წყვილმა — ხუან ვერონმა და აბელ ბალბომ. პირველი გოლი სწორედ მათ შექმნეს — ვერონმა „ატლეტიკოს“ შეტევა ჩაშალა, სწრაფად გადაკვეთა მოედნის ცენტრი და ბრწყინვალე პასი მიაწოდა გამოცდილ თანამემამულეს, რომელმაც აუღელვებლად დაასრულა ლამაზი კომბინაცია.

64-ე წუთზე კი გაქვითა რობერტომ ოსკარ მენას კუთხურის შემდეგ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სტუმრებს მეტის გასაკეთებლად არც დრო დარჩენოდათ და არც ენერგია.

— „პარმამ“ ყველაფრით გვაჯობა და ცხადი იყო, რომ მას ვერ გავცდებოდით. დასანანია, ფინალთან ხომ ასე ახლოს ვიყავით, მაგრამ სიმართლეს თვალებში უნდა შევხედოთ — უძლიერესმა გაიმარჯვა. არა მგონია, იტალიელებს თასის მოგებაში ვინმემ ან რაიმემ შეუშალოს ხელი — მადრიდელთა ბრაზილიელი გამთამაშებელი ჟუნინიო სულგრძელი გახლდათ.

სანამ ენრიკო კიეზა საბოლოო ანგარიშს დააფიქსირებდა, ამის გაკეთება ვერონსაც შეეძლო. მას ბალბომ გაუწია ასისტენტობა, მაგრამ უნიჭიერესი გამთამაშებლის დაახლოებით 15 მეტრიდან დარტყმული უშედეგო გამოდგა.

— ბოლო დროს ხშირად გვაკრიტიკებენ სერია A-ში წაფორხილების გამო, მაგრამ ორ ფრონტზე ბრძოლა ძალიან ძნელია. დღეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ „პარმა“ უეფას თასის ყველაზე ღირსეული პატრონი იქნება. ჩვენ გავიმარჯვებთ — განაცხადა მატჩის შემდეგ ვერონმა.

იტალიელთა თავკაცმა ალბერტო მალესანიმ პრესკონფერენციაზე დაახლოებით იგივე თქვა, რაც არგენტინელმა, ოღონდ დაამატა, მოსკოვში ურთულესი თამაში გველის, „მარსელი“ ხელწამოსაკრავი გუნდი ნურავის ეგონებაო.

„ატლეტიკოს“ ახალდანიშნული მწვრთნელი, იუგოსლავიელი რადომირ ანტიჩი, ყოველი შემთხვევისთვის, თავს იზღვევდა:

— რას იზამ, დღეს „პარმა“ უფრო დიდი გუნდია. ჩვენ ახლა ვიწყებთ ახალი კლუბის მშენებლობას და ამიტომ ფეხბურველებს ვერაფერში დავადანაშაულებ. უეფას თასი, წესით, იტალიაში უნდა გაემგზავროს.

მაშ ასე. 12 მაისს, რუსეთის დედაქალაქში მდებარე „ლუჟნიკებზე“, ერთმანეთის წინაშე პარმული ვარსკვლავთკრებული და იღბლიანი მარსელელები წარსდგებიან. მოუგებს ზედიზედ მეორე იტალიურ გუნდს, „ბოლონიაზე“ გაცილებით ძლიერ „პარმას“ „მარსელი“? ამ კითხვაზე პასუხს ზუსტად 20 დღეში შევიტყობთ.

**ნოდარ ძასრაძე**

## ინგლისი

**ჩარლტონი 1:4 ტოტენჰემი**

1:0 კინსელა (5), 1:1 ივერსენი (57), 1:2 კემპბელი (79), 1:3 დომინგესი (89), 1:4 ჟინოლა (90)

ჩარლტონი: პეტერსონი, პაუელი, რუფუსი, კინსელა, ბოუენი, ტილერი, ჯონსი, მორტიმერი (ბარნსი 65), სტიუარტი, ჰანტი, პრინგლი (მენდონკა 75)

ტოტენჰემი: უოკერი, კარი, ტარიკო, ნილსენი, კემპბელი, ანდერტონი, შერვუდი, ფროინდი (ნილსენი 72), ჟინოლა, ივერსენი, არმსტრონგი (დომინგესი 72)

მსაჯი: გალაჰერი

ლონდონმა კიდევ ერთ დედაქალაქურ დერბის უმასპინძლა. ამჯერად „ჩარლტონ ატლეტიკი" „ველი გრაუნდზე" ლიგის თასის მფლობელ „ტოტენჰემს" დაუხვდა და დიდი ანგარიშით წააგო. არადა, თავიდან მასპინძლები იგებდნენ — მე-5 წუთზე ანგარიში მარკ კინსელამ გახსნა. თუმცა მეორე ტაიმში სტუმრებმა ტემპს მოუმატეს და კლასით აშკარად დაბალი დონის მეტოქეს ბდღვინი ადინეს.

ამ გამარჯვებით „ტოტენჰემმა" მყარად მოიკიდა ფეხი ცხრილის შუაგულში და თუ დარჩენილ ხუთ შეხვედრაში ივაჟკაცებს, მაშინ ევროტურნირების კარსაც შეაღებს. აი, „ჩარლტონი" კი კვლავ სახიფათო კომპანიაში აღმოჩნდა. პრემიერლიგაში ამ სეზონში გადასული გუნდი დიდი შანსია უკან, პირველ დივიზიონში დაბრუნდეს, ვინაიდან ბოლოდან მესამე ადგილზეა, ხოლო პრემიერლიგას სწორედ ბოლო სამი კლუბი ტოვებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 32 | 19 | 10 | 3 | 72:32 | 67 |
| არსენალი | 33 | 18 | 12 | 3 | 48:14 | 66 |
| ჩელსი | 33 | 17 | 13 | 3 | 49:26 | 64 |
| ლიდსი | 33 | 16 | 11 | 6 | 53:29 | 59 |
| ასტონ ვილა | 34 | 14 | 10 | 10 | 45:39 | 52 |
| ვესტ ჰემი | 34 | 14 | 9 | 11 | 39:41 | 51 |
| მიდლსბრო | 34 | 12 | 14 | 8 | 46:41 | 50 |
| დერბი | 33 | 12 | 11 | 10 | 37:41 | 47 |
| ტოტენჰემი | 33 | 11 | 13 | 9 | 40:38 | 46 |
| ლივერპული | 32 | 12 | 8 | 12 | 57:42 | 44 |
| ნიუკასლი | 33 | 11 | 9 | 13 | 44:48 | 42 |
| უიმბლდონი | 34 | 10 | 11 | 13 | 38:55 | 41 |
| ლესტერი | 32 | 9 | 13 | 10 | 34:41 | 40 |
| შეფილდი | 33 | 11 | 5 | 17 | 38:39 | 38 |
| ევერტონი | 34 | 9 | 10 | 15 | 31:41 | 37 |
| ქოვენთრი | 34 | 10 | 7 | 17 | 35:47 | 37 |
| ბლექბერნი | 33 | 7 | 11 | 15 | 35:46 | 32 |
| ჩარლტონი | 34 | 7 | 11 | 16 | 36:48 | 32 |
| საუთჰემპტონი | 34 | 8 | 7 | 19 | 31:63 | 31 |
| ნოტინგემი | 34 | 4 | 9 | 21 | 30:66 | 21 |

### პირველი დივიზიონი

XXXXIII ტური

**ბირმინგემი 1:0 ქუინზ პარკი**

1:0 ფორინტონი (85)

**გრიმსბი 1:2 შეფილდ იუნაიტედი**

0:1 კემპბელი (22), 1:1 ბლეკი (51), 1:2 კემპბელი (59)

**იფსვიჩი 1:0 სტოკპორტი**

1:0 მეჯილტონი (39)

**ნორვიჩი 2:2 ბოლტონი**

1:0, 2:0 რობერტსი (3, 5), 2:1 კოქსი (48), 2:2 ფრენდსენი (74)

**პორტ ვეილი — უოტფორდი**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 43 | 29 | 11 | 3 | 88:27 | 98 |
| იფსვიჩი | 43 | 25 | 8 | 10 | 64:28 | 83 |
| ბრედფორდი | 43 | 24 | 8 | 11 | 76:44 | 80 |
| ბირმინგემი | 43 | 21 | 12 | 10 | 62:34 | 75 |
| ბოლტონი | 43 | 19 | 15 | 9 | 74:56 | 72 |
| ვულვზი | 42 | 19 | 13 | 10 | 60:38 | 70 |
| უოტფორდი | 42 | 18 | 13 | 11 | 58:52 | 67 |
| შეფილდი | 43 | 17 | 12 | 14 | 67:61 | 63 |
| ჰადერფსილდი | 43 | 15 | 14 | 14 | 60:68 | 59 |
| კრ. პალასი | 43 | 14 | 15 | 14 | 55:61 | 57 |
| გრიმსბი | 42 | 16 | 9 | 17 | 39:49 | 57 |
| ნორვიჩი | 43 | 13 | 17 | 13 | 56:57 | 56 |
| ვესტ ბრომვიჩი | 43 | 15 | 10 | 18 | 66:72 | 55 |
| სტოკპორტი | 43 | 12 | 17 | 14 | 48:51 | 53 |
| ტრანმერი | 43 | 11 | 19 | 13 | 59:58 | 52 |
| ბარნსლი | 43 | 12 | 16 | 15 | 53:53 | 52 |
| სვინდონი | 43 | 12 | 11 | 20 | 55:76 | 47 |
| პორტსმუთი | 43 | 10 | 14 | 19 | 53:67 | 44 |
| ქუინზ პარკი | 43 | 11 | 11 | 21 | 45:56 | 44 |
| პორტ ვეილი | 42 | 12 | 7 | 23 | 41:71 | 43 |
| ბერი | 43 | 8 | 17 | 18 | 32:58 | 41 |
| ოქსფორდი | 43 | 9 | 13 | 21 | 41:67 | 40 |
| ბრისტოლი | 42 | 8 | 15 | 19 | 54:74 | 39 |
| ქრიუ | 42 | 9 | 11 | 22 | 48:76 | 38 |



კრისტიან ვიორნსი

## როგორც იქნა!

გერმანელი კრისტიან ვიორნსი, რომლის მომავალზეც დიდი ამბავი იყო ატეხილი, სეზონის მიწურულს დორტმუნდის „ბორუსიაში" გადაბარგდება. ფეხბურთელის ამჟამინდელმა კლუბმა პსჟ-მ და დორტმუნდის „ბორუსიამ" მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ვიორნსი გერმანულ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს, პარიზელები კი მის სანაცვლოდ 7,9 მილიონ დოლარს მიიღებენ. დორტმუნდელთა პრესატაშემ იოზეფ შნეკმა ფაქტის კომენტარისგან თავი შეიკავა. შეგახსენებთ, რომ პსჟ-ში გადასვლამდე გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი ვიორნსი ლევერკუზენის „ბაიერში" თამაშობდა, 1996 წელს კი ამ კლუბის შემადგენლობაში თბილისშიც ითამაშა.

### შოტლანდია

გამოტოვებული მატჩი

**დანდი იუნ. 0:1 სენტ ჯონსტონი**

0:1 გრიფინი (41)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 31 | 20 | 6 | 5 | 66:28 | 66 |
| სელტიკი | 31 | 18 | 8 | 5 | 77:27 | 62 |
| კილმარნოკი | 31 | 14 | 11 | 6 | 44:24 | 53 |
| სტ. ჯონსტონი | 31 | 13 | 10 | 8 | 36:36 | 49 |
| მოზერველი | 31 | 8 | 10 | 13 | 31:44 | 34 |
| აბერდინი | 31 | 9 | 7 | 15 | 36:58 | 34 |
| დანდი | 31 | 9 | 7 | 15 | 27:52 | 34 |
| დანდი იუნ. | 31 | 8 | 8 | 15 | 33:38 | 32 |
| ჰართსი | 31 | 7 | 8 | 16 | 29:47 | 29 |
| დანფერმლაინი | 31 | 4 | 15 | 12 | 23:48 | 27 |

### ჰოლანდია

**ვიტესი 3:3 ეინდჰოვენი**

0:1 ვან ნისტელროოი (7), 1:1 კრეეკი (9), 2:1 როიზერი (25), 2:2, 2:3 ნილისი (68, 85), 3:3 როიზერი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 28 | 22 | 4 | 2 | 66:27 | 70 |
| ვიტესი | 29 | 16 | 7 | 6 | 55:36 | 55 |
| ეინდჰოვენი | 29 | 15 | 9 | 5 | 71:43 | 54 |
| ტილბურგი | 29 | 16 | 5 | 8 | 55:42 | 53 |
| ჰერენვენი | 29 | 13 | 9 | 7 | 49:37 | 48 |
| როდა | 28 | 13 | 8 | 7 | 48:33 | 47 |
| ტვენტე | 29 | 12 | 10 | 7 | 42:35 | 46 |
| აიაქსი | 28 | 12 | 8 | 8 | 56:35 | 44 |
| ალკმაარი | 29 | 10 | 11 | 8 | 44:48 | 41 |
| სიტარდი | 29 | 11 | 7 | 11 | 39:41 | 40 |
| უტრეხტი | 29 | 9 | 8 | 12 | 50:54 | 35 |
| ნაიმეგენი | 28 | 8 | 8 | 12 | 35:45 | 32 |
| გრააფსხაპი | 29 | 7 | 11 | 11 | 34:47 | 32 |
| კამბური | 29 | 7 | 9 | 13 | 32:52 | 30 |
| მაასტრიხტი | 29 | 5 | 10 | 14 | 33:52 | 25 |
| ვალვაიკი | 29 | 4 | 7 | 18 | 29:54 | 19 |
| სპარტა | 29 | 5 | 4 | 20 | 28:60 | 19 |
| ბრედა | 29 | 3 | 7 | 19 | 27:52 | 16 |

10th FIFA World Youth Championship Nigeria 1999 3-24 April 1999

## ფიფას ქორისმ[illegible]

გასპარ კომოლს, კამერუნის ნაკრების თავდამსხმელს, ერთი გოლი ჩამოაკლეს.

მან 5 გოლი გაიტანა და მიმდინარე მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ბომბარდირთა ლიდერად ითვლებოდა, ახლა კი მონაგარი ერთი გოლით შეუმცირდა.

მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ფიფა ერთობ ყურადღებიანია — მსოფლიოს ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ჯგუფურ ტურნირში კამერუნი — ინგლისის მატჩის ვიდეოჩანაწერი ხელახლა ნახეს და დიდი დაკვირვების შემდეგ დაადგინეს, რომ ინგლისელებს გოლი გასპარ კომოლმა კი არ გაუტანა, როგორც ეს ადრე იყო ცნობილი, არამედ ბურთი საკუთარ კარში მცველმა ჩაჭრა.

— ვნახეთ ვიდეოჩანაწერი და [illegible] — გოლი კომოლმა კი არა, რი[illegible]რდ კუპერმა [illegible] საკუთარ კარში — განაცხადა ფიფას წარმომადგენელმა მარიუს შნაიდერმა.

დღეიდან ფიფა კამერუნი — ინგლისის მატჩში გოლის ავტორად ოფიციალურად მოიხსენიებს ინგლისელ რიჩარდ კუპერს და არა გასპარ კომოლს. ის შეხვედრა, მოგეხსენებათ, კამერუნელებმა 1:0 მოიგეს.

რაც შეეხება ტურნირის ბომბარდირთა სიას, მას ახლა 5 ლიდერი ჰყავს: კამერუნელი კომოლი, ამერიკელი თველმენი, განელი ოფორი კუაე და მალის ნაკრების ორი ფეხბურთელი ბაგაიოკო და დისა — მათ 4-4 გოლი აქვთ შეგდებული.

# ძირს მეძავები!

„ნიგერია არაა მზად ასეთი დონის ტურნირის სამასპინძლოდ. ორგანიზატორები ძალიან კი ცდილობენ, ტურნირმა უმაღლეს დონეზე ჩაიაროს, მაგრამ არ გამოსდით. განა მათ შრომას ვუკარგავ? უბრალოდ, თავად ნიგერია არაა იმ დონის ქვეყანა, ფიფას მოთხოვნები დააკმაყოფილოს" — ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ინაკი რუის საესმა ორგანიზატორულ ხარვეზებზე ჯერ კიდევ ჯგუფური ტურნირისას დაიჩივლა.

„მსოფლიოს ჩემპიონატში ვმონაწილეობთ და ძალიან ბევრი პრობლემა გვიჩნდება. ფეხბურთზე ფიქრი კი არა, სხვა რამეზე ვართ გადასულები. ასე არ შეიძლება. ნიგერიას მეტი მობილიზება მართებდა, ფიფას კი მსოფლიოს ჩემპიონატის ღირსეული მასპინძლის არჩევა" — ამას კი ბრაზილიელთა თავკაცი ჟოაო კარლოს და სილვა ამბობს.

„ვიცოდი, რომ ნიგერია ამ ტურნირს სათანადო დონეზე ვერ უმასპინძლებდა, მაგრამ ამდენი პრობლემა თუ შეგვექმნებოდა, არ მეგონა. სამწუხაროა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ასეთი რამ ხდება. საერთაშორისო ტურნირია და ეს თითქოს არც იგრძნობა" — განას ნაკრების იტალიელი მწვრთნელი ჯუზეპე დოსენა.

ერთს რომ დაეჩივლა ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის მოუმზადებლობაზე, ბევრს ეს ეგებ მავანის უაზრო გამოხდომადაც მიეჩნია, მაგრამ როცა თითქმის ყველა მონაწილე ორგანიზაციის დაბალ დონეზე წუწუნებს, საქმე ნამდვილად არაა სახუმარო.

ის, რომ ნიგერია მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის უმაღლეს დონეზე სამასპინძლოდ მზად არ იყო, ცნობილი გახლდათ, მაგრამ თუ ყველაფერი ასე გართულდებოდა, არავის ეგონა. თავად წარმოიდგინეთ: მონაწილეები, ცხადია, ყველა არა, საშუალოზე დაბალი დონის სასტუმროებში განათავსეს, ავტობუსებსაც აგვიანდებოდათ სტადიონებზე გუნდების მიყვანა, სასტუმროებში ხშირად ქრებოდა შუქი, არ იყო წყალი და ყველაფერ ამას დამატებული სტადიონებზეც ითიშებოდა დენი. ერთი სიტყვით, პრობლემები თავზესაყრელად იყო.

გუშინ, ურუგვაი — იაპონიის ნახევარფინალამდე ერთი დღით ადრე, ორგკომიტეტს კიდევ ერთი თავსატეხი გაუჩნდა — იაპონელებს სასტუმროში მეძავები აუვარდნენ და დღის გეგმა ერთიანად ჩაუშალეს.

ფილიპ ტრუსიე, იაპონიის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი: „ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს. წინ უმნიშვნელოვანესი ნახევარფინალი გველის, ამ დროს კი დასვენების მაგივრად გვარიანი ნერვიულობა გვიწევს. წარმოგიდგენიათ? ბიჭები ისვენებდნენ, უცბად კი ათობით მეძავი დაგვადგა თავს და... ასეა — დაუცველ სასტუმროში ყველაფერია მოსალოდნელი. ისე, ძალიან მაინტერესებს, როგორ მოახერხეს ამ ქალბატონებმა მერვე სართულზე ამოღწევა. ნუთუ დაცვიდან არავინ შეხვდათ?"

განა რა გასაკვირია, მეძავებს იაპონელებთან იოლად რომ შეეღწიათ? იაპონია, ურუგვაისთან შედარებით საშუალო დონის სასტუმროში ცხოვრობს, სადაც დაცვაც არაა მაინცდამაინც ყურადღებიანი. ჰოდა, მსუბუქი ყოფაქცევის მანდილოსნებმაც დანაპირები აასრულეს — მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტმა სასტუმროებიდან, სადაც გუნდები უნდა განეთავსებინა, მეძავეები გამოყარა. უფლებაშელახული ქალები დაიმუქრნენ, არ მოგასვენებთო და აგერ, ინებეთ.

...„ჩვენ ყველაფერს ვილონებთ, რათა მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატს უმაღლეს დონეზე ვუმასპინძლოთ. ნიგერიას შესწევს ამის უნარი" — ეს სიტყვები საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა დონ აკლაბიმ პირველობამდე წარმოთქვა.

ნიგერია 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობაზე აცხადებს პრეტენზიას. ყოველივე ამის შემდეგ, საეჭვოა მათ რაიმე გამოუვიდეთ.

**ლაშა გოდუაძე**

Chile '87
IV World Youth Championship for the FIFA/Coca-Cola Cup

## ფიფა—კოკა-კოლას მსოფლიოს IV ახალგაზრდული ჩემპიონატი

### A ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 10.10.87 | სანტიაგო | ჩილე | იუგოსლავია | | | 2:4 |
| 11.10.87 | სანტიაგო | ტოგო | ავსტრალია | | | 0:2 |
| 13.10.87 | სანტიაგო | ჩილე | ტოგო | | | 3:0 |
| 14.10.87 | სანტიაგო | იუგოსლავია | ავსტრალია | | | 4:0 |
| 17.10.87 | სანტიაგო | ჩილე | ავსტრალია | | | 2:0 |
| 18.10.87 | სანტიაგო | იუგოსლავია | ტოგო | | | 4:1 |
| იუგოსლავია | 3 | 3 | 0 | 0 | 12:3 | 6 |
| ჩილე | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 4 |
| ავსტრალია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 2 |
| ტოგო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:9 | 0 |

### C ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 11.10.87 | ვალპარაისო | გდრ | შოტლანდია | | | 1:2 |
| 12.10.87 | ვალპარაისო | კოლუმბია | ბაჰრეინი | | | 1:0 |
| 14.10.87 | ვალპარაისო | გდრ | კოლუმბია | | | 3:1 |
| 15.10.87 | ვალპარაისო | შოტლანდია | ბაჰრეინი | | | 1:1 |
| 17.10.87 | ვალპარაისო | გდრ | ბაჰრეინი | | | 2:0 |
| 18.10.87 | ვალპარაისო | შოტლანდია | კოლუმბია | | | 2:2 |
| გდრ | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 4 |
| შოტლანდია | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 4 |
| კოლუმბია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 3 |
| ბაჰრეინი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |

### B ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 11.10.87 | კონსეპსიონი | ბრაზილია | ნიგერია | | | 4:0 |
| 12.10.87 | კონსეპსიონი | იტალია | კანადა | | | 2:2 |
| 14.10.87 | კონსეპსიონი | ბრაზილია | იტალია | | | 0:1 |
| 15.10.87 | კონსეპსიონი | ნიგერია | კანადა | | | 2:2 |
| 17.10.87 | კონსეპსიონი | ბრაზილია | კანადა | | | 1:0 |
| 18.10.87 | კონსეპსიონი | ნიგერია | იტალია | | | 0:2 |
| იტალია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 5 |
| ბრაზილია | 3 | 2 | 0 | 1 | 5:1 | 4 |
| კანადა | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| ნიგერია | 3 | 0 | 1 | 2 | 2:8 | 1 |

### D ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 11.10.87 | ანტოფაგასტა | აშშ | ბულგარეთი | | | 0:1 |
| 12.10.87 | ანტოფაგასტა | საუდეთი | გფრ | | | 0:3 |
| 14.10.87 | ანტოფაგასტა | აშშ | საუდეთი | | | 1:0 |
| 15.10.87 | ანტოფაგასტა | ბულგარეთი | გფრ | | | 0:3 |
| 17.10.87 | ანტოფაგასტა | აშშ | გერმანია | | | 1:2 |
| 18.10.87 | ანტოფაგასტა | ბულგარეთი | საუდეთი | | | 2:0 |
| გფრ | 3 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 6 |
| ბულგარეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 4 |
| აშშ | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 2 |
| საუდეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 |

### მეოთხედფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21.10.87 | კონსეპსიონი | იტალია | ჩილე | 0:1 |
| 21.10.87 | ვალპარაისო | გდრ | ბულგარეთი | 2:0 |
| 21.10.87 | ანტოფაგასტა | გფრ | შოტლანდია | 1:1 (პენ. 4:3) |
| 21.10.87 | სანტიაგო | იუგოსლავია | ბრაზილია | 2:1 |

### ნახევარფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.10.87 | კონსეპსიონი | ჩილე | გფრ | 0:4 |
| 23.10.87 | სანტიაგო | იუგოსლავია | გდრ | 2:1 |

### მატჩი მესამე ადგილისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 25.10.87 | სანტიაგო | ჩილე | გდრ | 1:1 (პენ. 1:3) |

### ფინალი. 25.10.87. სანტიაგო. 65.000 მაყურებელი

**იუგოსლავია 1:1 გფრ (პენ. 5:4)**

1:0 ბობანი (85), 1:1 ვიტეჩეკი (87)

იუგოსლავია: ლეკოვიჩი, იანკოვიჩი, ბრნოვიჩი, პავლიჩიჩი, იარნი, პავლოვიჩი (ზიროიევიჩი 88), ბობანი, პეტრიჩი, სკორიჩი, მიჟიჩი, შუკერი

გფრ: ბრუნი, ლუგინგერი, ნეცი, შტრემელი, სპირკა, შნაიდერი, რაინჰარდტი, მიოლერი, დამაიერი (ჰაინდენრაიხი 106), აიშენჰაუერი (ეპი 74), ვიტეჩეკი

მსაჯი: ლუსტაუ (არგენტინა)

საუკეთესო მოთამაშე: რობერტ პროსინეჩკი (იუგოსლავია); ბომბარდირი: მარსელ ვიტეჩეკი (გფრ) 7 გოლი

# დიდი გადასახლება

## ალესანდრო დელ პიეროს თვალი ინტერისკენ უჭირავს

„იუვენტუსს“ ალესანდრო დელ პიეროს შემცვლელის ძებნა დაუწყია. ტურინული კლუბის დამკვირვებლები ინგლისს სწვევიან „ლიდს იუნაიტედის“ ავსტრალიელი თავდამსხმელის, ჰარი კიუელის ნიჭისა და უნარის შესასწავლად.

დელ პიეროს კი ორიოდ თვეში „ბებერ ქალბატონთან“ კონტრაქტის ვადა გაუდის, მაგრამ ახლის გაფორმებას არ ჩქარობს. საქმე ის გახლავთ, რომ მარჩელო ლიპი, მწვრთნელი, რომლის ხელშიც ალესანდრომ თვალუწვდენელ სიმაღლეებს მიაღწია, მომავალი სეზონიდან „ინტერში“ იწყებს მუშაობას და ყოფილ შეგირდსაც თავისკენ ეწევა. ადვილი წარმოსადგენია, თუ დელ პიერო ლიპის ხელში კვლავ დიდებულად ათამაშდება, მისი და რონალდოს დუეტი რა გამარჯვებებს მოუტანს მილანის შავ-ლურჯ ფერმიან გუნდს.




ალესანდრო დელ პიეროს გული მარჩელო ლიპისკენ მიუწევს

ამჟამად დელ პიერო გასულ ნოემბერს, „უდინეზესთან“ შეხვედრაში დაშავებულ მუხლს მკურნალობს და როგორც ექიმები ამბობენ, მომდევნო სეზონის დაწყებამდე სრული დატვირთვით თამაშს ვერ შეძლებს. გაირკვა ისიც, რომ ფეხბურთელს „იუვენტუსის“ ხელმძღვანელთათვის ახალ კონტრაქტზე ხელმოწერის სანაცვლოდ წლიურ გასამრჯელოდ 6 მილიონი დოლარი მოუთხოვია, რისი გადახდაც საავტომობილო კონცერნ „ფიატის“ კლუბს არ შეუძლია. იკითხავთ, თუ 6 მილიონი დოლარი ის თანხაა „იუვენტუსი“ რომ ვერ წვდება, „ინტერს“ ამდენი ფული საიდანღა ექნებაო. ლოგიკა მარტივია: დელ პიეროს „ბებერ ქალბატონთან“ კონტრაქტის ვადა ეწურება, ის თავისუფალი აგენტი ხდება და შესაბამისად „ინტერს“ მის სანაცვლოდ სატრანსფერო ღირებულების გადახდა არ მოუწევს, რაც მის მენავთობე მეპატრონეს, მასიმო მორატის, ფულს უზოგავს და დიდი ხელფასის გადახდის საშუალებას აძლევს.

დელ პიეროს „ინტერში“ გადასვლა ავტომატურად ასრულებს ცნობილი იტალიელი ფეხბურთელის, რობერტო ბაჯოს მილანურ კარიერას. აი, ზინედინ ზიდანის გადაბირების საქმეში კი მარჩელო ლიპიმ მარცხი იწვნია.

ამრიგად, მორატი კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს თავისი ოცნების, მამისეული „დიადი ინტერის“ აღდგენა-აზღვენისკენ. ვერა და ვერ შეძლო მაგნატმა შავლურჯთათვის 1989 წლის მერე პირველი სკუდეტოს მოპოვება და ახლა, იქნებ გუნდში დელ პიეროს შემატებით მიაღწიოს საწადელს.

თავის მხრივ, ტურინელი გულშემატკივრები სერიოზულად ალაშფოთა საყვარელი ვარსკვლავის შესაძლო გახსენებამ და კლუბის ხელმძღვანელებს „ჯადოქარი ალექსის“ სხვისთვის დათმობა ვინძლო კარგა ხანს არც აპატიონ.

ზემოთ ვთქვით „ბებერი ქალბატონის“ წარგზავნილი დამკვირვებლები ლიდსს ეწვიენ მავანი ავსტრალიელის, ჰარი კიუელის საქმეში სანახავადო. როგორ გინდა კაცმა ირწმუნო, რომ 24 წლის დელ პიეროს 20 წლის ლიდსელი კიუელი დაუყოვნებლივ სრულყოფილად შეცვლის. იქნებ დელ პიეროს შემცვლელის ძიება ამით არც შემოიფარგლოს, მითუფრო, რომ მიმომხილველთა მტკიცებით ავსტრალიელი თავდამსხმელი იორკშირულ კლუბს დიდ საქმეს უკეთებს და მისი მეპატრონეები ყველა შესაძლო ხერხს მიმართავენ, რომ იგი იტალიელებს არ გაატანონ. „ლიდსელთა“ ახალი მწვრთნელი დევიდ ოლირი კიუელზე იმედებს ამყარებს და გუნდის მომავალს მის სახელს უკავშირებს.

ტურინელებს კი კიდევ ერთი გამოსავალი აქვთ და იგი უკვე „იუვენტუსშია“ — ფრანგი ტიერი ანრი. „ბებერი ქალბატონის“ ახალი მწვრთნელი, კარლო ანჩელოტი ფრიად კმაყოფილია ანრის ადაპტაციით და სულაც არ გამორიცხავს, რომ დელ პიეროს დაკარგვას მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონი გუნდის გაკრიტიკებული თავდასხმის ეს წევრი აუნაზღაურებს.

# ვინ არის ჰარი კიუელი, იუვენტუსს დელ პიეროს შემცვლელად რომ შეუგულებია?

თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო სამი მწვრთნელი, რომლებთანაც 20 წლის ჰარი კიუელი მეცადინეობდა ჯორჯ გრემი (ლიდსში), ტერი ვენეიბლზი (ავსტრალიის ნაკრებში) და დევიდ ოლირი გახლავან, ჭაბუკის კარგი თამაში აღარ უნდა გაგვიკვირდეს.

„ჯორჯ გრემმა ხელობა მასწავლა. მას ეს ძალიან ეხერხება. მე თუ მკითხავთ ყველა ახალგაზრდას სჭირდება კარიერის დასაწყისში ხელის გამმართავი. გრემი მკაცრი და მომთხოვნია; ტერი ვენეიბლზი ცოტა ძველმოდური კაცი კი გახლავთ, მაგრამ ყოველთვის საუკეთესო ფეხბურთელებთან მუშაობს და ასეთ წრეში ბევრს იძენ; ახლა დევიდ ოლირის ხელმძღვანელიბით ვვარჯიშობ და ვთამაშობ. მოკლედ, მწვრთნელებით კმაყოფილი ვარ. ვთვლი, რომ გამიმართლა“ - ამბობს ავსტრალიელი, რომელზეც სხვანი იმას ამბობენ, მუხლჩაუხრელი შრომის უნარი რომ არა, ვერანაირი მწვრთნელი ვერ უშველიდაო.




რა არის ამისთანა ეს ჰარი კიუელი?

„ერთხელ, ოქტომბერში, დევიდ ოლირიმ სათადარიგოთა სკამზე დამსვა. ვიჯექი და ვფიქრობდი, არ მინდა იმ ფეხბურთელთა შორის აღმოვჩნდე, თავიდან სახელს რომ დაიგდებენ, მერე კი სარბიელს ჩამოცილდებიან და ბოლოს ქრებიან, მეთქი. ამიტომაც, თითქოს, თავიდან დავიწყე ყველაფერი და ამისათვის სწორედ ოლირს ვემადლიერები. მან საკუთარი თავის რწმენა შემძინა. მასთან არანაირი გაუგებრობა აღარ მაქვს, ერთხელ სათადარიგოთა სკამზე დამსვა და ამით სულ სხვანაირად ამამუშავა“ - იგონებს კიუელი.

გაირკვა, რომ ოლირს ავსტრალიელი საგანგებოდ დაუტოვებია ძირითადი შემადგენლობის მიღმა. პედაგოგიური მეთოდი ჰქონია ასეთი, რომლის ერთხელ გამოყენება კიუელის შემთხვევაში სრულიად საკმარისი გამოდგა.

„ასეთი პედაგოგიკა ძლიერებზე კარგად მოქმედებს. დღეს „ლიდსში“ რამდენიმე ძალიან კარგი ფეხბურთელი შეიყარა და ვგონებ, ამაში, ჩემეულმა წახალისებამ თავისი როლი ითამაშა. დამეთანხმებით, სასიამოვნოა, როდესაც ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს უყურებ“ - ამბობს თავად ოლირი და ბიჭების ამასწინანდელ, შვიდმატჩიან წაუგებელ სერიაში ჰარი კიუელის როლს საგანგებოდ გამოჰყოფს.

„ახლა, უკვე მეუბნებიან, რომ გამოცდილი პროფესიონალი ვარ და ამით წახალისებული შრომას განვაგრძობ. მიხარია, რომ გვერდში თანატოლები მიდგანან. ეს დამატებით სტიმულს მაძლევს“ — სიტყვას იბრუნებს ჭაბუკი ფორვარდი.

ამბობენ ახალგაზრდა მოთამაშეებს მეორე სეზონში ყოველთვის უფრო უჭირთო.

„თუ ნორმალური პიროვნება ხარ, არც მეორე სეზონში გაყოყოჩდები და არც მესამეში ან მეოთხეში. თქვენ მეკითხებით ხომ არ გაიყინებიო. იმედი მაქვს, რომ არა“ - იღიმება კიუელი, მერე კი სახიდან ღიმილი უქრება და სერიოზულ მსჯელობას განაგრძობს — „ყველა მწვრთნელს რაღაც აქვს თავისი, მეორესგან გამორჩეული, მაგრამ ეს ძალიან კარგი მგონია როგორც ცალკეული მოთამაშისთვის, ასევე გუნდისთვის“.

შემდეგ ავსტრალიელი თვალებს ჭუტავს, თითქოს ჰორიზონტზე რაღაცის დანახვას ცდილობსო: „მგონი ეს მოხდება. მგონი „ლიდსის“ დღევანდელი შემადგენლობა წარმატებებს მიაღწევს“.

## ფეხბურთის ქრონიკა



**ბრიტანელი მწვრთნელი ჯეფ ბატლერი ბოტსვანას ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელად დაინიშნა. ბოტსვანას ფეხბურთის ფედერაციამ ბრიტანელთან გაფორმებული ხელშეკრულების დეტალებზე საუბრისგან თავი შეიკავა, თუმცა ერთი რამ თქვა — ბატლერის მიზანი ნაკრების კოსაფას თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე გაყვანააო. ცნობისთვის — კოსაფას თასისთვის შავი კონტინენტის სამხრეთში მდებარე ქვეყნები იბრძვიან. ჯეფ ბატლერი ბოტსვანამდე ზამბიისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებებს წვრთნიდა.**

**ინგლისის** პრემიერლიგიდან პირველ დივიზიონში გასულ სეზონში დაქვეითებულმა კლუბმა „ბარნსლიმ“ მწვრთნელი ჯონ ჰენდრი გაათავისუფლა. ბოლო ხანებია, „ბარნსლი“ ცუდად თამაშობს და მე-16 ადგილზე დაქვეითდა. კლუბის დირექტორთა საბჭომ ჰენდრის გაშვება ერთხმად გადაწყვიტა. ჰენდრის დროებით შეცვლის მისი თანაშემწე ერიკ უაინსტენლი.

**ავსტრიის ნაკრებს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში სან მარინოსთან ვენის „აუსტრიის“ ნახევარმცველი პეტერ შტოიგერი დააკლდება. ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში შტოიგერმა წვივი დაიზიანა. ავსტრიელები სან მარინოს 28 აპრილს გრაცში, არნოლდ შვარცნეგერის სახელობის სტადიონზე მასპინძლობენ. შეგახსენებთ, რომ 1994-95 წლების უეფას თასის გათამაშებაში, როცა თბილისის „დინამო“ ინსბრუკში 1:5 დამარცხდა ადგილობრივ „ტიროლთან“, პეტერ შტოიგერმა ირაკლი ზოიძის კარი დალაშქრა.**

**რუსეთის** ჩემპიონ „სპარტაკს“ რამდენიმე ფეხბურთელი დააკლდა. მოგეხსენებათ, დმიტრი ანანკოს, ევგენი ბუშმანოვს და მიროსლავ რომაშჩენკოს ტრავმები თამაშის საშუალებას არ აძლევს. ტრავმირებულთა რიცხვი კვლავ გაიზარდა — „სპარტაკის“ წარმომადგენლის თქმით, მუხლის მყესები დაიზიანა მცველმა დმიტრი პარფიონოვმაც. ილია ციმბალარი და ეგორ ტიტოვიც ტრავმირებულნი არიან.

**ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში გასულ „ნიუკასლ იუნაიტედს“ საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის, ალან გომას შეძენა სურს. ჩრდილოინგლისელები მის კლუბ პსჟ-სთან უკვე ორი კვირაა, მოლაპარაკებებს აწარმოებენ. „ნიუკასლამდე“ გომა მეორე ინგლისური კლუბის, ლიგის თასის მომგები „ტოტენჰემის“ ყურადღების ცენტრშიც მოექცა, მაგრამ ფრანგი ფეხბურთელი, როგორც ჩანს, მაინც „ნიუკასლში“ გადავა. ინგლისური პრესის ცნობით, 26 წლის გომას სანაცვლოდ რუდ გულიტი, ნიუკასლელთა მწვრთნელი მზადაა, პსჟ-ს 3,5 მილიონი დოლარი გადაუხადოს.**

**ესპანეთის** 25-გზის ჩემპიონმა მადრიდის „რეალმა“ აქედანვე დაიწყო მომავალ სეზონზე ფიქრი და თურქულ კლუბ „გენჩლერბირლიგის“ შეუთანხმდა, რომ მისგან კამერუნის ნაკრების ფეხბურთელს, ჯერემი ნჯიტაპს შეიძენს. „რეალის“ უელსელმა მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა, რომელიც ესპანურ გუნდში მისვლამდე სწორედ თურქეთში მოღვაწეობდა, „რეალის“ პრეზიდენტ ლორენსო სანსთან ერთად განიხილა ეს საკითხი და საბოლოოდ დადებითი გადაწყვეტილება მიიღო. ნჯიტაპი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ 1 ივლისს გამოჩნდება. 20 წლის კამერუნელი შემტევი ნახევარმცველის სანაცვლოდ „გენჩლერბირლიგი“ 4,7 მილიონ დოლარს მიიღებს.

**იტალიის ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერ „მილანს“ გადაუწყვეტია, ხორვატიის ნაკრების ახალგაზრდა ფეხბურთელი ჰრვოიე ბისკანი შეიძინოს. ზაგრების „კროაციის“ მცველის ყიდვა მილანური კლუბის ხელმძღვანელებს ზვონიმირ ბობანმა, ხორვატიის ნაკრების და „მილანის“ გამთამაშებელმა, ორიოდ თვის წინ ურჩია. „მილანის“ წარმომადგენლები ბისკანს რამდენიმე თვის განმავლობაში აკვირდებოდნენ და ახლა მის კლუბ „კროაციასთან“ მოლაპარაკების დაწყებასაც აპირებენ. „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, „მილანი“ ყაბულსაა, ბისკანის სანაცვლოდ 6 მილიონი დოლარი გადაიხადოს. შედგება თუ არა ტრანსფერი, არავინ იცის, ისე კი, „კროაციას“ წარმომადგენელთა თქმით, ბისკანი ჯერ არაა მზად სერია A-ში სათამაშოდ და ხორვატიის ჩემპიონატში ერთი სეზონით დარჩენას საჭიროებს.**

**ესპანეთის** მეორე დივიზიონის კლუბმა „ალბასეტემ“ განაცხადა, რომ მწვრთნელი ჯიჯი მაიფრედი სამსახურიდან დაითხოვა. იტალიელი თავკაცი, რომელიც თავის დროზე ტურინის „იუვენტუსსაც“ წვრთნიდა, „ალბასეტედან“ სეზონის დასრულებისთანავე უნდა წასულიყო (კონტრაქტი უმთავრდებოდა), მაგრამ კლუბმა სხვანაირად იფიქრა და ცუდი შედეგების გამო მაიფრედი დროზე ადრე გაათავისუფლა. „ჩვენ პატივს ვცემთ მაიფრედის წარსულს, მაგრამ ამ ეტაპზე გაყრას ვამჯობინებთ“ — განაცხადა „ალბასეტეს“ წარმომადგენელმა ხორხე პესორომ. ჩემპიონატის ბოლო ტურში „ალბასეტე“ 0:3 დამარცხდა „მერიდასთან“ და ახლა 22 გუნდიან ლიგაში მეჩვიდმეტეა. მაიფრედის ადგილს დროებით, „ალბასეტეს“ სარეზერვო გუნდის მწვრთნელი ხულიან რუბიო დაიკავებს.

**მალავის ნაკრებში 15 წლის ფეხბურთელია — გუნდი შაბათს კოსაფას თასზე ანგოლას ხვდება და მალავის მწვრთნელმა სხვებთან ერთად მცველი ჩირომო მოპიჰა მიიწვია. მოპიჰა, რომელიც 1983 წელსაა დაბადებული, „დმარე ტაიგერსში“ თამაშობს. მიუხედავად მოპიჰას ახალგაზრდული ასაკისა, იგი მაინც არ იქნება ყველაზე პატარა ფეხბურთელი — ისტორიაში რეკორდსმენად სიერა ლეონელი მოჰამედ კოლინი ითვლება, რომელმაც 1995 წელს 15 წლისამ, სამი თვისამ და ერთი დღისამ ითამაშა ნაკრებში. შაბათს, თუ მოხდა და მოპიჰა მინდორზე გავიდა, იგი 15 წლისა, ხუთი თვის და რვა დღის იქნება.**

**რუმინეთის** ნაკრების ყოფილ ფეხბურთელ მარიუს ლეკატუშს, რომელსაც ქვეყნის პირველ გუნდში 75-ჯერ უთამაშია, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია უმკაცრესად დასჯას უპირებს. რუმინეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, როცა ლეკატუშის „სტიაუა“ „ბაკეუს“ ხვდებოდა, ფეხბურთელმა იმდენად იუხეშა, რომ მეტოქის მცველ ვასილ არდელეანუს მარჯვენა ფეხი ორ ადგილზე მოსტეხა. მინდვრიდან არდელეანუ პირდაპირ საავადმყოფოში წაიყვანეს, იქ კი ექიმმა დაადგინა, რომ ტრავმის მოშუშებას თითქმის წელიწადი დასჭირდება. რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციამ ლეკატუშს დასჯა ახლებურად გადაუწყვიტა — მარიუსი მანამ ვერ ითამაშებს ფეხბურთს, სანამ მის მიერ ტრავმირებული არდელეანუ ფეხბურთს არ დაუბრუნდება.

**რუსეთის ახლად დაწყებულმა ჩემპიონატმა პირველი მწვრთნელი შეიწირა — იაროსლავლის „შინიკის“ თავკაცი ალექსანდრ ავერიანოვი, რომელიც ახლახან დაინიშნა ამ თანამდებობაზე, გადადგა. მიზეზი — ცუდი შედეგები.**

**საუდეთის** კლუბმა „ალ იტიჰადმა“ აზიის თასების მფლობელთა თასის ფინალში 3:2 დაამარცხა კორეის „ჩუნან დრაგონსი“ და თასის მფლობელი გახდა. გამარჯვებულთაგან ორი გოლი მაროკოელმა აჰმედ ბახჯიმ გაიტანა.

**გერმანიის ჩემპიონმა „კაიზერსლაუტერნმა“ მომავალზე ფიქრი აქედანვე დაიწყო და ორ მოთამაშესთან გააფორმა კონტრაქტი — იუგოსლაველი ნახევარმცველი სლობოდან კომლიენოვიჩი და ლუქსემბურგელი მცველი ჯეფ შტრასერი მომავალ კლუბს 1 ივლისიდან შეუერთდებიან. ორივე მოთამაშემ „კაიზერსლაუტერნთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იუგოსლაველი კომლიენოვიჩი, რომელიც 28 წლისაა, დღესდღეობით „დუისბურგში“ თამაშობს, 24 წლის შტრასერი კი ფრანგული „მეცის“ ღირსებას იცავს.**

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

# ზაზა (რ)ომში

Cup Winners' Cup

## თასების თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩები

**ლაციო VS (1:1) ლოკომოტივი**

ორი კვირის წინ, მოსკოვური თამაშის დროს, „ლაციო“ ბეჭებში გამართული გუნდი იყო, სერია A-ს ცხრილს მადლიანად ლიდერობდა და სკუდეტოსთან შეხუმრებული თასების თასის ბოლო გათამაშების ფინალშიც ღიმილით აპირებდა გასვლას. დღეს რომაელთა ფრთები შეკვეცილია. დიდი ომის მოლოდინში მათი კუნთდაჭიმული სხეული მცირე ეჭვსაც ასხივებს და თითებიდან ბრჭყალები გამოდის.

„ლაციომ“ სერია A-ს ბოლო სამ ტურში ერთი ქულა მოიპოვა, მდევარი, „მილანი“ მიიახლოვა და...

ვნახოთ რა მოხდება. ვნახოთ, დღეს გამოჩნდება ბევრი რამ.

რობერტო მანჩინი მთელი სეზონის განმავლობაში ნახევარდაცვისკენ იყო დაწეული და მისთვის ჩვეულ ადგილზე გამწესებული ჩილელი მარსელო სალასის პასებით მომარაგებას მეცადინეობდა. ამბობენ, ამ საღამოს, „ლოკომოტივთან“ საპასუხო შეხვედრაში, იგი ფრონტის წინა ხაზს დაუბრუნდებაო.

„რუსები აუცილებლად უნდა დავამარცხოთ და არა მხოლოდ იმიტომ, რომ გამარჯვება ფინალში გასასვლელადაა აუცილებელი, არამედ იმიტომ, რომ წარმატება წამალივით იმოქმედებს. ჩვენ დღეს მოგება ისე გვჭირდება, როგორც არასდროს“ — თქვა რომაელთა შვედმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა.

ამრიგად, სალასი, ამ სეზონში ლაციოელთა 43 მატჩიდან 38-ის მონაწილე, დღეს 34 წლის მანჩინის დაუთმობს ადგილს. ეს ლოგიკური გახლავთ, რადგან ჩილელს 7 მარტის მერე გოლი აღარ გაუტანია, ხოლო მანჩინი ასაკის მიუხედავად მარად მრისხანე ფეხბურთელადაა ცნობილი.

„სამპდორიას“ ყოფილი კაპიტანი (მანჩინი) დღეს კრისტიან ვიერის მეწყვილე იქნება, ხოლო ორი კვირის წინანდელ შეხვედრაში რომაელთა გოლის ხორვატი ავტორი ალენ ბოკშიჩი, ალბათ, მეორე ტაიმში შეუტევს „ლოკომოტივის“ კარს.

დღევანდელ შეხვედრაში, არც არგენტინელი მატიას ალმეიდა ითამაშებს. ამ დაცვაზე ორიენტირებულ ნახევარმცველს პორტუგალიელი ფერნანდო კოუტუ შეცვლის.

არ იქნება იუგოსლავიელი მცველი სინიშა მიხაილოვიჩიც. მის მაგივრად პოზიციას პაოლო ნეგრო გაამაგრებს, ხოლო საქართველოს ნაკრების თავდამსხმელს, ზაზა ჯანაშიას პერსონალურად ალესანდრო ნესტა დაუპირისპირდება.

შეძლებს ჯანაშია „ლაციოს“ კარში კიდევ ერთი გოლის გატანას? ამბობენ, რომ „ლოკომოტივის“ მწვრთნელი, იური სიომინი შეფიქრიანებულია, რადგან რუსეთის პირველობის ბოლო ტურში ზაზამ რამდენიმე საგოლე შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან, ბოლოს კი, ნერვებმოშლილმა, ნიჟნი ნოვგოროდელ ფეხბურთელს ჩვეული წიხლი უთავაზა, რისთვისაც წითელი ბარათი ალუმართეს.

**მალიორკა VS (1:1) ჩელსი**

ესპანური ფეხბურთის ვეტერანი, ვისენტე ენგონგა, დღეს, „ჩელსისთან“ თამაშში, ისტორიული შანსის ხელიდან გაშვებას არ აპირებს. მეტიც, ამაზე ფიქრიც კი ზარავს“. „მალიორკა“ თავის პირველ ევროთასს ეზომება.

მეტოქეებმა ორი კვირის წინ ლონდონში „სტემფორდ ბრიჯზე“, 1:1 ითამაშეს, რამაც, ერთი შეხედვით, ეჭვქვეშ დააყენა ინგლისური გუნდის შანსი გახდეს პირველი, ვინც ზედიზედ მეორედ (თან შეჯიბრების უკანასკნელ სეზონში) მოიპოვებს ჯილდოს.

მოკლედ, ყველაფერი, რაც მოხდება, ისტორიული იქნება.

„ასეთი შესაძლებლობა იქნებ აღარასოდეს განმეორდეს“ — თქვა 33 წლის ენგონგამ, როდესაც მალიორკელთა 83-წლიან ისტორიას გადახედა.

ენგონგა ის კაცია, ვინც ესპანეთის პრიმერა დივიზიონში პირველად 26 წლისამ ითამაშა. მანამდე რამდენიმე კლუბი ჰქონდა მოვლილი, მაგრამ ყველგან კარისკენ უთითებდნენ. ბოლოს ექტორ კუპერმა მიიღო და აპოვნინა კიდეც თავისი ადგილი.

კუპერის კიდევ ერთი აღმოჩენა და ფავორიტი დანი გარსია გახლავთ, „სტემფორდ ბრიჯზე“ გატანილი გოლის ავტორი.

„ჩვენი გუნდი ძალიან მიზანმიმართულია. ვგონებ, „ჩელსისთან“ შეხვედრაში დავამტკიცებთ, რომ კარგად შეგვიძლია ფეხბურთის თამაში“ — ამბობს ის.

დანი გამოცდილი კაცია, გასულ სეზონში მადრიდის „რეალში“ იყო და ჩემპიონთა თასის მოგებით გამოწვეული ზეიმი გაიზიარა. მართალია, მისი წვლილი ჯგუფურ ეტაპზე, „რუსენბორგთან“ შეხვედრაში 12-წუთიანი მონაწილეობით შემოიფარგლება, მაგრამ ესეც ხომ საქმეა.

კუპერი ლონდონში ნათამაშევ გუნდს ერთადერთი კაცით შეცვლის: მოედანს დისკვალიფიკაციამოხდილი იუგოსლავიელი იოვან სტანკოვიჩი დაუბრუნდება და შუა მოედანში დატრიალდება.

„ჩელსის“ ამბიცია მეტი აქვს. თუ „მალიორკა“ იმითაა ბედნიერი, რომ საშობაოდ პრიმერა დივიზიონის ცხრილს ლიდერობდა, ლონდონელებს პრემიერლიგის მოგება უნდათ და ძალიან განიცდიან, რომ ბოლო ტურში, „ლესტერთან“, ორგოლიანი უპირატესობა გაატანეს ქარს.

„ჩელსის“ იტალიელ მოთამაშე მწვრთნელს, ჯანლუკა ვიალის მხოლოდ უარყოფითი ემოცია როდი კვებავს. ორშაბათს, მაგალითად, მან უეფასგან კარგი ამბავი შეიტყო: თავდამსხმელი დენის უაიზი, რომელსაც ბრალად პირველ შეხვედრაში მალიორკელი მარსელინიო ელენას ჩაიდაყვება ედებოდა, შეწყალებულია.

ვიალი ამბობს, რომ იმ, ორი კვირის წინანდელ დღეს „მალიორკამ“ მასზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ესპანელთა კონტრშეტევები მას საფიქრალს უჩენს.

REUTERS პალმა დე მალიორკადან



„ჩელსის“ კაპიტანი დენის უაიზი უეფამ შეიწყალა

# ფიფა ამას არ დაუშვებს

ფიფა სატრანსფერო წეს-კანონთა შეცვლასა და დახვეწას აპირებს, მაგრამ ამთავითვე აცხადებს, რომ არც ერთ კლუბსა და ფეხბურთელს არ მისცემს კონტრაქტის თავის ქეიფზე დარღვევის უფლებას.

მოგეხსენებათ, ბელგიელი ფეხბურთელის, ჟან მარკ ბოსმანის 1995 წელს წამოწყებულმა სატრანსფერო რევოლუციამ საფეხბურთო სამყაროს ნირი უცვალა და რომ ვთქვათ ახალი ეპოქა დაიწყოო, არც ამაში ვიქნებით მტყუანი. მას მერე ევროკავშირი თავისას ცდილობს, ფიფა თავისას და საბოლოოდ, პოზიციათა შესაჯერებლად, წეს-კანონთა გადასხვაფერება გახდა აუცილებელი.

მაგრამ, ზევით უკვე ვთქვით, რომ წესებში ცვლილება კონტრაქტის მნიშვნელოვნებასა და ღირებულებას ვერ შეცვლის. ვინც ამბობდა, ამაოდ ამბობდა, რომ ამიერიდან კლუბებსა და მოთამაშეებს როცა მოეპრიანებათ მაშინ დაარღვევენ გაფორმებულ ხელშეკრულებებს.

„ჩვენ სატრანსფერო კანონმდებლობას მთლიანობაში განვიხილავთ“ — განმარტა ფიფას პრესატაშემ ანდრეას ჰერენმა — „ყველაზე საფუძვლიანად შესასწავლი საკითხი იმ ფეხბურთელთა ბედი გახლავთ, რომლებსაც ამა თუ იმ კლუბთან კონტრაქტის ვადა ამოეწურებათ. ფიფა ცდილობს ევროკავშირთან სრული თანხმობა ჰქონდეს და ამიტომაც იმ ტიპის კონტრაქტების დანერგვას აპირებს, რომელთა თანახმადაც ორივე ხელმომწერი მხარე კმაყოფილი დარჩება. რაც შეეხება ხელშეკრულების უდროოდ გაწყვეტას, ფიფა ამას არ დაუშვებს“.

## FIFA WORLD RANKING Coca-Cola

კვლავ გამოქვეყნდა ფიფა — კოკა-კოლას ერთობლივი რეიტინგი, რომელშიც [illegible]ვეული ცვლილებები შეიმჩნევა. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო — ამ რეიტინგში ხომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის თამაშებია გათვალისწინებული. რაც შეეხება რეიტინგის ლიდერებს, გერმანია კვლავ სამეულში აღზევდა, ხოლო ოფიციალურ მატჩებში ლიტვასა და შოტლანდიასთან ნამარჯვი ჩეხეთი საგრძნობლად წამოეწია ლიდერებს.

აპრილის რეიტინგში ყველაზე დიდი პროგრესი ლიდერთა შორის უკრაინამ განიცადა — 35-ე ადგილიდან 22-ზე აღზევდა.

საქართველოს რაც შეეხება, უკრაინასთან შინ წაგებულმა თამაშმა და სლოვენიასთან ასევე შინ ვერ მოგებულმა ოფიციალურმა მატჩმა სარეიტინგო მდგომარეობაზე, ცხადია, იმოქმედა — საქართველოს ნაკრები დაქვეითდა და ახლა 56-ეა. შეგახსენებთ, რომ მარტის რეიტინგში ქართველთა გუნდი 54-ე გახლდათ.

ბოლოს დავძენთ, რომ ფიფა — კოკა-კოლას ახალი რეიტინგი 19 მაისს გამოქვეყნდება.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ბრაზილია | 817 | 30. | კოლუმბია | 583 |
| 2. | საფრანგეთი | 786 | | პოლონეთი | 583 |
| 3. | გერმანია | 746 | | ისრაელი | 583 |
| 4. | იტალია | 743 | 33. | რუსეთი | 577 |
| 5. | ჩეხეთი | 741 | 34. | ეგვიპტე | 570 |
| 6. | ხორვატია | 734 | 35. | საბერძნეთი | 568 |
| 7. | არგენტინა | 732 | 36. | კორეა | 566 |
| 8. | ესპანეთი | 720 | 37. | ზამბია | 565 |
| 9. | ჰოლანდია | 709 | 38. | საუდეთი | 559 |
| 10. | ინგლისი | 700 | 39. | იამაიკა | 557 |
| | რუმინეთი | 700 | | იაპონია | 557 |
| 12. | ნორვეგია | 685 | 41. | თურქეთი | 547 |
| 13. | მექსიკა | 684 | 42. | კამერუნი | 541 |
| 14. | შვედეთი | 677 | | კოტ დივუარი | 541 |
| 15. | პორტუგალია | 667 | 44. | განა | 540 |
| 16. | იუგოსლავია | 650 | | ირლანდია | 540 |
| 17. | დანია | 636 | | უნგრეთი | 540 |
| 18. | ავსტრია | 633 | 47. | ირანი | 531 |
| 19. | მაროკო | 624 | 48. | ისლანდია | 519 |
| 20. | პარაგვაი | 609 | | ქუვეითი | 519 |
| 21. | ჩილე | 605 | 50. | ლიტვა | 516 |
| 22. | უკრაინა | 604 | 51. | შვეიცარია | 513 |
| 23. | ბულგარეთი | 601 | 52. | ბოლივია | 512 |
| 24. | აშშ | 600 | 53. | ჩინეთი | 509 |
| 25. | ბელგია | 599 | | ავსტრალია | 509 |
| 26. | სლოვაკეთი | 598 | | ეკვადორი | 509 |
| 27. | ს. აფრიკა | 596 | 56. | საქართველო | 505 |
| 28. | შოტლანდია | 592 | 57. | ფინეთი | 504 |
| 29. | ტუნისი | 591 | 58. | ზაირი | 501 |
| | | | 59. | საამიროები | 499 |
| | | | 60. | ანგოლა | 494 |

**ამხანაგური მატჩი** 28 აპრილი. ჰოლანდია - მაროკო

ჰოლანდის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი), სანდერ ვესტერველდი (ვიტესი); მცველები — მარკ ვან ჰინტუმი (ვიტესი), ბერტ კონტერმანი (ფეიენოორდი), იაპ სტამი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), კის ვან ვონდერენი (ფეიენოორდი); ნახევარმცველები — ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (რეინჯერსი, შოტლანდია), ჟან-პოლ ვან გასტელი (ფეიენოორდი), მიხაელ კრეეკი (ვიტესი), კლარენს ზეედორფი (რეალი, ესპანეთი), არონ ვინტერი (ინტერი, იტალია); თავდამსხმელები — დენის ბერხკამპი (არსენალი, ინგლისი), დრის ბუსატა (ალკმაარი), მიხაელ მოლსი (უტრეხტი), იური მულდერი (შალკე 04, გერმანია), რუუდ ვან ნისტელროოი (ეინდჰოვენი), მარკ ოვერმარსი (არსენალი, ინგლისი), პიტერ ვან ფოსენი (ფეიენოორდი)

*ჰოლანდიის ნაკრების თავკაცმა ფრენკ რაიკაარდმა ნება დართო „ბარსელონას“ ჰოლანდიელ ლეგიონერებს, მონაწილეობა მიიღონ კატალონიური კლუბის საუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებულ საზეიმო მატჩში, რომელიც ასევე 28 აპრილს გაიმართება და კატალონიური კლუბი ბრაზილიის ეროვნულ გუნდს შეხვდება.*


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

თასების თასი. საპასუხო მატჩები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.04 | მალიორკა — ჩელსი | (1,5-2,0) | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| | ლაციო — ლოკომოტივი | (1,05-7,5) | 1,25 | 4,4 | 8,0 |

ჰოკეი. *NHL* მერვედფინალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.04 | ტორონტო — ფილადელფია | (2,3-1,4) | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| | ნიუ ჯერსი — პიტსბურგი | (1,4-2,3) | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| | კაროლინა — ბოსტონი | (2,3-1,4) | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | ფინიქსი — სენტ ლუისი | (1,35-2,5) | 1,5 | 4,4 | 3,0 |

შემდეგ ეტაპზე გასვლის ფსონები მიიღება მხოლოდ 20 და 21 აპრილს

კალათბურთი. *NBA*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.04 | ორლანდო — მაიამი | 1,3 | 12.0 | 2,8 |
| | ატლანტა — ბოსტონი | 1,1 | 12.0 | 5,0 |
| | დეტროიტი — ფილადელფია | 1,3 | 12.0 | 2,8 |
| | სან ანტონიო — დალასი | 1,1 | 12.0 | 5,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



თასების მფლობელთა თასი

XXII გათამაშება 1981-82 წლები

ბარსელონა

ბარსელონა, ესპანეთი

სოლომონ ქულიაშვილი

Cup Winners' Cup

სრული ისტორია

# დიდი ქართული გუნდის აღსასრული



ჩივაძისა და ქვანიას ამ იერიშს შედეგი არ მოჰყოლია. დინამომ სტანდარდის დაცვა ვერ გაარღვია

ცნობილი ფაქტია, რომელიმე ტურნირისა თუ თასის მოგება უფრო ადვილია, ვიდრე მერე მისი შენარჩუნება. 1982 წელს თბილისის „დინამოს“ თასთა თასი მეორედ აღარ მოუპოვებია, მაგრამ მაშინდელი გუნდი წინა სეზონისას თითქმის არაფრით ჩამოუვარდებოდა. შემადგენლობაში მომხდარი რამდენიმე ცვლილების მიუხედავად ფინალში გასვლას ცოტა დააკლდა. და მეორეც, სწორედ ამ წელს დამთავრდა „დიდი „დინამოს“ ისტორია, გუნდისა, რომელმაც ქართულ ფეხბურთს მეოცე საუკუნეში ყველაზე დიდი გამარჯვება მოუტანა. ძნელი სათქმელია, რატომ მოხდა ასე, განგების ნებით იყო თუ იმიტომ, რომ 81-იანელთა თაობამ თავისი მისია შესრულებულად ჩათვალა...

ფაქტი ერთია, მომდევნო 1983 წლიდან დღემდე, აგერ უკვე 16 წელიწადია, „დინამოს“ რაიმე მნიშვნელოვანი წარმატებისთვის აღარ მიუღწევია.

მაშინ კი, 81-ის შემოდგომაზე „დინამო“ თასთა თასის მფლობელის რანგში ჩაება გათამაშებაში. პირველ წრეში, ავსტრიულ „გრაცერთან“ შეხვედრამდე თბილისელები ესპანურ ტურნირში მონაწილეობდნენ და იქიდან ფეხმოტეხილი ყიფიანით დაბრუნდნენ. თბილისელების გამთამაშებელი მადრიდის „რეალის“ მცველმა მიგელ ანხელმა იმსხვერპლა.

ამის შემდეგ ყიფიანს კარიერა სრულფასოვნად აღარც გაუგრძელებია. 82-ის ბოლომდე ცოტა კიდევ ითამაშა და ფეხბურთს თავი დაანება. ყიფიანის გარდა, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა მაშინდელი „დინამოს“ სათამაშო სტილს, ქართველებს ჩივაძე და სულაქველიძე ჰყავდათ დაშავებული. მათი მინდორზე გამოსვლის პრობლემა მხოლოდ მატჩის წინ მოგვარდა.

ავსტრიელთა მწვრთნელი ზლატკო ჩაიკოვსკი ესპანეთშიც ყოფილა დინამოელთა დასაზვერად და იქიდან ნირწამხდარი დაბრუნებულა. „დინამოს“ მსგავს გუნდთან ვერაფერს გავაწყობთო, უთქვამს ადგილობრივი ჟურნალისტებისთვის. მართლაც, „გრაცერს“ ქართველების გასაჩერებლად მხოლოდ ერთი ხერხი რჩებოდა და თბილისში ასეც მოიქცა. პრაქტიკულად თერთმეტივე ფეხბურთელი ყრუ დაცვაში „ჩაჯდა“, მაგრამ თასის მფლობელს მაინც ვერაფერი მოუხერხა. ჯერ გუცაევის გადაცემით ქვანიამ გახსნა ანგარიში. მერე ისევ გუცაევის სწრაფი რეიდი და პენალტი. შენგელიას დარტყმა ზუსტი გამოდგა — 2:0. საინტერესოა, რომ ავსტრიელები არც ამის შემდეგ გადმოსულან შეტევაზე. ალბათ დიდი ანგარიშით წაგებისა ეშინოდათ, თუმცა ორბურთიანი უპირატესობაც საკმარისზე მეტი აღმოჩნდა. გრაცში 63-ე წუთისთვის შენგელიას ორი გოლის წყალობით კვლავ თბილისელები იგებდნენ და მერე რიდლისა და კამაუფის ორ საპასუხოს აღარაფერი შეუცვლია.

კორსიკულ „ბასტიასთან“ მერვედფინალში დინამოელებს კიდევ უფრო დიდი უპირატესობა ჰქონდათ. ბასტიაში, 56-ე წუთზე გუცაევმა ლამაზად გაიტანა, რამდენიმე მოწინააღმდეგეს აუარა გვერდი, წინ გამოსული მეკარე დაინახა და ბურთი თავზე გადაუგდო. საპასუხო ფრანგებმა ცოტა კურიოზულად შეაგდეს. „დინამოს“ საჯარიმოში უამრავი ფეხბურთელი მოგროვდა. არეულობით „ბასტიის“ კამერუნელმა როჟე მილამ ისარგებლა და გაათანაბრა. მილამ თბილისშიც გაიტანა, მაგრამ ეს ბოლოსწინა წუთზე მოხდა. მანამდე ორჯერ შენგელიამ და სულაქველიძემ სამი გაუტანეს კორსიკელებს. საინტერესოა, რომ ყიფიანის ფუნქციას ნელ-ნელა დარასელია კისრულობდა. განსაკუთრებით კარგად ეს „ბასტიასთან“ თბილისურ მატჩში გამოჩნდა. სწორედ დარასელია-შენგელიას ეფექტურმა თამაშმა განსაზღვრა დინამოელთა უპირატესობა.

82-ის გაზაფხულზე, ვარშავის „ლეგიის“ დამარცხების შემდეგ, ნახევარფინალში დინამოელები ბელგიური ლიეჟის „სტანდარდს“ შეხვდნენ. ეს იყო მატჩები, რომლებითაც პრაქტიკულად დიდი ქართული გუნდის ისტორია დამთავრდა. თანაც დამთავრდა რაღაც ახალთან, აქამდე უცნობ ფეხბურთთან შეჯახებით.

„სტანდარდის“ თამაშს მერე ბევრი „ანტიფეხბურთსაც“ უწოდებდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მწვრთნელმა რაიმონდ გუტალსმა ამ „ანტიფეხბურთით“ გუნდი ფინალში გაიყვანა და ამას მკაცრად ორგანიზებული თამაშით მიაღწია. ისიც ფაქტია, რომ დინამოელებმა მაშინ „სტანდარდის“ შესახებ ბევრი არაფერი იცოდნენ.

თბილისში, თამაშის მესამე წუთზე ქართველებმა საჯარიმო დარტყმის უფლება მიიღეს. ყიფიანმა ჩაჰკიდა და ამ დროს ბელგიური გუნდის მთელი დაცვა ორგანიზებულად გამოვიდა საკუთარი საჯარიმოდან. ასეთი „ხელოვნური თამაშგარეები“ სტუმრებმა კიდევ ბევრჯერ გაიმეორეს, დინამოელებმა კი „ლიეჟურ ეშმაკის მანქანას“ მხოლოდ მეორე ტაიმში აუღეს ალღო. ცდილობდნენ, ინდივიდუალური გარღვევებით მიეღწიათ წარმატებისათვის, ბევრსაც უტევდნენ, მაგრამ არაფერი გამოდიოდა.

პირველი ტაიმის მიწურულს კი სტუმრებმა ერთადერთი ბურთი გაიტანეს. წარმოშობით ინდონეზიელმა ჰოლანდიელმა სიმონ ტაჰამატამ მარცხენა ფრთაზე ორი თბილისელი მოატყუა, საჯარიმოსთან ჩაჰკიდა, ჟაკ დაარდენის [illegible] ზუსტი [illegible]

თბილისში სეზონის საუკეთესო მატჩი ჩა[illegible] გუტალსმა. ლიეჟში მართლაც უსახური თამაში გამოვიდა. ისევ დაარდენის გოლი და „სტანდარდი“ ფინალში გავიდა.

ბელგიელებს მაშინ მართლაც კარგი გუნდი ჰყავდათ — მეკარე პრიუდომი, გერეტსი, მეუვსი, ვანდერსმისენი, პლესერსი და ჰოლანდიელი ჰაანი. რაიმონდ გუტალსს კი 1978-ში „ანდერლეხტთან“ ერთად თასების თასი უკვე ჰქონდა მოგებული.

გადამწყვეტ მატჩში, საკუთარ „კამპ ნოუზე“ „სტანდარდს“ „ბარსელონა“ ელოდა. „ბარსას“ მწვრთნელი უდო ლატეკი ამბობდა, ბელგიელების თამაში ყურადღებით შევისწავლეთ, მივხვდით, როგორ უნდა ვებრძოლოთ და „ხელოვნური თამაშგარეების“ გაკეთების საშუალებას არ მივცემთ. ჩემს გუნდში უამრავი მაღალი კლასის ინდივიდუალისტია და მათი იმედი მაქვსო. მიუხედავად ამისა, პირველი ნახევარი საათის განმავლობაში კატალონიელები ვერაფერს უხერხებდნენ „ლიეჟურ თამაშგარეს“.

მეტიც, დასაწყისშივე ჰაანი-ვენდტი-ვანდერსმისენის კომბინაცია გოლით დამთავრდა. მაგრამ თანდათან მასპინძლებმა თამაში დაალაგეს და ტაიმის მიწურულს ტანმორჩილმა დანიელმა ალან სიმონსენმა მასზე თითქმის ორჯერ მაღალ მცველებს აჯობა და ანგარიში გაათანაბრა. მერე „ბარსას“ ესპანეთის იმწლევანდელი ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლემ კინიმ უშველა. მის მეორე გოლს სტუმრებმა ველარაფერი დაუპირისპირეს. თანაც ბოლოსკენ თამაში გაუხეშდა. მსაჯმა ბელგიელი პული გააძევა, ხოლო ვენდტს, ჰაანს, მიგელის და მანოლოს ყვითლები ჩამოურიგა.

„ბარსამ“ თავის ისტორიაში მეორედ მოიპოვა თასების თასი. „კამპ ნოუზე“ კი ერთ-ერთი ბოლო რეპეტიცია ჩატარდა. ერთი თვის შემდეგ ამ სტადიონზე არგენტინა — ბელგიის მატჩით ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატი გაიხსნა.



ბარსელონა 1982 წელს. მარცხნიდან დგანან: არტოლა, სანჩესი, მანოლო, ალესანკო, ვიქტორი, ოლმო. სხედან: ესტელა, ესტებანი, კინი, სიმონსენი, მორანი

**წინასწარი წრე** პოლიტექნიკა (რუმინეთი) — ლოკომოტივი (ლაიპციგი, გდრ) 2:0, 0:5

**პირველი წრე**

დინამო (თბილისი, სსრკ) — გრაცერი (ავსტრია) 2:0 (ქვანია, შენგელია), 2:2 (შენგელია 2; რიდლი, კამაუფი); აიაქსი (ჰოლანდია) — ტოტენჰემი (ინგლისი) 1:3, 0:3; კოტკა (ფინეთი) — ბასტია (საფრანგეთი) 0:0, 0:5; აინტრახტი (ფრანკფურტი, გფრ) — პაოკ (საბერძნეთი) 2:0, 0:2, პენ. 5:4; ბარსელონა (ესპანეთი) — ტრაკია (ბულგარეთი) 4:1, 0:1; სოუზსი (უელსი) — ლოკომოტივი 0:1, 1:2; ვალერენგენი (ნორვეგია) — ლეგია (პოლონეთი) 2:2, 1:4; ასკ (დონის როსტოვი, სსრკ) — ანკარაგიუჯიუ (თურქეთი) 3:0, 2:0; პარალიმნი (კვიპროსი) — ვაშაში (უნგრეთი) 1:0, 0:8; ბოლიმინა (ჩრდ. ირლანდია) — რომა (იტალია) 0:2, 0:4; ლოზანა (შვეიცარია) — კალმარი (შვედეთი) 2:1, 2:3; ჟენესი (ლუქსემბურგი) — ველეჟი (იუგოსლავია) 1:1, 1:6; ფლორიანა (მალტა) — სტანდარდი (ბელგია) 1:3, 0:9; ფრამი (ისლანდია) — დანდელკი (ირლანდია) 2:1, 0:4; დუკლა (ჩეხოსლოვაკია) — რეინჯერსი (შოტლანდია) 3:0, 1:2; ვეილე (დანია) — პორტუ (პორტუგალია) 2:1, 0:3

**მერვედფინალი**

ბასტია — დინამო (თბ) 1:1 (მილა; გუცაევი), 1:3 (მილა; შენგელია 2, სულაქველიძე); ასკ — აინტრახტი 1:0, 0:2; დუკლა — ბარსელონა 1:0, 0:4; პორტუ — რომა 2:0, 0:0; დანდელკი — ტოტენჰემი 1:1, 0:1; ვაშაში — სტანდარდი 0:2, 1:2; ლოკომოტივი — ველეჟი 1:1, 1:1, პენ. 3:0; ლეგია — ლოზანა 2:1, 1:1

**მეოთხედფინალი**

ლეგია — დინამო (თბ) 0:1 (სულაქველიძე), 0:1 (შენგელია);
ლოკომოტივი — ბარსელონა 0:3 (კინი, მორანი, სიმონსენი), 2:1 (კიუნი, ბერნშტაინი; მორანი)
სტანდარდი — პორტუ 2:0 (ვენდერბერგი, გაბრიელი ა.კ.), 2:2 (ლუკლოუ, ვანდერსმისენი; ჟაკუ-ჟაიმე პაშეკო)
ტოტენჰემი — აინტრახტი 2:0 (მილერი, ჰაზარდი), 1:2 (ჰოლცი; ბორხერსი, ბომ კუნ ჩა)

**ნახევარფინალი**

დინამო (თბ) — სტანდარდი 0:1 (დაარდენი), 0:1 (დაარდენი)
ტოტენჰემი — ბარსელონა 1:1 (რობერტსი; ოლმო), 0:1 (სიმონსენი)

**ფინალი. ბარსელონა. 12 მაისი. 95 000 მაყურებელი**

**ბარსელონა 2:1 სტანდარდი**

0:1 ვანდერსმისენი (8), 1:1 სიმონსენი (45), 2:1 კინი (63)

ბარსელონა: ურუტიკოეჩეა, გერარდო, მიგელი, ალესანკო, მანოლო, სანჩესი, მორატალია, ესტებანი, სიმონსენი, კინი, კარასკო

სტანდარდი: პრიუდომი, გერეტსი, პოელი, მეუვსი, პლესერსი, ვანდერსმისენი, დაარდენი, ჰაანი, ბოტერონი, ტაჰამატა, ვენდტი

მსაჯი: ეშვაილერი (გფრ)




REUTERS მიუნხენიდან

ტიმსისტემი — კინდერი. ტიმსისტემელები რადოსლავ მაკრის-ნესტეროვიჩს (№8) მიეძალნენ: იგი მარცხნიდან დან გაის აკავებს, მარჯვნიდან — გრეგორ ფუჩკას

# ხუთი ნოკდაუნის და ერთი ნოკაუტის ამბავი

ასეთი რამ კრივში მომხდარა, ოღონდ იშვიათად: ერთი მოკრივე ხუთჯერ ჩააგდებს ნოკდაუნში მეორე მოკრივეს, მერე ეს მეორე ერთს ხეთქავს იმ პირველს და ნოკაუტით მოიგებს.

თუ წლევანდელ საკალათბურთო სეზონს კრივის მატჩად წარმოვიდგენთ, ბოლონიის „ტიმსისტემმა“ ხუთი ნოკდაუნი აგემა (ხუთი მატჩი მოუგო) თანაქალაქელ „კინდერს“. ბოლო რაუნდში (ამ შემთხვევაში „ოთხთა ფინალში“) კი „კინდერმა“ ნოკაუტი აკიდა „ტიმსისტემს“.

ყოველგვარი დერბის თანამდევი ზიზღი და შუღლი ამ ორი გუნდის მხარდამჭერთა შორის აწი უფრო გაღრმავდება. ბოლონიის მოქალაქეებმა ერთმანეთში სანაქებო ჩხუბი ატეხეს, ოღონდ, მიუნხენში, სახლს მრავალი ასეული კილომეტრით დაშორებულ ქალაქში. მატჩის ბოლო წამებზე „ტიმსისტემის“ გაალმასებულმა ქომაგებმა მოედანზე ორი ცეცხლმოკიდებული მაშხალა გადმოაგდეს. „კინდერის“ გულშემატკივრებმა ეს ქმედება იუკადრისეს და ზედ ტრიბუნებზე დაცხეს თანაქალაქელებს. პოლიცია მყისვე დატრიალდა და „ტიმსისტემის“ რამდენიმე ფანი დარბაზიდან გაიყვანა.

წინასამატჩო ფსიქოლოგიურ განწყობაში ორივეს ჰქონდა თავ-თავიანთი უპირატესობანი. „ტიმსისტემაა“ ხუთივე დერბი მოუგრ მეტოქეს, „კინდერი“ კი ევროლიგის შარშანდელი გამარჯვებულია — ამდენად, გადამწყვეტ მატჩებს უკეთ თამაშობს. ფსიქოლოგიურად უფრო მდგრადები კინდერელები აღმოჩნდნენ — მათ ზემოაღნიშნული ფსიქოლოგიურ უპირატესობა მატერიალურში გადაზარდეს. ხოლო თუ მათ მწვრთნელს ეტორე მესინას დავუჯერებთ, „ტიმსისტემის“ უპირატესობაც სათავისოდ გამოიყენეს: „ჩემი მოთამაშეები გაბრაზებულნი იყვნენ ცალკე ხუთი მარცხის გამო და ცალკე „ტიმსისტემის“ მოთამაშეთა ბაქიაობის გამო. მეტოქის ბიჭებს ეთქვათ, „კინდერს“ იოლად მოვუგებთო“.

„ტიმსისტემის“ ბანაკში კი გულდაწყვეტილობა სუფევდა. გუნდის ინგლისელი ცენტრი ენდრიუ ბეტსი: „ამ მატჩმაც დაგვარწმუნა, რომ წინა შედეგები მხედველობაში არ უნდა მიიღო. „კინდერი“ ჩემპიონია და ჩემპიონურადვე მოგვეპყრო. ჩვენ ძლიერ გუნდთან დავმარცხდით“.

„კინდერმა“ მეტად შემართულმა დაიწყო თამაში და მე-11 წუთზე 20:9 იგებდა. სხვებისგან პრედრაგ დანილოვიჩი და რადოსლავ მაკრის-ნესტეროვიჩი გამოირჩეოდნენ, მაგრამ კინდერელთა თამაშს უფრო გუნდური ეთქმოდა. „ტიმსისტემი“ კი პირიქით — მისი მოთამაშეები ცალ-ცალკე ჩალიჩობდნენ, მაგრამ თითქის არაფერი გამოსდიოდათ. იყვნენ თუ არა მოედანზე გრეგორ ფუჩკა და არტურას კარნიშოვასი, ერთობ ძნელი მისახვედრი იყო. დამირ მულაომეროვიჩი მთვარეულივით დაიარებოდა და უკანა ხაზსა და ფორვარდებს შორის კავშირი ვერ უზრუნველყო.

თამაში პირველს კარლტონ მაიერსს წაუვიდა. კომბინაციურად რომ ვერა მოახერხა, ეს კაცი სროლებს მიეძალა და მდგომარეობაც გამოსწორდა — „კინდერმა“ ტაიმი მხოლოდ 34:32 მოიგო.

მეორე ტაიმის დასაწყისში მარკო ლაცის-იარიჩმა ბურთი ჩაჭრა, ჩააგდო და ზედ ერთი საჯარიმოც მიაყოლა. ასე დაწინაურდა „ტიმსისტემი“ პირველად და მხოლოდ ერთი წუთით.

კინდერელთა ცენტრი მაკრის-ნესტეროვიჩი უმალ გონს მოვიდა და ძალისმიერად ათამაშდა. ფარქვეშიდან ლამის ყველა ნასროლი ჩააგდო. მეტოქის მაღლები კი ბურთს საერთოდ არ გააკარა. „ტიმსისტემი“ კი მთლად მოიშალა — მაიერსმა მიზანი ველარაფრით გაასწორა, ლაცის-იარიჩი გავარდა, ფუჩკა და კარნიშოვასი კი იმდენად უსუსურნი იყვნენ, რომ მწვრთნელმა სკანსკიმ სკამზე დასვა.

„კინდერს“ აღარ გაუშვია უპირატესობა ხელიდან, მატჩი აუღელვებლივ დაასრულა და „ჟალგირისი“ — „ოლიმპიაკოსის“ მატჩის სანახავად გაემზადა.

ლევან ავალიშვილი

ევროლიგის „ოთხთა ფინალი“. ნახევარფინალი

## ტიმსისტემი 57:62 კინდერი

20 აპრილი. მიუნხენი. ოლიმპიაჰალე

მსაჯები: მიგელ ბეტანკური (ესპანეთი), იზტოკ რემსი (სლოვენია)

| ტიმსისტემი | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლი | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბეტსი | 22 | 1/2 | 0/0 | 3/4 | 5 | 0 | 0 | 4 | 5 |
| დამიაო | 20 | 0/0 | 0/0 | 3/4 | 4 | 0 | 0 | 2 | 3 |
| ფუჩკა | 15 | 0/3 | 0/0 | 0/0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გაი | 18 | 1/2 | 0/0 | 0/0 | 3 | 0 | 1 | 2 | 2 |
| კარნიშოვასი | 20 | 1/3 | 0/2 | 0/0 | 1 | 0 | 3 | 0 | 2 |
| ლაცის-იარიჩი | 27 | 4/10 | 2/5 | 3/5 | 3 | 0 | 2 | 5 | 17 |
| მულაომეროვიჩი | 26 | 0/1 | 1/4 | 2/4 | 0 | 0 | 0 | 4 | 5 |
| მაიერსი | 30 | 6/11 | 0/4 | 6/7 | 3 | 0 | 1 | 3 | 18 |
| პილუტი | 22 | 1/2 | 1/3 | 0/0 | 4 | 0 | 2 | 1 | 5 |
| სულ | 200 | 14/34 | 4/18 | 17/24 | 24 | 0 | 9 | 21 | 57 |

| კინდერი | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლი | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აბიო | 21 | 1/1 | 1/1 | 2/2 | 0 | 1 | 0 | 4 | 7 |
| ბინელი | 3 | 1/2 | 0/0 | 0/0 | 1 | 1 | 0 | 2 | 2 |
| კრიპა | 11 | 0/0 | 1/1 | 0/0 | 1 | 1 | 0 | 3 | 3 |
| დანილოვიჩი | 34 | 5/12 | 0/2 | 2/2 | 2 | 3 | 3 | 3 | 12 |
| ფროზინი | 35 | 1/5 | 0/0 | 1/4 | 10 | 0 | 1 | 1 | 3 |
| მაკრის-ნესტეროვიჩი | 35 | 7/9 | 0/0 | 2/2 | 6 | 1 | 1 | 2 | 16 |
| ოსალივანი | 6 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 |
| რიგოდო | 26 | 1/5 | 1/3 | 2/5 | 3 | 0 | 1 | 5 | 7 |
| სკონოჩინი | 29 | 2/4 | 1/1 | 5/7 | 0 | 3 | 1 | 1 | 12 |
| სულ | 200 | 18/38 | 4/8 | 14/22 | 24 | 10 | 7 | 23 | 62 |

# სულის ამოხდა შესვენებამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროლიგის „ოთხთა ფინალი“. ნახევარფინალი

## ჟალგირისი 87:71 ოლიმპიაკოსი

20 აპრილი. მიუნხენი. ოლიმპიაჰალე

მსაჯები: რუვენ ვიროვნიკი (ისრაელი), კარლ იუნგებრანდი (სლოვენია)

| ჟალგირისი | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლი | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ადომაიტისი | 22 | 2/4 | 2/4 | 5/6 | 1 | 1 | 1 | 3 | 15 |
| ბოუი | 23 | 4/6 | 3/5 | 2/2 | 4 | 1 | 3 | 1 | 19 |
| ედნი | 25 | 3/6 | 0/0 | 7/10 | 0 | 6 | 1 | 3 | 13 |
| მასიულისი | 29 | 1/1 | 0/0 | 0/0 | 3 | 0 | 1 | 3 | 2 |
| მასკოლიუნასი | 15 | 1/2 | 0/0 | 2/6 | 2 | 0 | 1 | 2 | 4 |
| შესტოკასი | 2 | 0/0 | 1/1 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 |
| შტომბერგასი | 26 | 2/6 | 1/3 | 3/3 | 3 | 3 | 1 | 2 | 10 |
| ზიდეკი | 19 | 2/3 | 0/0 | 5/5 | 5 | 0 | 0 | 4 | 9 |
| ე. ჟუკაუსკასი | 19 | 1/2 | 0/0 | 3/4 | 4 | 2 | 2 | 5 | 5 |
| მ. ჟუკაუსკასი | 20 | 2/3 | 0/2 | 3/4 | 2 | 1 | 0 | 3 | 7 |
| სულ | 200 | 18/33 | 7/15 | 30/40 | 24 | 14 | 10 | 26 | 87 |

| ოლიმპიაკოსი | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლი | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ადე მანსა | 14 | 3/5 | 1/2 | 3/4 | 1 | 1 | 0 | 2 | 12 |
| ფასულასი | 8 | 0/1 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 |
| გოლდვაიერი | 24 | 1/4 | 0/2 | 5/6 | 1 | 1 | 1 | 1 | 7 |
| კომაზეცი | 25 | 1/4 | 1/2 | 2/2 | 1 | 0 | 0 | 4 | 7 |
| ობერტო | 11 | 1/2 | 0/0 | 0/0 | 3 | 0 | 0 | 5 | 2 |
| პაპანიკოლაუ | 24 | 4/8 | 0/1 | 4/6 | 5 | 1 | 1 | 3 | 12 |
| როჯერსი | 28 | 3/4 | 0/4 | 2/2 | 8 | 0 | 0 | 0 | 8 |
| ტარლაჩი | 23 | 5/7 | 0/0 | 5/7 | 9 | 2 | 0 | 4 | 15 |
| ტომიჩი | 29 | 0/0 | 0/2 | 2/4 | 0 | 0 | 3 | 4 | 2 |
| ცალიკისი | 14 | 3/4 | 0/2 | 0/0 | 1 | 0 | 2 | 1 | 6 |
| სულ | 200 | 21/39 | 2/15 | 23/31 | 29 | 5 | 7 | 27 | 71 |

აქეთ ევროლიგის დებიუტანტი „ჟალგირისი“, იქით — ევროლიგის ბოლო ხუთი გათამაშების სამგზის ფინალისტი, 1997 წლის გამარჯვებული „ოლიმპიაკოსი“.

ფავორიტი „ოლიმპიაკოსია“. ამას არავინ მალავს, მათ შორის არც ლიტველები.

მატჩი მთავრდება და ირკვევა, რომ ძლევამოსილმა „ოლიმპიაკოსმა“ ვერაფერი დაუპირისპირა ლიტვის ჩემპიონის სწრაფ და მწყობრ თამაშს.

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილი მოთამაშის ენტონი ბოუის მოწესრიგებული, დროული სროლები და ჩეხი ირჟი ზიდეკის მიერ საჭირო მომენტებში მოხსნილი ბურთები — ესეც თქვენ „ჟალგირისის“ შთამბეჭდავი გამარჯვების საიდუმლოც და გასაღებიც.

„ბევრი კარგი მატჩი გვითამაშია, მაგრამ დღევანდელი საუკეთესო იყო. ვაკეთებდით იმას, რაც ჩავიფიქრეთ და ვამაყობთ, რომ ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი დავამარცხეთ“ — განაცხადა ენტონი ბოუიმ. სრული სიმართლეა. „ჟალგირისი“ რომ მატჩიდან მატჩამდე უმატებს, არაერთხელ გვითქვამს. ამ მატჩში კი, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, თითქოს ერთი გუნდი თამაშობდაო: ბერძნები მხოლოდ თვალს აყოლებდნენ ტყვიებივით მქროლავ ლიტველებს. სტარტზე მოპოვებული უპირატესობა „ჟალგირისმა“ შესვენებისთვის 48:33 აქცია.

„ოლიმპიაკოსი“ უკვე ამ დროს დაღლილი იყო, რაც აღნიშნა კიდეც მისმა მწვრთნელმა დუშან ივკოვიჩმა: „მეტოქის მიერ შემოთავაზებული ტემპი მაღალი იყო და ჩვენ ვერ გავძელით. დავიღალეთ და ამის გამო მოედნის ყველა უბანზე ისინი გვასწრებდნენ. ჩვენი დაცვა საძაგელი იყო, მათი კი — ბრწყინვალე. ამას დაუმატეთ უმაღლესი სისწრაფე და ზუსტი სროლების დიდი რაოდენობა. ეს ჩვენთვის ნამეტანი აღმოჩნდა. ყველაფერი პირველი ტაიმის დამთავრებისთანავე დამთავრდა“.

მეორე ტაიმი ფორმალობისა და ოქმისთვის ჩატარდა. „ჟალგირისს“ არ უნდა აერია, თორემ „ოლიმპიაკოსი“ რომ არაფრის მაქნისი იყო, ყველა ხვდებოდა. ლიტველებმა არ აურიეს, ბოლომდე ეპყრათ ხელთ მატჩის სადავეები. ბერძნებმა ვერაფერი გააკეთეს, პირიქით — გააფუჭეს და თუ დუშან ივკოვიჩი თავიდან გაკვირვებული იყო თავის ინტერნაციონალური კოლექტივის უნიათობით, ბოლოს გაკვირვების უნარიც დაკარგა.

ალექსი კედელაშვილი




REUTERS მიუნხენიდან

ჟალგირისი — ოლიმპიაკოსი. დრაგან ტარლაჩი (№12) ჟალგირისელ ეურელიუს ჟუკაუსკასს (№9) მიეპარა

ევროლიგა. ფინალი. 22 აპრილი. მიუნხენი

# ბოლონიური დაცვა კაუნასური სისწრაფის წინააღმდეგ

## კინდერი vs ჟალგირისი

დღეს მიუნხენში ევროლიგის ფინალია, სეზონის უმთავრესი მატჩი. ევროლიგის შარშანდელი გამარჯვებული ბოლონიის „კინდერი" ტიტულს დებიუტანტ „ჟალგირისისგან" დაიცავს.

„ჟალგირისის" აქ გამოჩენას ცოტა ვინმე თუ ელოდა. აქეთ შეზღუდული ფინანსებიო, იქით — გამოუცდელობით, კიდევ იქით — ვარსკვლავების მცირე რაოდენობაო... კიდევ ბევრი რამეო, მაგრამ ნახევარფინალში კაუნასელებმა ხერხემალში გადატეხეს „ოლიმპიაკოსი", რითაც ერთგვარად „კინდერიც" გააფრთხილეს: ჩემზე რასაც ამბობენ, ნაკლებად მაინტერესებს, ფინალისკენ შთამბეჭდავი სვლა იქვე მოგებით უნდა დავასრულოო.

„კინდერი" ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია, მაგრამ ჩვენ გვიყვარს ძლიერებთან თამაში" — ამბობს „ჟალგირისის" მწვრთნელი იონას კაზლაუსკასი და იქვე დასძენს: „ეს გუნდი ჩემპიონია და, ამიტომ, დაძაბულობისგან შებოჭილი იქნება. მჯერა, ჩვენ გამარჯვება შეგვიძლია".

კაზლაუსკასი დარწმუნებული რომ არ იყოს, ალბათ ასეთ თამამ განცხადებას არ გააკეთებდა. მას ზურგს ევროპის თასის (ახლანდელი საპორტას თასი) შარშანდელი მოგება და წლევანდელი შესანიშნავი სეზონი უმაგრებს. რისი იმედი აქვს დღევანდელ მატჩში?

პირველ რიგში ამერიკელების, ენტონი ბოუის და ტაიუს ედნის განსწავლულობის და არაჩვეულებრივად სინქრონული მოქმედების. ჩეხი ცენტრი ირჟი ზიდეკი საიმედოდ დგას ფარქვეშ. არიან კიდევ ლიტვური ეროვნების კალათბურთელები, რომლის თაობაზეც კაზლაუსკასი ამბობს: „ჩემი გუნდის ლიტველი მოთამაშეები კარგები არიან, მაგრამ ვაღიარებ, რომ ჩვენს წარმატებებს სამი უცხოელი განაპირობებს".

„კინდერმა" შესანიშნავი საფინალო განწყობა შეიქმნა თანაქალაქელი „ტიმსისტემის" დამარცხებით. იგი ფავორიტია და, თან, 1990 წლის შემდეგ პირველი კლუბია, ვისაც ზედიზედ მეორედ შეუძლია ევროლიგის მოგება. ცხრა წლის წინ ეს საქმე სპლიტის „იუგოპლასტიკამ" მოახერხა. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ როგორ ეპყრობა „ჟალგირისი" ფავორიტებს, ის „ოლიმპიაკოსთან" ნათამაშევმა ნახევარფინალმაც გვიჩვენა. ამის თაობაზე კინდერელებმაც კარგად უწყიან. ერთ-ერთი მათგანი, ფრანგი ანტუან რიგოდო ამბობს: „ჟალგირისი" მეტად სახიფათოა. ჩვენთვის დამღუპველი იქნება, თუ მათ პერიმეტრულ [illegible] არ მივიჩნევთ".

ერთი სიტყვით, დღეს მიუნხენში სხვადასხვა სათამაშო სტილი შეეჯახება ერთმანეთს. „კინდერი" ზედმიწევნით ტაქტიკურად, უხისტესი დაცვით ითამაშებს. თვის მხრივ, „ჟალგირისი" მაღალ ტემპსა და ბურთის სწრაფ გათამაშებას ამოირჩევს.

ბოლონიელთა თავკაცი ეტორე მესინა დუმს. კაუნასელთა მოძღვარი კაზლაუსკასი კი ენად გაკრეფილა: „კინდერს" პრობლემები ჰქონდა, მაგრამ ფინალში მაინც გავიდა. ეს დიდი გუნდებისთვის დამახასიათებელი თვისებაა. მაგრამ ჩვენ ახალგაზრდები და მშივრები ვართ. ტიტულების შიმშილს განვიცდით. ჩვენ შეგვიძლია „კინდერის" დამარცხება.

აქ დამთავრება შეიძლებოდა, მაგრამ „კინდერს" ჰყავს ერთი მოთამაშე, რომელსაც ევროლიგის ფინალი ჯერ არ წაუგია. პრედრაგ დანილოვიჩმა 1992 წელს „ცრვენა ზვეზდაში" მოიგო ტიტული, შარშან კი — ახლანდელ გუნდთან ერთად. ეს ისე, ცნობისთვის...

რეგულარული ჩემპიონატი

# დანკანი: კერპთამჟლეტი

20 აპრილი

**იუტა 69:83 სან ანტონიო**

იუტა: სტოქტონი (8), ჰორნაჩეკი (11), რასელი (8), მელოუნი (23 ქულა, 13 მოხსნა), ოსტერტაგი (8 მოხსნა); ეისლი (8), ანდერსონი (5), ფალერი (4), ფოსტერი (2), კიფი, ბეილი

სან ანტონიო: ჯონსონი (6 ქულა, 8 პასი), ელი (4), ელიოტი (11), დანკანი (36 ქულა, 10 მოხსნა, 7 დაფარება), რობინსონი (12 ქულა, 11 მოხსნა); როუზი (6 ქულა, 11 მოხსნა), დანიელსი (6), კერი (2), კერსი, პერდიუ

მაიკლ ჯორდანის კალათბურთიდან წასვლის შემდეგ ყველა ფიქრობდა, რომ ლიგის ჰეგემონი გუნდი „იუტა ჯაზი" გახდებოდა, მისი ლიდერი კარლ მელოუნი კი სეზონის უძვირფასესი მოთამაშე. პროგნოზი ჯერჯერობით ნაწილობრივ თუ ახდა. იუტამ მოახერხა პორტლენდის ჩამოტოვება და, საერთოდ, ლიგის 28 დანარჩენ გუნდს სათავეში უდგას. მელოუნი ჯერ არ ჩამქრალა, მაგრამ ამ სეზონში ძველებურად ნამდვილად ვერ გამოიყურება. ასოციაციის ბოლო ათი სეზონის უძლიერეს თავდამსხმელს შარშან სან ანტონიოელი ტიმ დანკანის სახით სერიოზული მეტოქე გამოუჩნდა და წლეულს დანკანმა აჯობა კიდეც, რითაც სერიოზული განაცხადი გააკეთა უძვირფასესის ტიტულზე.

სოლტ ლეიკ სიტიში ყველას უჭირს თამაში („ჯაზი" შინ წლეულს მხოლოდ ერთხელ, ლეიკერსთან დამარცხდა 7 მარტს), განსაკუთრებით, სან ანტონიოს. „სფურზი" ამ გუნდს განსაკუთრებით მტრობს, რადგან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში იუტამ სამჯერ გამოაგდო პლეი ოფიდან და არც რეგულარულ სეზონში ახარებდა. წლეულს სან ანტონიოშიც მოუგო 101:87. ყოველივე ამის გამო ტეხასელები სოლტ ლეიკ სიტის გულდაბოლმილები და საომრად შემართულები ესტუმრნენ და თავისიც გაიტანეს. იუტა შინ მეორედ დამარცხდა და შეწყვიტა ზედიზედ თერთმეტმატჩიანი მოგებების სერია, სან ანტონიომ კი დასავლეთში მის მიერ ძლეულ იუტასა და პორტლენდის შემდეგ მესამემ დაიბევა პლეი ოფი.

ეს შეხვედრა ლიგის ორი უძლიერესი თავდამსხმელის — ყმაწვილი დანკანის და ბებერი მელოუნის დუელად იქცა. დანკანი სულ მეორე სეზონს თამაშობს მსოფლიოს უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში და იუტელს გამოცდილებით ჩამორჩება (მელოუნის კარიერა მე-14 სეზონს ითვლის), მაგრამ მან მეტოქე აშკარად დაჯაბნა. დანკანი ბრწყინავდა ორივე ფარზე, შეტევაშიც, დაცვაშიც. იგი ბევრისმნახველ, დიდ გამოცდილების მქონე მოთამაშეს მოაგონებდა იქაურ „დელტა ცენტრში" შეკრებილ 19 ათას გულშემატკივარს, რომლებიც გულისხეთქვით შესცქეროდნენ მის გალაღებას. „სამაგალითოა მისი მონდომება — ამბობდა მატჩის შემდეგ სან ანტონიოს მწვრთნელი გრეგ პოპოვიჩი — ვფიქრობ, დღესდღეობით ტიმი (დანკანი) უძლიერესია ლიგაში."

**გოლდენ სტეიტი 102:106 ლეიკერსი**

(ძირითადი დრო 90:90)

გოლდენ სტეიტი: სტარქსი (20), კამინგსი (17)

ლეიკერსი: ბრაიანტი (27), ჰორი (17 ქულა, 10 მოხსნა)

გოლდენ სტეიტს რომ მოეგო, მიუახლოვდებოდა პლეი ოფის მისადგომებს, სადაც ბოლო ოთხი სეზონია ფეხი არ დაუდგამს. წააგო და ერთი მოგებით ჩამორჩა მოცილეებს — სიეტლს და საკრამენტოს. არადა, რა ახლოს იყო გამარჯვებასთან, ისიც ვისთან, თვით ლეიკერსთან, რომელმაც იმ დღეს საშინლად, განსაკუთრებულად ცუდად დაიწყო თამაში.

„მეომრებმა" თავიდანვე სტუმართა კალათის სასტიკ დარბევას მიჰყვეს ხელი, უკვე პირველი მეოთხედის ბოლოს ანგარიში 32:10 იყო, გოლდენ სტეიტის სასარგებლოდ. მეორე მეოთხედის დაწყების შემდეგ ორიოდ წუთში სხვაობამ 28 ქულას უწია. აქ სტუმართა ლიდერს და ლიგის უმძლავრეს ცენტრს, შაკილ ონილს ნერვებმა უმტყუნა და სტუმართა გამთამაშებელ ბიმბო კოულზს ხელი ჰკრა და იატაკზე გაშოტა. კოულზი წამოხტა და ამ 140-კილოიან კაცს დავა დაუწყო. შედეგად მსაჯებმა ონილი, რომელმაც მხოლოდ 10 ქულის გაკეთება მოასწრო, მოედნიდან მიაბრძანეს, კოულზს ტექნიკური მისცეს. ყოველივე ეს კი ლეიკერსს უფრო წაადგა, ვიდრე გოლდენ სტეიტს. უონილო სტუმრები კობი ბრაიანტის წინამძღოლობით მშვენივრად ათამაშდნენ. 28 ქულიდან მალე აღარაფერი დარჩა. ბრაიანტის მიერ ბოლო წამებზე ჩაგდებულმა ბურთმა კი სტუმრებს ოვერტაიმში გამარჯვების იმედი მისცა.

დამატებით დროში ერთობ გახსნილი თამაში გაჩაღდა. სწრაფ გადარბენ-გადმორჩენებში ყველაფერი ისევ ბრაიანტმა გადაწყვიტა, იმდენი უტენა გასავათებულ გოლდენ სტეიტს, სანამ ლეიკერსს თავისი არ გაატანინა.

**დალასი 104:100 ფინიქსი**

დალასი: ფინლი (36 ქულა, 10 მოხსნა)

ფინიქსი: კიდი (17 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა)

ფინიქსმა ამ შეხვედრამდე ზედიზედ სამჯერ გაიმარჯვა და დასავლეთში მეშვიდე ადგილზე დაფუძნდა. დალასთან რომ მოეგო, უკვე მეექვსეადგილოსან მინესოტას შეუამხანაგდებოდა. წარმატებასთან ახლოსაც იყო, ბოლო მეოთხედში 12 ქულის სხვაობით უგებდა ვითომ მასზე გაცილებით სუსტ დალასს, ყველაფერი მოთავებულად ჩათვალა და ამისთვის ისევ მათმა ყოფილმა მოთამაშემ, მაიკლ ფინლიმ დასაჯა. მან თავისი სეზონში სარეკორდო, 36 ქულიდან 13 ბოლო მეოთხედში ჩაუგდო ყოფილ თანაგუნდელებს. ანგარიში 100:100 იყო, მატჩის დამთავრებას ექვსნახევარი წამი აკლდა, როცა ფინლიმ ფინიქსელი რობინსონის (15 ქულა) ხელებს ზემოდან ჩააგდო. ორნახევარი წამით ადრე კი კიდის შეცდომის შემდეგ ორი საჯარიმოთი მატჩს წერტილი დაუსვა.

**მილუოკი 95:83 ორლანდო**

მილუოკი: ალენი (18), რობინსონი (18)

ორლანდო: ჰარდევეი (17 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა)

**ტორონტო 81:103 ატლანტა**

ტორონტო: კარტერი (16)

ატლანტა: კროუფორდი (18)

**ჩიკაგო 83:77 ვაშინგტონი**

ჩიკაგო: კუკოჩი (25 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა)

ვაშინგტონი: სტრიკლენდი (16 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა)

„ჩიკაგო ბულზი" დაშლის შემდეგ უსაშველოდ დაბეჩავებულა და აღმოსავლეთში უკანასკნელ გუნდად ქცეულა, მაგრამ პერიოდულად ახერხებს მეტოქეთა გამწარებას. ვაშინგტონის ძლევა მისთვის მეთორმეტე გამარჯვება იყო და ამაში ჯერ კიდევ შარშან ჩემპიონ ჩიკაგოს სათადარიგომ, ახლა კი გუნდის ლიდერმა ტონი კუკოჩმა ლომის წილი დაიდო, მაგრამ მხარის მცირე ტრავმა მიიღო და ერთი თამაშის გამოტოვება მოუწევს.

**ირაკლი ფირაშვილი**

**დენვერი — პორტლენდი გადაიდო**

REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან




იუტა — სან ანტონიო. ტიმ დანკანმა (№21) იუტელი გრეგ ოსტერტაგი შეაჩერა

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | მ | წ | % |
| მაიამი | 27 | 13 | 67,5 |
| ორლანდო | 29 | 14 | 67,4 |
| ფილადელფია | 22 | 19 | 53,7 |
| ნიუ იორკი | 21 | 21 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 16 | 25 | 39,0 |
| ბოსტონი | 16 | 25 | 39,0 |
| ნიუ ჯერსი | 12 | 29 | 29,3 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 27 | 15 | 64,3 |
| ატლანტა | 25 | 17 | 59,5 |
| დეტროიტი | 23 | 18 | 56,1 |
| მილუოკი | 23 | 18 | 56,1 |
| კლივლენდი | 21 | 20 | 51,2 |
| შარლოტი | 20 | 20 | 50,0 |
| ტორონტო | 20 | 21 | 48,8 |
| ჩიკაგო | 12 | 30 | 28,6 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა* | 32 | 9 | 78,0 |
| სან ანტონიო* | 29 | 12 | 70,7 |
| ჰიუსტონი | 27 | 14 | 65,9 |
| მინესოტა | 22 | 20 | 52,4 |
| დალასი | 14 | 27 | 34,1 |
| დენვერი | 13 | 29 | 31,0 |
| ვანკუვერი | 7 | 35 | 16,7 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი* | 30 | 10 | 75,0 |
| ლეიკერსი | 27 | 16 | 62,8 |
| ფინიქსი | 21 | 21 | 50,0 |
| სიეტლი | 19 | 22 | 46,3 |
| საკრამენტო | 19 | 22 | 46,3 |
| გოლდენ სტეიტი | 18 | 23 | 43,9 |
| კლიპერსი | 7 | 34 | 17,1 |

* — გავიდნენ პლეი ოფში

## კვირის მოთამაშე



**ჯეისონ კიდი (ფინიქსი)**

*დაიბადა:* 23.03.1973 სან ფრანცისკოში, კალიფორნია
*უნივერსიტეტი:* კალიფორნია'94
*ამპლუა:* გამთამაშებელი
*სიმაღლე:* 193 სმ
*წონა:* 96 კგ
*სეზონი ლიგაში:* 5

„ფინიქს სანზმა" გასულ კვირაში 3 მატჩი მოიგო და ერთი წააგო, ჯეისონ კიდმა კი მატჩი საშუალოდ 22,8 ქულა, 10,5 პასი, 5,0 მოხსნა და 2,75 ჩაჭრა გააკეთა. თამაშიდან ნასროლი ბურთების 47,8 პროცენტი ჩააგდო (69-დან 33), ხოლო საჯარიმოს ხაზიდან ყველა, 18 ბურთი გაუყენა კალათის გზას.

კიდმა კვირის პირველ მატჩში 22 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი და 4 ჩაჭრა გაუკეთა სან ანტონიოს (77:94). მერე სიეტლს (101:94) 30 ქულა ჩაუგდო (სეზონის რეკორდი) და ამას 10 პასი და 6 მოხსნა დაურთო. თავის ყოფილ გუნდ დალასთან (92:85) 24 ქულა და 12 პასი მიითვალა. ბოლოს კი, იგივე სიეტლი (99:85) 15 ქულით, 11 პასით, 4 მოხსნით და 3 ჩაჭრით დააზარალა.

კიდმა ამ სეზონში ხუთი სამმაგი დუბლი გააკეთა, ეს კი ლიგის საუკეთესო შედეგია.




მაკა ჩახნაშვილი



ნინო ესებუა

# თავაწეულნი ტაშკენტში...

ჩოგბურთს, ისევე, როგორც ალბათ, სპორტის უმეტეს სახეობებს ჩვენ ქვეყანაში, ამჟამად არ ულხინს. იმისთვის, რომ ალექსანდრე მეტრეველსა და ლეილა მესხს ღირსეული მემკვიდრეები გამოუჩნდნენ, გარკვეული მატერიალური დახმარებაა საჭირო, თუნდაც იმისთვის, რომ ჩვენმა ახალმა თაობამ საზღვარგარეთულ ტურნირებში ასპარეზის და უცხოელ თანატოლებთან პაექრობაში გამოცდილება შეიძინოს, კლასი აიმაღლოს. წესიერ ქვეყნებში ნიჭიერ, დამწყებ ჩოგბურთელებს მსგავსი პრობლემები არ აწუხებთ: იქ სპონსორები დიდი სიამოვნებით აბანდებენ მათში კაპიტალს, რომ ჯერ პატარებს დაეხმარნონ, მერე კი თავად იხეირონ.

6-10 აპრილს ტაშკენტში ITF-ის ეგიდით გამართულ 18 წლამდე ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე, ქართველთა ექვსკაციანი დელეგაცია — 5 ჩოგბურთელისა და მწვრთნელ დავით ისლამოვის შემადგენლობით დიდი ჯახირით და ნათხოვნ-ნასესხები თანხებით გაემგზავრა, თუმცა შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

უზბეკეთში ამჟამად საჩოგბურთო ბუმია: სპორტის ფანატიკურად მოყვარულ პრეზიდენტ ქარიმოვს, თითოეულ ქალაქში კორტების აშენება ლამის უპირველეს ამოცანად დაუსახავს, ტაშკენტში ნახევარმილიონიან „პრეზიდენტის თასზე“ კაფელნიკოვს, ჰენმანს და მისთანებს მასპინძლობს და იუნიორებისთვისაც არაერთ ტურნირს აწყობს.

ჰარდზე გამართულ პირველობაზე ქართველების გარდა ყოფილი საბჭოეთის რესპუბლიკებისა და აზიის ქვეყნებიდან იყვნენ მოასპარეზეები. ჩვენებს კენჭისყრაში აშკარად არ გაუმართლათ — მაკა ჩახნაშვილი პირველივე წრეში მეორედ განთესილ უზბეკ ლუიზა ბიკტიაკოვას გადაეყარა, 14 წლის ნინო ესებუა კი მეორე წრეში პირველად განთესილ ყირგიზ აიბიკა კალსარიევას. თუმცა ნაქებ შუააზიელებს, ისევე, როგორც ყველა მომდევნო მეტოქეს, შავი დღე დაადგათ და ტაშკენტელებმაც სრულიად ქართული ფინალი იხილეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფინალისკენ მიმავალ გზაზე ჩახნაშვილმა მეტოქეები სასტიკად დაჩაგრა — სეტში სამ გეიმზე მეტი მას არც ერთ მატჩში არ წაუგია. ამის გათვალისწინებით, გადამწყვეტი შეხვედრის პირველი ხელი, რომელიც მაკამ 6:4 მოიგო, დაძაბულად უნდა ჩაითვალოს, თუმცა უფრო ხანგრძლივი მატჩებით გადაღლილ ესებუას მერე დიდი წინააღმდეგობა აღარ გაუწევია — საბოლოოდ 6:4, 6:1.

ახლა კი სხვა შედეგებზეც: მაკამ მისივე დამარცხებულ ბიკტიაკოვასთან ერთად წყვილებშიც იმარჯვა, ესებუა — თამრიკო ზედგინიძის დუეტმა კი ნახევარფინალს უწია. თავი არც ბიჭებს შეურცხვენიათ: ირაკლი უშანგიშვილმა ერთეულებში მეოთხედფინალს მიაღწია, ლადო ჩიხლაძესთან ერთად კი წყვილებში ჩემპიონიც გახდა.

# ...თავჩახრილნი ესპანეთში

ამ დღეებში ესპანეთის ქალაქ მურსიაში ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის, ფედერაციის თასის ევროაფრიკული ზონის I ჯგუფის შესარჩევი ტურნირი მიმდინარეობს, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც ასპარეზობს, თუმცა ჯერჯერობით წარუმატებლად.

წესით, ჩვენს გუნდში სამი ჩოგბურთელი უნდა იყოს, მაგრამ გერმანიაში მცხოვრები თამრიკო კიკალეიშვილისგან ბოლო მომენტში ფედერაციამ უარი მიიღო. მიზეზი, თუ ჩვენებურის მწვრთნელის მიერ გამოგზავნილ ფაქსს ვენდობით, ტრავმაა. თუმცა მთავარი ის არის, რომ ამ ფაქტმა ნაკრები ძალიან ცუდ დღეში ჩააგდო: რაკიღა ცნობა გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე მოვიდა, ნინო ესებუასთვის დროულად ვიზის გაფორმება არ მოხერხდა და ჩვენები ლამის მოხსნეს კიდეც გათამაშებიდან. საქმეს მხოლოდ იმან უშველა, რომ გუნდის თავკაცი ლალი ზერეკიძე მოთამაშე კაპიტნად გაფორმდა.

მურსიაში სულ 16 ნაკრები ასპარეზობს, რომლებიც კენჭისყრით 4 ჯგუფად განაწილდა. უნდა ითქვას, რომ მაინცდამაინც არც აქ გაგვიმართლა — D ჯგუფში ჩვენთან მოხვედრილ პოლონეთს, ლუქსემბურგსა და სლოვენიელებს თითო დიაცი მაინც მოეპოვებათ ისეთი, ამჟამად საუკეთესოთა ასეულში რომ არის. ეს მაშინ, როცა ჩვენი საუკეთესო ჩოგბურთელი ნინო ლუარსაბიშვილი კლასიფიკაციით 339-ეა, მაკა ჩახნაშვილს კი პროფესიულ სარბიელზე ჯერჯერობით ქულები არ დაუგროვებია.

პირველი მატჩი საქართველოს ნაკრებმა სლოვენიასთან გამართა და დამარცხდა კიდეც — 1:2. ერთეულებში ნინომ კატარჟინა სრებოტნიკთან (კლას. 87-ე) წააგო 0:6, 2:6, მაკამ კი ტინა კრიზანთან (141-ე) 5:7, 0:6. ნუგეშად ისღა დაგვრჩა, რომ წყვილების მატჩი მაინც მოვიგეთ 3:6, 6:2, 6:3.

სამწუხაროდ, პოლონეთის არანაკლებ ძლიერ გუნდთან ქართველებმა უკვე მშრალად — 0:3 დათმეს შეხვედრა და ახლა იმისთვის, რომ გაისად კიდევ ერთი ლიგით არ დავქვეითდეთ, ლუქსემბურგი უნდა დავამარცხოთ. ამ პატარა ქვეყნის წარმომადგენელი ენ კრემერი ჯგუფში მოთამაშეთაგან ყველაზე მაღალი, 38-ე საკლასიფიკაციო ადგილის პატრონია, მაგრამ ლუქსემბურგელებს მეორე ხეირიანი ჩოგბურთელი არ მოეძევებათ და ჩვენი იმედიც სწორედ ამ ინკოგნიტოს დამარცხება და მერე წყვილებში გამარჯვებაა.

# სამძიმარი ბორისს

**მონაკო. მონტე კარლოს ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 2,45 მილიონი $**

არა, ბორის ბეკერს თიხნარზე ტურნირის მოგება, ეტყობა, არ უწერია.

უიმბლდონის სამგზის ჩემპიონის, ექვსი დიდი სლემის ტურნირის გამარჯვებულისა და მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის კარიერაში ერთადერთი თეთრი ლაქა ისევ რჩება — მოგებული 49 ტიტულიდან წითელმიწანელ საფარზე ერთიც არ მოდის.

არადა, ბეკერმა თიხნარზე თამაში არ იცისო, ვერვინ იტყვის. თუნდაც საფრანგეთის ღია პირველობა რომ ავიღოთ, დიდ გერმანელს აქ სამჯერ უასპარეზია ნახევარფინალში (შედარებისთვის: პიტ სამპრასს იგივე ერთხელ მოუხერხებია, თიხნარის ისეთ ოსტატებს კი, როგორიც მარსელო რიოსი და ალბერტ კოსტა არიან, ვერც ერთხელ)

მეტად პრესტიჟულ ტურნირზე მონტე კარლოში, სადაც ბორისი ერთხანს ცხოვრობდა კიდეც, მას შესანიშნავი შედეგები აქვს — სამი ფინალი, მაგრამ, რა თქმა უნდა, სამივე წაგებული. ერთ-ერთ მათგანში მაშინ ამ საფარზე დაუმარცხებელ ტომას მუსტერთან ბეკერს მატჩ-პოინტიც კი ჰქონდა, მაგრამ მეორე მოწოდებით ეისის ჩაგდება მოიწადინა, ააცილა და მეხუთე სეტი მშრალზე წააგო. იმ მარცხმა ბორისს ისე დასწყვიტა გული, მეტოქეს დოპინგის მიღებაში დასდო ბრალი, სხვაგვარად ასე გამგელებული ვერ იგებდაო, თუმცა მოგვიანებით საჯაროდაც მოუხადა ბოდიში.

წლეულს ნახევრად პენსიაზე მყოფი ბეკერი სარეკორდოდ, მეცამეტედ ეწვია ერთ-ერთ უსაყვარლეს, თუმცა ამავდროულად ასე საძულველ ტურნირს და პირველი წრის შეხვედრაში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ



REUTERS მონტე კარლოდან

ბორის ბეკერი

ახლაც ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს. გერმანელის მეტოქე პირველობის შარშანდელი ფინალისტი, მეთექვსმეტედ განთესილი ფრანგი სედრიკ პიოლინი გახლდათ, რომლისთვისაც აქამდე მას რვავე პირად შეხვედრაში ეჯობნა.

ძველებურზე შესამჩნევად ნელა მოძრავმა ბორისმა მაყურებლებს ისევ თვალსასეირო შემტევი ჩოგბურთი უჩვენა: ტყვიასავით მოწოდებები, ბადესთან სიზუსტე და ათლეტიზმი. ერთი ეგ იყო, გადამწყვეტ მომენტებში ჩვეული კარგი თამაში არ გამოსდიოდა — მატჩში 15 ბრეიკ-პოინტი გააცუდა და აშკარად მოსაგები მეორე სეტიც დათმო.

გადამწყვეტ პარტიაში პიოლინი 3:0 დაწინაურდა, თუმცა ბეკერის ჩამოწერა ჯერ ნაადრევი იყო: „თიხნარზე შანსი ყოველთვის გაქვს. რომ მაჯობო, კარგად უნდა ითამაშო, მე არასოდეს ვნებდები. 3:0-ზე სედრიკს ეგონა, მოვიგეო, მაგრამ მე ახლაც პროფესიონალი ვარ და უგულოდ თამაშიც არასოდეს მჩვეოდა“.

ბორისმა ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მერე თითქმის ოც წუთად გაწელილ მეცხრე გეიმში მეტოქეს მოწოდება აართვა, საბოლოოდ 6:4, 5:7, 6:4 იმარჯვა და ხუმრობით დაიქადნა კიდეც: „მე, ალბათ, საუკეთესო ჩოგბურთელი ვარ, რომელსაც თიხნარზე ტურნირი არასოდეს მოუგია, თუმცა ეს მხოლოდ ჯერჯერობით“.

პრესკონფერენციაზე ბეკერმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სპორტიდან წასვლაზე ნამდვილად ფიქრობს, თუმცა შეიძლება წინასწარ დათქმული თარიღი ივლისიდან მოგვიანებით გადაიტანოს: „ჩემი მეუღლე ზაფხულში მეორე ბავშვს ელის, ცხოვრებაში ჩოგბურთზე მნიშვნელოვანი საქმეებიც გამოჩნდა, მაგრამ მე მაინც ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია“.

სამწუხაროდ, მონტე კარლოში გამარჯვება ბორისმა ვერც ამჯერად მოახერხა, თუმცა მიზეზი ფინალში წაგებაზე გაცილებით ტრაგიკული გამოდგა: სამშაბათს ბორისს მამა, კარლ-ჰაინცი გარდაეცვალა და მანაც სასწრაფოდ გერმანიას მიაშურა: „უსაშველოდ დამწუხრებული ვარ, ძალიან მიყვარდა მამაჩემი. ბევრ რამეს, რასაც ცხოვრებაში მივაღწიე, სწორედ მას ვუმადლი. ამ მძიმე სიტუაციაში მე ჩემი ოჯახის გვერდით უნდა ვიყო. ახლა დედას ძალიან ვჭირდები“.

უფროს ბეკერს უკვე კარგა ხანია კიბო სტანჯავდა და 31 წლის ბორისიც ბოლო თვეების მანძილზე თითქმის გამუდმებით მამის გვერდით იმყოფებოდა. თავის დროზე სწორედ პროფესიით არქიტექტორმა კარლ-ჰაინცმა ააგო საჩოგბურთო ცენტრი, რომელზეც მისმა ვაჟიშვილმა თამაში ისწავლა, მერე კი პატარა ბორისს ხშირად დაჰყვებოდა ტურნირიდან ტურნირზე.

სამშაბათს მონტე კარლო კიდევ ერთი ვარსკვლავის გარეშე დარჩა — მეშვიდედ განთესილმა ანდრე აგასიმ მხრის ტრავმის გამო თამაში ვერ შეძლო.

ბეკერისა და აგასის უარით მსოფლიოში, ალბათ, ერთადერთმა ჟერომ გოლმარმა იხეირა — გერმანელის არყოფნაში ფრანგი პირდაპირ მესამე წრეში გავიდა, სადაც, წესით და რიგიც, სწორედ აგასის შეხვდებოდა.

ასპარეზობას გამოეთიშა უიმბლდონის სამგზის ფინალისტი გორან ივანიშევიჩიც (10). ხორვატმა სეზონის დასაწყისში მიღებული ხელის ტრავმის მოშუშება ჯერაც ვერ მოახერხა და მასსავით ცაცია და ექსტრავაგანულ ჰიშამ არაზისთან წააგო 1:6, 4:6.

პირველი წრე: **ალბერტ კოსტა** (9, ესპანეთი) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 6:3, 6:4; **ტომას ენკვისტი** (11, შვედეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 7:5, 6:7 (4:7), 6:2; **გუსტავო კუერტენი** (12, ბრაზილია) — მარსიო კარსლონი (ბრაზილია) 6:1, 6:3; **ტომი ჰაასი** (13, გერმანია) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:4, 6:2; **ფელიქს მანტია** (14, ესპანეთი) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 6:2, 6:4; **ტომას მუსტერი** (ავსტრია) — ტომას იოჰანსონი (15, შვედეთი) 6:3, 6:4; **ვინსენტ სპედეა** (აშშ) — როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 7:6 (7:4), 6:0.

**ავთანდილ სვანიძე**



# პერეკი ბრუნდება

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ფრანგი მძლეოსანი ქალი მარი-ჟო პერეკი, რომელსაც 1998 წლის სეზონი ავადმყოფობის გამო მთლიანად გაუცდა, სპორტს უბრუნდება. მან განაცხადა, რომ აგვისტოში სევილიაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე ნებისმიერი სინჯის მედლის მოპოვებას ეცდება. ამის გაკეთებას მარი-ჟო, ალბათ, თავის საყვარელ დისტანციაზე (400 მ) შეეცდება.

„იგი თანდათან იბრუნებს თავის ჩვეულ ფორმას“ - თქვა ფრანგი ქალის ამერიკელმა მწვრთნელმა ჯონ სმიტმა. მისი აზრით, ჯერ კიდევ ბევრი ვარჯიშია საჭირო წარმატების მისაღწევად, მაგრამ პერეკს ახალი გამარჯვებების მოპოვებაში თავისი ტალანტი ძალიან დაეხმარება.

ზუსტად როდის დაუბრუნდება „ქურციკი“ სარბენ ბილიკებს, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა იმავე სმიტის თქმით, მარი-ჟო პერეკი მაისის ბოლოდან საფრანგეთში გასამართ რამდენიმე მცირე ტურნირში მონაწილეობას აპირებს.



მარი ჟო პერესი

# რაღა დროს ამისი სირბილია?!

1988 წლის სეულის ოლიმპიადაზე კანადელმა სპრინტერმა ბენ ჯონსონმა ოქრო მოიპოვა და მსოფლიოს რეკორდიც დაამყარა.

მერე ბენ ჯონსონს, ისევე, როგორც ოლიმპიადის დანარჩენ პრიზიორებს, დოპინგ-კონტროლი ჩაუტარეს და... აღმოჩნდა, რომ მას პირველობის მოპოვებაში აკრძალული პრეპარატების ყლაპვამ შეუწყო ხელი. ჯონსონს, რა თქმა უნდა, ოქროს მედალი ჩამოართვეს და ორწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

სასჯელის ვადის გასვლის შემდეგ შავკანიანი სპორტსმენი კვლავ გამოჩნდა სარბენ ბილიკებზე და მეტ-ნაკლებ წარმატებებსაც მიაღწია. თუმცა ნათქვამია, „არ გასწორდების კუდი ძაღლისაო“ და ჯონსონიც კვლავ დოპინგმა დაღუპა. 1993 წელს მონრეალის (კანადა) გრან-პრის ტურნირზე მას სისხლში ისევ აღმოუჩინეს ანაბოლიკების კვალი. IAAF-ი ამჯერად უფრო მკაცრი იყო და კანადელი სპორტსმენი მძლეოსნობიდან სამუდამოდ მოკვეთეს.

მას შემდეგ აგერ უკვე 6 წელი გავიდა, მაგრამ ბენ ჯონსონს დღესაც არ შეუწყვეტია თავისი „უდანაშაულობის“ დასამტკიცებლად გამართული ბრძოლა. იგი ოდენ სასჯელის შემსუბუქებას ითხოვდა, მაგრამ აქამდე ამისთვის ვერ მიეღწია.

20 აპრილს კი ერთ-ერთმა ტორონტოელმა მოსამართლემ ყოფილი სპრინტერის მორიგი სარჩელი განიხილა და ბრძანა, სამუდამო დისკვალიფიკაციით დასჯისას მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ პროცედურული შეცდომები დაუშვა და ამის გამო ჯონსონს უფლება აქვს, IAAF-ის წინააღმდეგ ახალი საქმე წამოიწყოს. თუ სპორტსმენი თანამემამულე მოსამართლის გადაწყვეტილებას გამოიყენებს და პრიმო ნებიოლოს საუფლოს შეუტევს, ამას, ალბათ, მხოლოდ ფულის გამო გააკეთებს, თორემ რაღა დროს მისი 100-მეტრიან დისტანციაზე სირბილია?!

**გაიოზ თალაკვაძე**

## ბატუტზე ხტომა



ბადრი კეთილაძის ფოტო

ზაზა აბრამიშვილი და რუსუდან ხოფერია

# ქალი შინ იყო, კაცი მოვიდა

რუსუდან ხოფერიას შარშან მსოფლიოს თასის პირველი ეტაპი გაუცდა, რადგან გაყინულ დარბაზში ვერ ვარჯიშობდა. ამ თასის ბოლო ორ ეტაპზე გასამგზავრებელი ფული დეპარტამენტმა ვერ გამოუძებნა და სპორტსმენსაც ეს პრესტიჟული შეჯიბრი გვერდზე დარჩა.

წლეულს ჩვენმა ტანვარჯიშის ფედერაციამ თადარიგი დროულად დაიჭირა და რაკი გერმანიის ფედერაცია ანა დოლონაძის სანაცვლოდ ოლიმპიადამდე უფასოდ ავარჯიშებს ქართველ ბატუტისტებს, გუშინ ხოფერია და ზაზა აბრამიშვილი კვლავ ფრანკფურტს გაემგზავრნენ, სადაც 12 მაისამდე ივარჯიშებენ, 13-ში კი მსოფლიოს თასის ეტაპში გამოვლენ.

თეატრალური შოუდან სპორტში ესესაა დაბრუნებული აბრამიშვილისთვის მსოფლიოს თასი პირველი ტურნირია და, ცხადია, კონკრეტულ შედეგსაც არავინ სთხოვს. ისე კი, თუ თავად ზაზას და მწვრთნელებს ვენდობით, სპორტული ფორმის აღდგენის პროცესი დამაკმაყოფილებელია.

ზამთარში ბატუტზე უვარჯიშებელი ხოფერია მხოლოდ სატრენაჟორო დარბაზში ფიზიკურ მომზადებას დასჯერდა. თებერვლის ბოლოს ფედერაციამ რის ვაი-ვაგლახით ფრანკფურტში გააგზავნა და რუსიკომაც იქ იჯერა ვარჯიშით გული. იქვე ნაკლებპრესტიჟულ ადგილობრივ ტურნირშიც იმარჯვა, მერე კი ჰოლანდიაში გადაინაცვლა და ტრადიციულ „ყვავილის თასზე" მეოთხე ადგილი დაიკავა. რომ არა ერთი ტექნიკური შეცდომა, ალბათ ჩემპიონობასაც მოიპოვებდა, რადგან მთელი შეჯიბრი ლიდერობდა და რაც ყველაზე საყურადღებოა, მაღალი სირთულის კოეფიციენტით იასპარეზა.

უკვე გითხარით, რომ ჩვენი ბატუტისტების გერმანიაში გამგზავრების მიზანი მსოფლიოს თასის ეტაპებისთვის საკადრისი მომზადებაა. სეზონში სულ ოთხი ეტაპია, რომელთაგანაც ორი ახლა იმართება, ბოლო ორიც გვიან, შემოდგომაზე.

პირველი ეტაპი 13 მაისს გაიმართება გერმანიის ქალაქ აახენში, მეორე — 15 მაისს სანკტ-პეტერბურგში, მერე კი ჩვენს ბატუტისტებს „დიდი შესვენება" ეწყებათ. 23-28 სექტემბერს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქ სან სიტიში მსოფლიოს ჩემპიონატია. სანკტ-პეტერბურგის შემდეგ ესაა მათთვის უახლოესი შეჯიბრება. არადა, მსოფლიოს ჩემპიონატში ათ საუკეთესო ქვეყანას ოლიმპიური ლიცენზია ეძლევა პრინციპით — ერთი ქვეყანა — ერთი ლიცენზია. ტურნირებისგან ასე ხანგრძლივად „დასვენება" ესოდენ მნიშვნელოვან ჩემპიონატამდე ჩვენებს არაფრად ეპიტნავებათ, ამიტომაც ცდილობენ ფედერაციაში, როგორმე ზაფხულშიც „დაასაქმონ" სპორტსმენები.

ბატუტისტთა ტურნირების პარალელურად იმართება აკრობატთა იმავე რანგის შეჯიბრებებიც (ორივე სახეობა ხომ ერთ ფედერაციაშია გაერთიანებული), მაგრამ ქართველი აკრობატების გაგზავნაზე არავის უზრუნია — ფედერაცია-დეპარტამენტს საამათო ფული არ აღმოაჩნდა. მსოფლიოს ჩემპიონატზე გაგზავნას კი ჰპირდებიან, მაგრამ გერმანია — რუსეთში ვერ გაუშვეს მსოფლიოს თასის ეტაპებზე და იმ გადაკარგულ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გაუშვებენ? ვნახოთ.

ქართველმა ოლიმპიელმა ტანმოვარჯიშე ილია გიორგაძემ რომ შარშან მოსკოვში ოპერაცია გაიკეთა, თავის დროზე გაცნობეთ. მას მეორე ოპერაციაც სჭირდებოდა ფეხში ჩადგმული რკინის ამოსაღებად, მაგრამ უსახსრობის გამო აქამდე ეს ვერ მოხერხდა. ილია ამ დღეებში მოსკოვში გაემგზავრა ხელმეორედ საოპერაციოდ, ოღონდ.. თბილისის სპორტის სამმართველოს უფროსმა ვლადიმერ კანკავამ გზის ფული კი მისცა, მაგრამ საოპერაციო ფულის მიცემაზე, ოლიმპიური კომიტეტის შუამდგომლობისა და წინასწარი თანხმობის მიუხედავად, საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ საბოლოოდ მაინც უარი უთხრა, ამ ჯერზე არ გვაქვსო. ილიაც მოსკოვში საოპერაციოდ ფედერაციის ხელმძღვანელთა პირადი ნაცნობობის იმედით, რომ იტყვიან, „პოსლეზე" გააგზავნეს.

ირაკლი თამაძე

## რაგბი

# ტონგას რა უჭირს, ურუგვაიმ იკითხოს

მორაგბეთა მსოფლიოს თასზე წამსვლელი 20 გუნდიდან 18 უკვე ცნობილია, დანარჩენი ორის ვინაობას კი მომავალ კვირას ტონგა-კორეასა და ურუგვაი — მაროკოს საპასუხო მატჩები გაარკვევს. თუმცა ახლავე შეიძლება იმის თქმა, რომ კორეელებს უაღრესად გაუჭირდებათ 32-ქულიანი დეფიციტის აღმოფხვრა. შეგახსენებთ, პირველ მატჩში, ნუკუალოფაში, ტონგელმა „ზღვის არწივებმა" 58:26 დაამარცხეს მეტოქე. აი, რაც შეეხება მაროკო-ურუგვაის წყვილს, აქ შედარებით გაურკვევლობაა. მონტევიდეოში გამართულ პირველ შეხვედრაში ურუგვაელებმა 18:3 სძლიეს აფრიკელებს. 15 ქულა კი ის სხვაობაა, რომლის დაძლევაც განმეორებით მატჩში მაროკოელთათვის სავსებით რეალურია. ასე რომ, მომავალ კვირამდე.

პაატა თოთაძე

## ველორბოლა

# ზნე კაცური და ბასკური

„არაგონის ტურის" მესამე ეტაპი (174,6 კმ) ესპანელმა ხუან კარლოს დომინგესმა („ვიტალიციო") მოიგო. თავიდან, მე-18 კმ-ზე, მისმა თანამემამულე კარლოს გოლბანომ განახორციელა იერიში. 40 კმ-ის შემდეგ იგი უკვე 11 წუთს უგებდა დანარჩენებს, მაგრამ უპირატესობის ბოლომდე შენარჩუნება ვერ შეძლო და 119-ე კმ-ზე დაეწივნენ.

„სან რაფაელის" აღმართზე კი დომინგესი გამოეყო პელოტონს რამდენიმე სხვა მრბოლთან ერთად, რომელთა შორის ესპანელი ხოსე მარია ხიმენესიც („ბანესტო") იყო. მოგების სურვილმა ხიმენესს მალევე აცდევინა ბედი, მაგრამ დომინგესი მას კვალდაკვალ მიჰყვა და გაქცევის შესაძლებლობა არ მისცა. უკანასკნელ კილომეტრზე კი თავად დომინგესი გაიჭრა წინ და გამარჯვებასთან ერთად ლიდერის ყვითელი მაისურაც მოიპოვა.

მეოთხე ეტაპი ორგანიზატორებმა ორჯერ შეამოკლეს. მიზეზი ავდარი იყო. არაგონს თავს თოვლ-ჭყაპი და ძლიერი ქარი დაატყდა, ამიტომაც მთებში შეჯიბრის ნაცვლად ველოსიპედისტები მხოლოდ ქალაქ ტერუელის გარშემო რბოლით დაკმაყოფილდნენ.

82 კმ-იანი გზის მე-20 კმ-ზე ესპანელმა ედუარდო ერნანდესმა („კელმე") და ფრანგმა ჟერომ დელბოვმა („კოფიდისი") გაუტიეს. მიუხედავად იმისა, რომ მათ წუთნახევარზე მეტი უპირატესობის მოპოვება ვერ შეძლეს, ფინიშზე მაინც პირველები იყვნენ. სპრინტში ერნანდესმა იმარჯვა. მესამე ადგილზე 9-წამიანი ჩამორჩენით გერმანელი მარსელ ვუტცი („ფესტინა") გავიდა. საერთო ჩათვლაში ლიდერობა დომინგესმა შეინარჩუნა, ხიმენესი მას მხოლოდ წამით ჩამორჩებოდა.

დაროკადან სარაგოსამდე გამართულ ბოლო ეტაპზე (143 კმ) პირველობა სპრინტში ვუტცს დარჩა. „არაგონის ტურის" გამარჯვებული კი დომინგესი გახდა. ხიმენესმა მისი გასწრება ვერ მოახერხა და 1 წამით წააგო.

საინტერესო კი აი, რა მოხდა. მე-12 კმ-ზე პელოტონს ამერიკელი კევინ ლივინგსტონი და ვენესუელელი უნაი ეჩებერია გაექცნენ. 13 კმ-ის გავლის მერე აფრიკის ცნობილი მკვლევარის მოგვარეს საბურავი გაუსკდა, ბასკური წარმოშობის ვენესუელელი კი მას დაელოდა. ნამდვილად კეთილშობილური ჟესტი იყო. თუმცა, მათდა საუბედუროდ, სხვებმა მათი დაწევა ფინიშამდე ოციოდ კილომეტრით ადრე შეძლეს. სარაგოსას ქუჩებში გამართულ სპრინტში კი, რომელშიც 105 სპორტსმენი მონაწილეობდა, ვუტცმა ერიკ ზაბელსა (გერმანია) და ჯერემი ჰანტს (ბრიტანეთი) აჯობა.

გაიოზ თალაკვაძე

# ლენი სტამბოლის მომხრეა

თურქეთის დედაქალაქმა 22 ივლისიდან 1 აგვისტომდე ევროპის საცურაო (50 მ) ჩემპიონატს უნდა უმასპინძლოს. კონტინენტის რამდენიმე წამყვანი „მცურავი" ქვეყანა და მათგან უწინარესად გერმანია სტამბოლში ჩასვლას თურქთა და ქურთთა შორის მიმდინარე გაუთავებელი კონფლიქტის გამო უარობს. მაგრამ ევროპის ცურვის ლიგა (LEN) ბობოლათა ჭირვეულობას თურმე არად დაგიდევთ და შეჯიბრებისთვის არც ადგილის შეცვლას აპირებს და არც დროისას.

„LEN-ი პოლიტიკურად და რელიგიურად ნეიტრალური ორგანიზაციაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონატი სტამბოლში უსათუოდ გაიმართება" — განუცხადებია ლიგის ერთ-ერთ ოფიციალურ წარმომადგენელს.

ლევან ძელაურაძე

## სროლა

# სეული ნინოს ქალაქია

გუშინ სეულში მსოფლიოს უძლიერესმა ტყვიით მსროლელებმა მსოფლიოს თასის გათამაშება დაიწყეს. შეგახსენებთ, რომ ამ ასპარეზობის გამარჯვებულები იასპარეზებენ სუპერფინალში, რომელიც აგვისტოში მიუნხენში გაიმართება. მიუნხენშივე 17-24 მაისს ჩატარდება მსოფლიოს თასის მეორე გათამაშება, ხოლო მესამე — მილანში 24-31 მაისს. ნინო სალუქვაძე სამივეში გეგმავს გამოსვლას, აი, მსოფლიოს თასის ბოლო, მეოთხე გათამაშებას კი — ივლისში, ატლანტაში — თავი აარიდა.

სეული სალუქვაძისთვის ფეხბედნიერი ქალაქია. 1988 წელს სწორედ აქ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი. იმედია, ნინო 11 წლის შემდეგაც გამარჯვებული დატოვებს ამ ქალაქს, რითაც სერიოზულ განაცხადს გააკეთებს მსოფლიოს თასის დასაუფლებლად.

მსოფლიოს თასის გათამაშებაში უნდა ესპარეზა მესტენდურ თამაზ იმნაიშვილსაც, მაგრამ კვიპროსს ვერ წავიდა — არავინ დააფინანსა.

ასევე ვერავინ დააფინანსა მშვილდოსნები, რომლებიც იმავე კვიპროსში დიდი პრიზის გათამაშებაში უნდა გამოსულიყვნენ. ფედერაციამ მათ ადრევე განუცხადა, სახსრები არა გვაქვსო. ბოლო ხანებამდე აჭარის სპორტკომიტეტი რჩებოდა, რომელიც თავის მშვილდოსნებს (რომლებშიც საქართველოს ნაკრების წევრებიც არიან) პირდებოდა იქ გაგზავნას, მაგრამ საბოლოოდ საჭირო თანხა ვერც მათ გამონახეს. აქ ერთი მომენტიცაა — სპორტკომიტეტმა მათ საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებული ნორმატივი — 1280 ქულა დაუწესა. ახლახან დამთავრებულ აჭარის ღია პირველობაზე (რომელშიც ქართველების გარდა სომხები და აზერბაიჯანელებიც მონაწილეობდნენ) მასთან მიახლოება მხოლოდ ხათუნა ფუტკარაძემ მოახერხა (1272 ქულა).

როგორც აჭარის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ, თენგიზ ბოლქვაძემ გვაცნობა, კვიპროსში ვერ გაუშვეს, მაგრამ მშვილდოსნებს ახალი სპორტული იარაღი შეუძინეს, რომლითაც ისინი გამალებით ემზადებიან იმ საერთაშორისო ტურნირისთვის, რომელიც 7-9 მაისს ბათუმში გაიმართება, ხოლო შემდეგ ანთალიის დიდ საერთაშორისო ტურნირზე დაიწყებენ ფიქრს.

ეს ყოველივე უყურადღებოდ მიტოვებული საქართველოს ნაკრებისთვისაც კარგია, რადგან მის რიგებში ბევრი ბათუმელია.

ირაკლი თამაძე

## ჭადრაკი

# ჯენტლმენი პეტრე



ადამსმა რეიტინგი აიმაღლა

დოს-ჰერმანასის XIX კატეგორიის და, შესაბამისად, ერთობ თვალსაჩინო ტურნირს მე-7 ტურის შემდეგ დავშორდით, ახლა კი საბოლოო შედეგებზეც მოგახსენებთ. ფინიშამდე ორი ტურით ადრე მდგომარეობა ფეთქებადი იყო. ლიდერობდა ადამსი, თუმცა ერთობ მყიფედ. მისი დაწევის შანსი ხუთიოდე მოჭადრაკეს მაინც ჰქონდა და ამათაც ბოლო ტურებში თითქოს მეტი ფხა უნდა გამოეჩინათ, მაგრამ... მე-8 და მე-9 ტურებში ნათამაშევი 10 პარტიიდან 8 ყაიმით დასრულდა, ასე რომ, ცხრილის ზედა შრეებშიც პრაქტიკულად არაფერი შეცვლილა. ადამსმა შეინარჩუნა ლიდერობა და საბოლოო გამარჯვებითაც გაიხარა, რაც ივლისის მომავალ რეიტინგ-ლისტებში ინგლისელს უეჭველად და გვარიანადაც აღამაღლებს. მეორე ადგილზე ჩვენგან „ყაიმების მეფედ" მონათლული კრამნიკი გავიდა 2 მოგებითა და 7 ყაიმით, ხოლო მომდევნო ორი ადგილი ტოპალოვმა და ილესკასმა გაიყვეს, რაც ბულგარელისგან თუ არ უნდა გაგვიკვირდეს, ესპანელისთვის დიდი წარმატებაა და, ადამსის არ იყოს, მის რეიტინგსაც ალბათ ერთობ წაადგება. კარპოვმა ერთხელაც გამოამჟღავნა მე-6 ადგილისადმი ერთგულება და განამყარა გავრცელებული აზრი, რომ მისი დრო წავიდა.

ლიდერთა ინერტულობის ფონზე საინტერესოდ განვითარდა მოვლენები აუტსაიდერთა შეხვედრებში. არიქა, ქალბატონი ბოლო ადგილზე გვრჩებაო და, ანანდი და სვიდლერი მაქსიმალურად დაფაცურდნენ. ბოლო ტურში ერთადერთი შედეგიანი სვიდლერ-პოლგარის პარტია გამოდგა, რომელიც იუდითმა მოიგო და ნებსით თუ უნებლიეთ მეტოქის ჯენტლმენურ სულისკვეთებას ხაზი გაუსვა. ამასობაში ანანდი გელფანდთან ყაიმს დასჯერდა და პოლგართან და სვიდლერთან ერთად აუტსაიდერის ხვედრი გაიზიარა. ერთი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება ალბათ ახლავე შეიძლება: ვიშიმ კასპაროვს უნდა მიბაძოს და ზოგჯერ დასვენებაზეც იფიქროს, თორემ ქვემორეს მსგავსი სატურნირო ცხრილები ავტორიტეტის შელახვის მეტს არაფერს მოსწევს:

1 ადამსი — 6; 2 კრამნიკი — 5,5; 3-4 ტოპალოვი, ილესკასი — 5; 5-6 გელფანდი, კარპოვი — 4,5; 7 კორჩნოი — 4; 8-10 ანანდი, პოლგარი, სვიდლერი — 3,5

დავით გულუა

## ხელბურთი

# ბარსა და ესპანური პროცესი

ესპანეთის „ბარსელონა" რომ ხელბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონთა თასს მოიპოვებდა, ამაში საეჭვო არაფერი იყო. პირველ მატჩში ზაგრებულ „ბადელ 1862"-თან კატალონიელებმა 22:22 ითამაშეს და საპასუხო შეხვედრისთვის შინ ჩინებულ ხასიათზე დაბრუნდნენ. 17 აპრილს, ბარსელონაში, მასპინძლებმა ხორვატებს შანსი არ დაუტოვეს, პირველი ტაიმი 7 ბურთის სხვაობით 14:7 მოიგეს, მერე კი მთლად გაილაღეს და მეტოქე 29:18 დაამარცხეს. რვა გატანილი ბურთით, ესპანელთაგან საუკეთესო გუიხოსა იყო, რომელმაც ხორვატულ შეხვედრაშიც არ დაინდო „ბადელ 1862" და ხუთი გოლი მიითვალა. ერთი სიტყვით, კონტინენტის უძლიერესმა სახელბურთო კლუბმა „ბარსელონამ" კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი ძალა და ზედიზედ მეხუთედ დაეუფლა ევროპის ჩემპიონთა თასს.

თასების თასს ესპანური კლუბები, „კახა კანტაბრია" და „პროცესა ადემარეა" ეცილებოდნენ ერთმანეთს. პირველ მატჩში მეტოქეებმა ტოლი არაფერში დაუდეს ერთურთს, თუმცა საბოლოოდ მასპინძლებმა, „კახა კანტაბრიას" ხელბურთელებმა ერთი ბურთით 20:19 იმარჯვეს. საპასუხო შეხვედრაში კი ყველაფერი პირიქით მოხდა. „პროცესა ადემარამ" კარგად გამოიყენა შინაური კედლების უპირატესობა, შეხვედრა დიდი ანგარიშით 32:23 მოიგო და თასების თასის მფლობელიც შეიქნა.

ასე გასრულდა ხელბურთელთა ევროპული თასების გათამაშებანი, რომლებშიც ესპანურმა კლუბებმა ყველას ზემოდან დაჰხედეს.

კახა ხურციძე

# თავგადასავლების კორიანტელი ცაში

ამ საუკუნის, და საერთოდ კაცობრიობის მიღწევებს თუ შეაჯამებენ, იმ ჩამონათვალში შერეკილთა მიღწევებსაც ბლომად მოიხსენიებენ. მათ შორის ალბათ მოხვდება 42 წლის შვეიცარიელი ბერტრან პიკარისა და 51 წლის ბრიტანელ სამხედრო მფრინავ ბრაიან ჯოუნზის სახელებიც. რატომაც არა, ისინი ხომ პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი ძეხორციელნი არიან, რომლებმაც საჰაერო ბურთით გარსაქვეყნო მოგზაურობა წარმატებით გაასრულეს, თანაც ძირსდაუშვებლად. მათი მოგზაურობა, როგორც ვიუწყებოდით ამას წინათ 20 დღე-ღამეს გაგრძელდა და 21 მარტს დასრულდა. ისიც გაუწყეთ, რომ ჟენევაში ჩასულებს ტრიუმფატორთა[illegible]დარი შეხვედრა მოუწყვეს. ასევე შეეგე[illegible]ენ მათ ვაშინგტონში. იქ მათ „ბუდვაიზერმა“ ვეება გლობუსგამოძერწილი თასი გადასცა. გადასცეს მილიონიანი ჩეკიც და ალბათ კიდევ ბევრ ამდაგვარებს მიიღებენ.

მაგრამ იყო დრო, ამგვარი საქმისთვის პიკარსა და ჯოუნზს ანათემას გადასცემდნენ. რა თქმა უნდა, ინკვიზიციის დროებაზე მოგახსენებთ. მაშინ ინკვიზიტორნი ისე აფრენდნენ, რომ სხვებს გაფრენისთვის კი არა, ასეთ რამაზე ფიქრისთვისაც კი კოცონზე წვავდნენ. ამას ვილა ჩივის, კაცს, უბრალოდ, მსუბუქი წონის გამო, ავსულებთან კავშირში ადანაშაულებდნენ და კოცონისკენ მიათრევდნენ. მათ შორის არ ყოფილან გასულ საუკუნეში მცხოვრები დანიელ დაგლას ჰიუმის მსგავსი მედიუმები, რომლებიც ამ შოტლანდიელივით სულ ცოტა ასჯერ „აორთქლებულან“ და ზოგჯერ ფეხებზე ჩამოკიდებული მოწმეც ცაში აუყვანიათ.

უბრალოდ, ანათემას მიცემულნი მსუბუქნი იყვნენ.

დიახ, დადიოდნენ დასავლეთ ევროპაში, ხალხს სპეცილური სასწორით წონიდნენ და, ვინც მსუბუქი აღმოჩნდებოდა, „მიახარებდნენ“, შენ, ძმაო, ცაში რაღაც ავსულები რომ არ გექაჩებოდნენ, ასეთი მსუბუქი არ იქნებოდიო.

ასე და ამგვარად წმინდა ინკვიზიციის დრო-ჟამიანობისას, მკვლევართა ანგარიშს თუ ვენდობით, „ფრენის“ თვისებებიანი 100 000 კაცი ტანჯვით გამოუსალმებიათ სიცოცხლეს.

მაგრამ ადამიანი ჩიტივით ფრენაზე მაინც ჯიუტად ოცნებობდა. გამომგონებლები ცდილობდნენ საფრენი აპარატების შექმნას. ჩვენამდე მოაღწია გენიალური ლეონარდო და ვინჩის საფრენი აპარატის ჩანახატმაც, მაგრამ გადიოდა წლები, საუკუნეები, ოცნება კი ოცნებად რჩებოდა.

და აი, დადგა ნანატრი დღეც — 1783 წლის 21 ნოემბერი.

იმ დღეს ფრანგები — მარკიზი ჰილატრ დე როზია და დარლანდი ძმები მონგოლფიეების საჰაერო ბურთით აიჭრნენ ცარში

ამ ისტორიულმა მოვლენამ მთელი ევროპა აღაფრთოვანა და აალაპარაკა. კალმოსნები ამასთან დაკავშირებით სულ უმნიშვნელო ამბებსაც კი დაწვრილებით აღწერდნენ. მხატვრებმა ამ ღირსსახსოვარ მოვლენას ტილოები მიუძღვნეს. საერთო აღფრთოვანებას დიდი გოეთეც შეუერთდა. მერე და მერე პირველ გაფრენას მეორეც მოჰყვა, მეორეს — მესამეც...

ზოგჯერ ფრენა ტრაგიკულადაც მთავრდებოდა, ზოგი ვარდებოდა, ზოგი იყინებოდა, ზოგი მთას ეჯახებოდა, ზოგი უგზოუკვლოდ იკარგებოდა, მაგრამ, ადამიანს რა შეაჩერებდა? იგი ცდილობდა, რაც შეიძლება მაღლა აფრენილიყო, რაც შეიძლება შორს გაფრენილიყო და რაც შეიძლება სწრაფად ეფრინა.

ამიტომ ადამიანის მოუსვენარმა გონებამ საჰაერო ბურთის მერე გამოიგონა პლანერი, მონოპლანი, თვითმფრინავი, კოსმოსური ხომალდი, მაგრამ ცაში ჯერ ძრავიანი საფრენი აპარატი არ აჭრილიყო, როცა შვედი ინჟინერი სოლომონ ანდრე დაბეჯითებით ირწმუნებოდა: „ჩვენ ვიფრენთ, როგორც არწივები, და ვერაფერი დაგვიმსხვრევს ფრთებს“.

ანდრეს ფრთები არ ჰქონდა, ჰქონდა მხოლოდ საჰაერო ბურთი, რომლითაც 4 387 მეტრ სიმაღლეზე აიჭრა, სხვა დროს კი 400 კილომეტრი იმ დროისთვის წარმოუდგენლად სწრაფად საათში — 107 კილომეტრი სიჩქარით დაფარა. ბოლოს კი 1897 წლის 11 ივლისს თავის მეგობრებთან ნილს სტრინდბერგთან და კნუტ ფრენკლენთან ერთად ჩრდილოეთ პოლუსისკენ გაფრინდა.

ასე გადაიშალა ჩრდილოეთის ოკეანის თავზე ფრენის ისტორიის პირველი ფურცელი, რომელიც ტრაგიკულად დასრულდა. სოლომონ ანდრეს ეკიპაჟის გვამებს 33 წლის მერე მიაგნეს შპიცბერგენიდან დაახლოებით 300, ხოლო ფრანც -იოსების მიწიდან 350 კილომეტრის მოშორებით.



ბერტრან პიკარმა და ბრაიან ჯოუნზმა გარსაქვეყნო მოგზაურობა აქედან, შვეიცარიის ალპებიდან დაიწყეს

სარბიელის არქივიდან

# მილიონერები აფრენენ, თუ აფრენენ

მათი გაფრენიდან ხუთი წლის მერე, მანამ ძმები რაიტები პლანერზე პირველები დაამონტაჟებდნენ ძრავას და მისი დახმარებით პირველებივე აიჭრებოდნენ ცაში,. საჰაერო ბურთით წარმოუდგენელ სიმაღლეს მიაღწიეს. 1901 წელს გერმანელი მეცნიერი და სპორტსმენი მიუნინგი და ბერსონი 10 800 მეტრ სიმაღლეზე აიჭრნენ. 1927 წელს ეს რეკორდი გააუმჯობესა ინგლისელმა კაპიტანმა ჰოთვორ გრეიმ — მისი ღია გონდოლა 12 000 მეტრ სიმაღლეზე ავიდა.

სამწუხაროდ, ადამიანის ორგანიზმმა ასეთ დატვირთვას ვერ გაუძლო — გრეი დაიღუპა.

1957 წელს ამერიკელი მაიორი დევიდ სიმპსონი საჰაერო ბურთით სტრატოსფეროში აფრინდა — 30 000 მეტრი!

„ეს შედეგი ყოველგვარ სპორტულ მიღწევას სჭარბობდა“, — წერდნენ გაზეთები.

ერთი წლის მერე, 13 დეკემბერს გაზეთ „დეილი მეილის“ თაოსნობით სათავე დაედო საჰაერო ბურთებით ატლანტიკის ოკეანეზე გადაფრენას, მაგრამ მთელი 20 წლის განმავლობაში მიზანს ვერავინ მიაღწია. პირველი, ვინც ეს შეძლო, იყო ამერიკელების ბენ აბრუცოსა, მაქს ანდერსონისა და ლერი ნიუმენის ეკიპაჟი, რომელმაც 1978 წელს კანარის კუნძულებიდან რომ აიჭრა ცაში; ატლანტის ოკეანეზე გადაფრენის მერე პარიზიდან 90 კილომეტრის დაშორებით დაეშვა.

ერთი სიტყვით, ადამიანმა საჰაერო ბურთით სტრატოსფეროც დაიპყრო. ოკეანესაც გადაუფრინა, აფრიკის ჯუნგლებსაც, ჰიმალაის ცათამბჯენებსაც, მაგრამ დედამიწას ამ გაზაფხულამდე ვერავინ შემოუფრინა.

ეს საქმე ადამიანის სიმამაცისა და ოსტატობის გარდა დიდძალ ფულსაც მოითხოვს. მაგალითად, 1995 წელს ნიდერლანდელი სამოქალაქო ავიაციის პილოტის, იმ დროს 52 წლის ჰენრიკ ბრინკის ეკიპაჟს საჰაერო ბურთით გარსაქვეყნო მოგზაურობის პროექტი აფრენამდე 5,3 მილიონი ამერიკული დოლარი დაუჯდა, მაგრამ სულ ბოლო მომენტში ბურთის გარსში რაღაც წვრილმანი ხარვეზის გამო ფრენა ერთი წლით გადაიდო, თანაც ახალი გარსის დასამზადებლად 300-400 ათასი დოლარის გაღება გახდა საჭირო. არადა, ჰენრიკ ბრინკი ამგვარი მოგზაურობისთვის 1992 წლიდან ემზადებოდა.

რაკი ალმა-დალმა ფრენის ისტორიას ვიხსენებთ, აქვე უთუოდ ისიც უნდა ვთქვათ, რომ საჰაერო ბურთით გარსაქვეყნო მოგზაურობა პირველმა სცადა ლერი ნიუმენმა, სწორედ იმ ლერი ნიუმენმა, ვინც თავის მეგობრებთან ერთად 1978 წელს პირველმა გადაუფრინა ატლანტის ოკეანეს.

1993 წლის 12 იანვარს ამ ამერიკელმა თავის საჰაერო ბურთ „დედამიწის ქარების“ გონდოლაში თავისივე თანამემამულე დონ მოზესი და საბჭოთა კოსმონავტი ვლადიმერ ჯანიბეკოვი ჩაისვა და ნევადის შტატიდან აფრინდა. სულ რაღაც ნახევარი საათის მერე ქალაქ რინოს მახლობლად „დედამიწის ქარები“ დედამიწასვე დაუბრუნდა ზღართანით. საბედნიეროდ, ეკიპაჟის წევრები არ დაშავებულან.

ამ პირველი ცდიდან უკანასკნელამდე, მანამ ბერტრან პიკარი და ბრაიან ჯოუნზი მიზანს მიაღწევდნენ, ცაში თავგადასავლების კორიანტელი დადგა. ნიუმენის ეკიპაჟის მერე 1997 წელს იქ სწორედ ბერტრან პიკარი აიჭრა ბელგიელ ვიმ ვერსტრაეტენთან ერთად.

სხვათა შორის, ამ ორმა მაშინ თავისი მარშრუტი საქართველოს ზეცაზეც გაავლო. ყოველ შემთხვევაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავკაცმა ხუან ანტონიო სამარანჩმა საქართველოს ეოკ-ს აცნობა, „ჩვენ მოხარული ვიქნებით, თუ მივიღებთ თქვენგან ან თქვენი მეთაურისაგან სპეციალურ მიმართვას, რომელიც გადაეცემათ ეკიპაჟის წევრებს, პიკარსა და ვერსტრაეტენს, საჰაერო ბურთით თქვენი ქვეყნის თავზე გადაფრენისას“.

საქართველოს ეოკ-ის პრეზიდენტმა სოკ-ში ის სპეციალური მიმართვა აფრინა, მაგრამ, სამწუხაროდ, იმ ეკიპაჟმა ვერც დედამიწას შემოუფრინა, ვერც ჩვენამდე მოაღწია და საერთოდ სტარტიდან 6 საათის მერე ფრენა შეწყვიტა. ეს მოხდა 1997 წლის 12 იანვარს, როცა ეკიპაჟის წევრებმა აღმოაჩინეს, რომ საჰაერო ბურთი საწვავის — ნავთის ორთქლით გავსებულა.

გავიდა ერთი დღე და ამერიკის ქალაქ სენტ ლუისიდან შუაღამისას „სენტ ლუისის სულით“ გარსაქვეყნო მოგზაურობა მარტოდმარტომ დაიწყო ამერიკელმა მილიონერმა სტივ ფოსეტმა. მის [illegible] ბად მოუტა სხვა აერონავტი, ინგლისელი მილიონერი (ისევ მილიონერი! აბა, ჯიბეგაფხეკილებს ვინ საფრენებს?!) რიჩარდ ბრენსონი, რომელმაც მანამდე თავისი გარსაქვეყნო მოგზაურობა 46 წლის პერ ლინდსდრეტთან და 56 წლის ალექს რიჩთან ერთად 19 საათის ფრენის მერე, როცა 640 კილომეტრი დაფარა, ალჟირის უდაბნოში იმავე მიზეზით დაასრულა, რამაც ბელგიურ-შვეიცარიულ ეკიპაჟს ხელი ააღებინა მოგზაურობაზე.

ბრენსონისაგან გზადალოცვილი სტივ ფოსეტი სხვადასხვა მიზეზის გამო იძულებული გახდა მარშრუტი შეეცვალა და მარტოდმარტომ იმდენი იფრინა აღმა-დაღმა თუ წაღმა-უკუღმა, რომ ინდოეთის თავზე საწვავი გამოელია და სტარტიდან 6 დღე-ღამისა და 16 საათის მერე, 20 იანვარს სოფელ ნოხარაში დაჯდა. მან ვერ აისრულა გულისწადილი, მაგრამ ძირსდაუშვებლად 16000 კილომეტრი იფრინა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

„90 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი საქმეები, მიუხედავად რეკორდებისა, უკან-უკან მიდის, მაგრამ ისიც მჯერა, რომ გვაქვს საკმაო რეზერვი და რესურსები, რათა პრაქტიკულად შევძლოთ ოცნების ასრულება. მე კვლავ ვცდი ძალას, მე უნდა შევძლო საჰაერო ბურთით ძირსდაუშვებლად გარსაქვეყნო მოგზაურობის დასრულება“, — თქვა რიჩარდ ბრენსონმა, როცა 1997-98 წლის სეზონი გასრულდა.

98-99 წლების სეზონში, დეკემბერი რომ დადგა (ზამთარი საჰაერო ბურთებით გარსაქვეყნო მოგზაურობისთვის საუკეთესო დროა), ცაში ერთმანეთის მიყოლებით აიჭრნენ ბედის მაძიებელნი, რომელთა რაოდენობამ არნახულად იმატა, განსაკუთრებით კი იანვრიდან.

მართალია, ამ გაფრენებზე ოპერატიულად ვიუწყებოდით, მაგრამ მაინც შეგახსენებთ:

ეტყობა, ეულმა რეკორდსმენმა სტივ ფოსეტმა იფიქრა, მარტო ვერას გავხდებიო და რიჩარდ ბრენსონსა და მისი ძველი ეკიპაჟის ერთ-ერთ წევრ პერ ლინდსტრენდს შეუამხანაგდა. ისინი ცალ-ცალკე ყველა სხვა ეკიპაჟზე ძლიერ ძალას წარმოადგენდნენ, ერთად კი — მით უმეტეს. ისინი გაერთიანებული ძალით მაროკოდან 18 დეკემბერს აფრინდნენ, გადაუფრინეს არაბეთს, ჰიმალაის, ჩინეთს, წყნარი ოკეანის უმეტესობას და როცა უკან მოიტოვეს 13 000 კილომეტრი ანუ გზის ნახევარი, კუნძულ იაჰუს სანაპიროდან 15 მილის დაშორებით ოკეანეში ჩაცვივდნენ, საიდანაც შვეულმფრენებით ამოიყვანეს.

მერე შუა იანვარში ამერიკელი მილიონერი (ისევ მილიონერი, აბა, რა?!) დევიდ ლინგერი და მისი ავსტრალიელი მეწყვილე ჯონ უოლინგტონი ამ უკანასკნელის სამშობლოში (სპრინგსში) დადგნენ სტარტზე, მაგრამ ისინი საერთოდ ვერას გახდნენ.

რამდენიმე დღის მერე, 7 თებერვალს ახლა ბრიტანელები კოლინ პრესკოტი და ენდი ედსონი ესპანეთიდან აფრინდნენ აღმოსავლეთით. გაფრინდნენ და 28 დღით ცას გამოკიდებულებმა მართალია ფრენის ხანგრძლივობის მსოფლიო რეკორდი დაამყარეს, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს — 27 მარტს იაპონიის დასავლეთ სანაპიროსთან მოვარდნილმა ქარიშხალმა ისინიც ზღვის უკიდეგანო სივრცეში ჩაყარა და შვეულმფრენთა გადასარჩენი გახადა.

მანამ ისინი ჯერ კიდევ ცაში იყვნენ, როცა მათ მომავალი ტრიუმფატორნი ბერტრან პიკარი და ბრაიან ჯოუნზი აედევნენ. 1 მარტს ისინი შვეიცარიის ალპებიდან აფრინდნენ, აღმოსავლეთით გაფრინდნენ, მთელს დედამიწას მშვიდობით შემოუფრინეს და 21 მარტს კაიროდან სამხრეთით, 800 კილომეტრის დაშორებით დედამიწას დაუბრუნდნენ.

ასე რომ, ბერტრან პიკარი და ბრაიან ჯოუნზი გახდნენ პირველნი, რომლებმაც საჰაერო ბურთით ძირსდაუშვებლად დედამიწას შემოუფრინეს, ფრენის ხანგრძლივობის რეკორდი კი კოლინ პრესკოტსა და ენდი ედსონს დარჩათ.

**ავთანდილ გურასაშვილი**

**P.S.** გუშინწინ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა ბერტრან პიკარი და ბრაიან ჯოუნზი დიდი პატივით მიიღო თავის შტაბბინაში. აქ მან აერონაოსნებს დიდი დამსახურებისთვის გადასცა სოკ-ის უმაღლესი ჯილდო — ოლიმპიური ორდენი (ვერცხლის).



სარბიელის არქივიდან

ციდან დაბრუნებული ბერტრან პიკარი და ბრაიან ჯოუნზი საჰაერო ბურთის გონდოლიდან ამ ცხენებშემბულ ეტლში დააბრძანეს და ვაშინგტონის ქუჩებში პატივით ასეირნეს

# თხუთმეტი ზედმეტია

ნჰლ-ში ყველაზე საინტერესო სანახაობა იწყება. 16 იღბლიანი გუნდი ჰოკეის უმაღლეს ჯილდოს, სტენლის თასს შეეცილება ერთმანეთს. პირველ რაუნდში დაწყვილებულ გუნდებს, რა თქმა უნდა, თავიანთი ძლიერი მხარეებიც აქვთ და სუსტიც. ამჯერად სწორედ მათ გაანალიზებას შევეცდებით, პროგნოზებისგან კი თავს შევიკავებთ და ცნობილ სპეციალისტს — მაიკ კინენს დავეყრდნობით, რომელმაც თავისი აზრი აშშ-ის ავტორიტეტულ გამოცემა The Sporting News-ს გაუზიარა.

სარბიელის არქივიდან



ფილადელფიამ და ფინიქსმა რეგულარულ ჩემპიონატში ერთმანეთს ხელი არ დააკლეს, რაზეც ეს ფოტოც მეტყველებს, პლეი ოფში შეყრის შანსი კი მხოლოდ ფინალში გაღწევის შემთხვევაში აქვთ

## აღმოსავლეთი

### ნიუ ჯერსი (1) — პიტსბურგი (8)

**1998-99 წლების სეზონი: ნიუ ჯერსიმ 4 მატჩი მოიგო, პიტსბურგმა — ერთი.**
**პლეი ოფში სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. პიტსბურგმა ორჯერ იმარჯვა, მაგრამ ბოლოს ნიუ ჯერსიმ (1995) იძალა.**

ამ დუელის მთავარი კითხვაა: შეძლებს იარომირ იაგრი, წინააღმდეგობა გაუწიოს „ეშმაკთა" მანქანას? ჟაკ ლემერის წასვლის შემდეგ ნიუ ჯერსი სულაც არ შესუსტებულა, პირიქით, ჩვეულ, გონივრულ დაცვას ახალმა თავკაცმა, რობი ფტორეკმა, ჩინებულად აგებული კონტრშეტევაც დაამატა, რომელმაც აქამდე მოსაწყენად მოთამაშე გუნდს დიდი ხიბლი შეჰმატა. ნიუ ჯერსის წამყვანი სამეულიც გამოუჩნდა — პეტერ სიკორა (29+43), ჯეისონ ერნოტი, პატრიკ ელიაში. ისიც გავიხსენოთ, რომ ნიუ ჯერსიმ ზედიზედ მესამედ მოიპოვა პირველობა აღმოსავლეთში, ხოლო სტუმრად ლამის უძლეველი გახლდათ.

პიტსბურგმა სეზონის ფინიში ძალიან სუსტად ჩაატარა, რის გამოც მეხუთე ადგილიდან მერვეზე გადაინაცვლა. გარდა ამისა, დაცვაში სამი გამოუცდელი ფარმკლუბელი ეყოლება (ძირითადის მოთამაშეები ტრავმირებულნი არიან). ასე რომ, „ეშმაკთა" უპირატესობა აშკარაა, მაგრამ თუ იაგრი ნამდვილად აპირებს ლიგის ახალი კერპი გახდეს, მას სწორედ ახლა, პლეი ოფში მართებს თავის გამოჩენა.

**პროგნოზი:** ნიუ ჯერსი სერიას 4:2 მოიგებს.

### ოტავა (2) — ბუფალო (7)

1998-99: +1=4-0
**ერთადერთ საპლეიოფო დუელში ბუფალომ იმარჯვა (1997).**

ამათი შეხვედრები უეჭველად შინაარსიანი და დაძაბული იქნება, რადგან ორივე გუნდი ეკუთვნის ლიგის ახალ თაობას, რომელიც თავს მომწიფებულად გრძნობს საიმისოდ, რათა ფეხი შედგას ელიტაში. მათი ამბიციები სწორედ პლეი ოფის ამ სერიაში გამოჩნდება. ოტავასა და მის ლიდერ ალექსეი იაშინს საუკეთესო ჟამი უდგათ და დიდი ოპტიმიზმით ელიან პლეი ოფს. არც „ხმლების" მე-7 ადგილმა უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში, რადგან კლუბის ლიდერი დომინიკ ჰაშეკი დიდხანს იყო ტრავმირებული.

ბუფალო კმაყოფილია, რომ პირველ რაუნდში ოტავა შეხვდა და არა ნიუ ჯერსი, რადგან „ხმლების" მკაცრი და აგრესიული სტილი ევროპულ ოტავასთან ჭიდილში უფრო ეფექტური იქნება. მეკარეთა ოტავურ დუეტს — დამიენ როუდს და რონ ტაგნატსაც დიდ პატივს სცემენ ბუფალოში, მაგრამ ნიუჯერსელი მარტინ ბროდოსი მაინც უფრო ეშინიათ. აღსანიშნავია, რომ მოწინააღმდეგეების ხუთივე (!) საჩემპიონატო შეხვედრაში ოვერტაიმი დაინიშნა, რაც ლიგის ისტორიაში პირველი შემთხვევაა.

**პროგნოზი:** ბუფალო 4:3 მოიგებს.

### კაროლინა (3) — ბოსტონი (6)

1998-99: +2=1-2
**პლეი ოფში ორივე შეხვედრა ბოსტონის გამარჯვებით დასრულდა (ბოლოს 1991 წელს შეხვდნენ).**

ალბათ, ყველაზე გამოუცნობი წყვილია. დიდი ხანია, მეტოქეებს წარმატებისთვის არ მიუღწევიათ პლეი ოფში. თანაც, კაროლინა (ყოფილი ჰართფორდი) 1992 წლის შემდეგ თასისთვის პირველად იბრძოლებს, ხოლო „დათვები" პირველ რაუნდს ბოლოს 1994 წელს გასცდნენ. ორივე გუნდს თითქოს ყველა პირობა აქვს პლეი ოფში წარმატების მისაღწევად — საიმედო მეკარეები და დაცვა, გამოცდილი, საკმაოდ დახვეწილი ოსტატები შეტევაში. ასე რომ, ორივე ანგარიშგასაწევი ძალაა. და მაინც, უპირატესობას ბოსტონს მივანიჭებთ, მან ჩემპიონატის ფინიშზე იყოჩაღა და ბევრისთვის სასურველი მეექვსე ადგილი დაიკავა, ქულებითაც აჯობა კაროლინას. გარდა ამისა, ბოსტონელთა სახელოვანი თავკაცი პეტ ბერნსი საპლეიოფო ბატალიებში დახელოვნებულია, ახალგაზრდა პოლ მორისისთვის კი ეს, გუნდის დარად, დებიუტი გახლავთ.

თუმც „ქარიშხლებსაც" ჰყავთ თავიანთი ყოჩები — ძალისმიერი, პატივმოყვარე ფორვარდი კეიტ პრიმო (30+32) და დიდი საპლეიოფო გამოცდილების მქონე რონ ფრენსისი (122 ქულა 130 თამაშში).

**პროგნოზი:** ბოსტონი 4:3 მოიგებს.

### ტორონტო (4) — ფილადელფია (5)

1998-99: +1=0-3
**სამივე საპლეიოფო სერიაში წარმატება ფილადელფიას ხვდა წილად (ბოლოს 1975 წელს შეხვდნენ).**

ტორონტო აღმოსავლეთის ყველაზე „დასავლური" გუნდი გახლავთ. „ნეკერჩხლის ფოთლები" აღმოსავლეთ კონფერენციაში წლეულს გადავიდნენ. ამიტომაც ისინი ჯერ კიდევ ლაღად, გახსნილად თამაშობენ, რაც დასავლეთის გუნდებისთვისაა დამახასიათებელი. ასე რომ, კანადელებს აღმოსავლეთის პრაგმატიკოსებთან თამაში ძალიან გაუძნელდებათ. გუნდი ერთობ ბევრ გოლს უშვებს. უმცირესობაში თავს ვერ იცავს და ზოგჯერ ბრწყინვალე კერტის ჯოზეფსაც კი უჭირს პარტნიორების ხსნა. თუმც არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯოზეფმა ბოლო ორ პლეი ოფში გრანდები იმსხვერპლა — დალასი და კოლორადო.

ფილადელფიას არ ეყოლება გუნდის სული და გული ერიკ ლინდროსი. ფილადელფიელთა კაპიტანი რეაბილიტაციის კურსს გადის და, როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, მისი გამოჯანმრთელება იმაზეა დამოკიდებული, როგორ გამოვა კლუბი პლეი ოფის პირველ რაუნდში. ასე რომ, „მფრინავებს" და განსაკუთრებით ლინდროსის მუდმივ პარტნიორ ჯონ ლეკლერს (43+47) ბრწყინვალე სტიმული აქვთ.

**პროგნოზი:** ფილადელფია 4:2 მოიგებს.

## დასავლეთი

### დალასი (1) — ედმონტონი (8)

1998-99: +3=1-0
**პლეი ოფში მეტოქეებს ორ-ორჯერ მოუგიათ (ბოლოს 1998 წელს შეხვდნენ ერთმანეთს).**

მიუხედავად იმისა, რომ დალასი ზედიზედ მეორე სეზონია, ყველას დიდი უპირატესობით ჯობნის ჩემპიონატში, მთავარ ფავორიტად მაინც არ ითვლება. ყოველ შემთხვევაში, ედმონტონთან სერია „ვარსკვლავებისთვის" იოლი გასეირნება არ იქნება. ყველას კარგად ახსოვს ამ მეტოქეების დუელი ბოლო ორ პლეი ოფში (3:4 და 4:1), როცა „მენავთობეებმა" გააწამეს დალასი. ისიც უნდა ითქვას, რომ ედმონტონმა ჩემპიონატის მიწურულს აღიდგინა საუკეთესო ფორმა, მის მოწინააღმდეგეს კი წამყვანი მცველი დერიან ჰეჩერი არ ეყოლება, რომელიც ფინიქსელ ჯერემი რენიკთან სასტიკი ანგარიშსწორების გამო 7-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა და სერიის პირველ ხუთ შეხვედრას გამოტოვებს. თუმცა დალასმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ ერთი-ორი წამყვანი ჰოკეისტის არყოფნა გუნდის დალაგებულ თამაშზე არანაირად არ მოქმედებს, მით უმეტეს, თავის მხრივ, „მენავთობეებსაც" აღარ ჰყავთ „ვარსკვლავთა" მთავარი გამამწარებელი კერტის ჯოზეფი. სპეციალისტთა აზრით, ედმონტონმა რომ წარმატებას მიაღწიოს, ამისთვის ორი რამაა საჭირო: მათმა მეკარე ტომი სალომ [illegible] აჯობოს და თავადაც ყველა მატჩში პირველებმა უნდა გაიტანონ.

**პროგნოზი:** დალასი 4:2 მოიგებს.

### კოლორადო (2) — სან ხოსე (7)

1998-99: +3=0-1
**პლეი ოფში პირველად ხვდებიან ერთმანეთს.**

სამი უნივერსალური სუპერფორვარდი — პეტერ ფორსბერგი, ჯო საკიკი და ტეო ფლერი ის ძალაა, რომელიც კოლორადოს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა ტაქტიკური სქემა გამოიყენოს. განსაკუთრებით ბევრს ელიან ფლერისგან (40+53). „მძლავრი თაგვი", კაცი, რომელიც გამარჯვებისთვისაა დაბადებული, ათი წლის განმავლობაში კალგარიში ისე გაწამდა, რომ აუცილებლად შეეცდება, თავი მაქსიმალურად გამოავლინოს. ამ სუპერსამეულს ჩინებული დამხმარეები ჰყავს — თუნდაც ახალგაზრდა მილან ჰეიდუკი და კრის დრური.

ასე რომ, „ეველანში" ძალიან მრისხანედ გამოიყურება და, ალბათ, გაიმარჯვებს კიდეც, თუ საკუთარ შეცდომებს (რიცხვმრავლობაში გაუმართლებლად რისკავს ხოლმე) არ შეეწირება და მეკარე პატრიკ რუას, ამ სეზონის დასაწყისის არ იყოს, ნერვული შეტევა არ დაემართება. სერიის ბოლო მატჩებისთვის შესაძლოა, ვალერი კამენსკიც გამოჯანმრთელდეს.

**პროგნოზი:** 4:2 კოლორადოს სასარგებლოდ.

### დეტროიტი (3) — ანაჰაიმი (6)

1998-99: +3=0-1
**პლეი ოფში დეტროიტმა ერთადერთი სერია მოიგო (1997).**

ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, დეტროიტმა უნდა აჯობოს მეტოქეს, მაგრამ „The Sporting News"-ის მიმომხილველები გვირჩევენ, საბოლოო შედეგზე კი არ ვიმტვრიოთ თავი, არამედ მეტად საინტერესო ტაქტიკურ ბრძოლას მივადევნოთ თვალი. გულისხმობენ ანაჰაიმის უძლიერესი სუპერდუეტის — ტეემუ სელიანესა და პოლ კარიას და დეტროიტის მცველთა წამყვანი წყვილის, ნიკლას ლიდსტრიომისა და კრის ჩელიოსის დუელს. ამ პაექრობას ხიბლს ის მატებს, რომ „იხვები" რიცხვმრავლობის გამოყენებაში საუკეთესონი არიან ლიგაში, ხოლო „წითელფრთიანები" უმცირესობაში ყველაზე უკეთ იცავენ თავს. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ანაჰაიმს კარიასა და სელიანეს გარდა გოლეადორი არ ჰყავს და თუ დეტროიტის ცბიერი და გონიერი მწვრთნელი ბოუმენი თავიდანვე „ალაგმავს" ამ დუეტს, „იხვები" განწირულნი არიან. მით უმეტეს, რომ „წითელფრთიანთა" კარის დარაჯი კრის ოსგუდი შარშანდელივით მოედნის ცენტრიდან აღარ უშვებს გოლებს.

**პროგნოზი:** დეტროიტი საქმეს მე-7 მატჩამდე არ მიიყვანს და 4:2 მოიგებს.

### ფინიქსი (4) — სენტ ლუისი (5)

1998-99 +1=1-2
**პლეი ოფში სენტ ლუისმა ერთადერთი სერია მოიგო (1982).**

კიდევ კარგი, რომ ფინიქსმა „დედლაინზე" რობერტ რაიხელი შეიძინა, თორემ საპლეიოფოდ არც ერთი გონიერი გამთამაშებელი არ შერჩებოდა — ჩემპიონატის ერთ-ერთ ბოლო თამაშში ხომ ჯერემი რენიკი დაუშავდა. ისიც საკითხავია, როგორ შეუთამაშდება რაიხელი გუნდის მთავარ სნაიპერ კეიტ ტკაჩუკს. საამისოდ მათ ძალიან ცოტა დრო ჰქონდათ — მხოლოდ ერთი მატჩი. „ბლუზმენთა" შემადგენლობაც გასათვალისწინებელია — საკმარისია, დავასახელოთ პიერ ტარჯონი, კრის პრონგერი, ელ მაკინისი და 22 წლის ამომავალი ვარსკვლავი პავოლ დემიტრა (37+52).

ეს ყველაფერი, ჩემპიონატის მეორე ნახევარში ფინიქსის არცთუ დამაჯერებელ თამაშთან ერთად, ზრდის სენტ ლუისის შანსებს.

**პროგნოზი:** სენტ ლუისი 4:3 მოიგებს.

# ლიგის ხვავი და ბიჭების ბარაქა

**18 აპრილს ნჰლ-ის მორიგი ჩემპიონატი კი დასრულდა, მაგრამ ჰოკეის გულშემატკივრები, ალბათ, კიდევ დიდხანს იდავებენ იმაზე, ვინ არის საუკეთესო გოლეადორი, პლეიმეიკერი, ან ვინ იყო თავისი გუნდისთვის ყველაზე სარგებლიანი. თუმცა ყოველივე ამას უკეთ იტყვის სტატისტიკა, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ.**

### საუკეთესო ბომბარდირი

იარომირ იაგრი (პიტსბურგი) 127 (44+83) ქულა

ტეემუ სელიანე 107 (47+60); პოლ კარია (ორივე ანაჰაიმი) 101 (39+62); პეტერ ფორსბერგი 97 (30+67); ჯო საკიკი (ორივე კოლორადო) 96 (41+55); ალექსეი იაშინი (ოტავა) 94 (44+50); ერიკ ლინდროსი (ფილადელფია) და ტეო ფლერი (კოლორადო) 93 (40+53); ჯონ ლეკლერი (ფილადელფია) 90 (43+47); პავოლ დემიტრა (სენტ ლუისი) 89 (37+52); მარტინ სტრაკა (პიტსბურგი) 83 (35+48); მატს სუნდინი (ტორონტო) 83 (31+52)

### საუკეთესო სნაიპერი

სელიანე — 47 გოლი

იაშინი, იაგრი და ამონტე 44; ლეკლერი 43; საკიკი 41; ფლერი, ლინდროსი და მიროსლავ შატანი (ბუფალო) 40; კარია და ლუკ რობიტაილი (ლოს ანჯელესი) 39

### საუკეთესო ასისტენტი

იაგრი 83 პასი

ფორსბერგი 67; კარია 62; სელიანე 60; საკიკი 55; უეინ გრეცკი (რეინჯერსი), ლინდროსი, ფლერი და ელისონი 53; სუნდინი და დემიტრა 52; იაშინი და როდ ბრინდამორი (ფილადელფია) 50

### საუკეთესო ახალბედა ბომბარდირი

მილან ჰეიდუკი (კოლორადო) 48 (14+34)

ბრენდან მორისონი (ნიუ ჯერსი) 46 (13+33); კრის დრური (კოლორადო) 44 (20+24); იან ჰრდინა (პიტსბურგი) 42 (13+29); მარკ პერიში (ფლორიდა) 37 (24+13); ბილ მუკალტი (ვანკუვერი) 36 (16+0); მარიან ჰოსა (ოტავა) 30 (15+15); ალექსანდრ კოროლიუკი (სან ხოსე) 30 (12+18); ვენსან ლეკავალიე (ტამპა) 28 (13+15); ვადიმ შარიფიანოვი (ნიუ ჯერსი) 27 (11+16)

### საუკეთესო ბომბარდირი-მცველი

ელ მაკინისი (სენტ ლუისი) 62 (20+42)

ნიკლას ლიდსტრიომი (დეტროიტი) 57 (14+43); რეი ბურკი (ბოსტონი) 57 (10+47); ფრედრიკ ოლაუსონი (ანაჰაიმი) 56 (16+40); ბრაიან ლიჩი (რეინჯერსი) 55 (13+42); ფილ ჰაუსლი (კალგარი) 54 (11+43); ლარი მერფი (დეტროიტი) 52 (10+42); ერიკ დეჟარდენი (ფილადელფია) 51 (15+36); სერგეი ზუბოვი (დალასი) 51 (10+41); ბორის მირონოვი (ჩიკაგო) 49 (11+38)

*გოლები რიცხვმრავლობაში:* სელიანე 25; იაშინი 19; ადრიან ოკუანი (ვანკუვერი) 18; ლეკლერი 16; ბრეტ ჰალი (დალასი); მარკუს ნესლუნდი (ვანკუვერი) და პეტრ სიკორა (ნიუ ჯერსი) 15

*გოლები უმცირესობაში:* საკიკი, სკოტ პელერინი (სენტ ლუისი) და ბრაიან როლსტონი (ნიუ ჯერსი) 5; მოდანო, სტრაკა, მაგნუს არვედსონი (ოტავა) და რადეკ დვორჟაკი (ფლორიდა) 4

*გამარჯვების გოლები:* ჰალი 11; დემიტრა 10; ჯო ნიუინდაიკი (დალასი); ბობი ჰოლიკი (ნიუ ჯერსი), სერგეი სამსონოვი (ბოსტონი), ამონტე, კლოდ ლემიე (კოლორადო) და მაიკლ პეკა (ბუფალო) 8

*დარტყმები:* კარია 429; იაგრი 343; იაშინი 337; მაკინისი 314; ფლერი 301

*ნაყოფიერების კოეფიციენტი:* ალექსანდრ კარპოვცევი (ტორონტო)+39; ლეკლერი +36; ლეკლერი +35; არვედსონი და მაკინისი +33

*საჯარიმო წუთები:* რობ რეი (ბუფალო) 261; ჯეფ ოჯერსი (კოლორადო) 259; პიტერ უორელი (ფლორიდა) 258; პატრიკ კოტი (ნეშვილი) 242; კშიშტოფ ოლივა (ნიუ ჯერსი) 240

### მეკარეები

**დარტყმების მოგერიება**

დომინიკ ჰაშეკი (ბუფალო) 93,7%; ბაირონ დაფო (ბოსტონი) 92,6; რონ ტაგნატი (ოტავა) 92,5; არტურ ირბე (კაროლინა) და ნიკოლაი ხაბიბულინი (ფინიქსი) 92,3; გი ებერი (ანაჰაიმი) 92,2

**შატაუტები**

დაფო 10; ჰაშეკი 9; ხაბიბულინი 8; ირბე, ჯონ ვანბისბრუკი (ფილადელფია), გარტ სნოუ (ვანკუვერი) და ებერი 6

**საშუალოდ ერთ თამაშში გაშვებული გოლები**

ტაგნატი 1,79; ჰაშეკი 1,87; ედ ბელფორი (დალასი) 1,98; დაფო 2,00; ხაბიბულინი 2,13

**სამველ ღარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი
საპასუხო მატჩები. 21 აპრილი

CHAMPIONS LEAGUE

**ბაიერნი 1:0 დინამო (3:3)**

1:0 ბასლერი (35)

ბაიერნი: კანი, მათეუსი, ლინკე, კუფური, ბაბელი, იერემისი, ეფემბერგი, ტარნატი (ფინკი 84), ციკლერი (სალიჰამიჯიჩი 76), იანკერი (დაეი 76), ბასლერი

დინამო: შოვკოვსკი, ლუჟნი, გოლოვკო, ვაშჩუკი, კალაძე, გუსინი (გუსინი 81), ხაცკევიჩი, ბელკევიჩი, კოსოვსკი, შევჩენკო, რებროვი

**იუვენტუსი 2:3 მანჩესტერი (1:1)**

1:0 ინძაგი (6), 2:0 ინძაგი (11), 2:1 კინი (24), 2:2 იორკი (35); 2:3 კოული (84)

იუვენტუსი: პერუცი, ბირინდელი (ამორუზო 46), ფერარა, იულიანო (მონტერო 46), პესოტო, კონტე, დეშამპი, დავიდსი, დი ლივიო (ფონსეკა 79), ზიდანი, ინძაგი

მანჩესტერი: შმაიხელი, ნევილი, იონსენი, სტამი, ირვინი, ბექემი, კინი, ბათი, ბლო ჩი (ბლომკვისტი 68), იორკი, კოული

### ინგლისი

გადადებული მატჩი

**ლივერპული 0:1 ლესტერი**

0:1 მარშალი (89)

**შეფილდ უენსდეი 1:1 ნიუკასლი**

0:1 შირერი (44), 1:1 კოტი (54)

### ჰოლანდია

გადადებული მატჩი

**აიაქსი 3:0 ნაიმეგენი**

1:0 ვამბერტო (24), 2:0 გრონკიაერი (26), 3:0 ვამბერტო (80)

### შვედეთი

II ტური

**ჰამარბი 2:1 ჰელსინბორგი**

### რუსეთი

**სპარტაკი 0:1 ტორპედო**

0:1 დურნევი (68)

თასის ნახევარფინალი

**ზენიტი 1:0 ცსკა**

1:0 პოპოვიჩი (77)

**როტორი 2:2 ძ.დ. (8:9პენ) დინამო**

1:0 ზერნოვი (13), 1:1 გუსევი (28), 1:2 კლუევი (50), 2:2 ზუბკო (55)

### მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

ნახევარფინალი

**მალი 1:3 ესპანეთი**

0:1, 02 ვარელა (2, 26), 1:2 დისა (52), 1:3 ხავი (90)

**ურუგვაი 1:2 იაპონია**

0:1 ტაკაჰარა (23), 1:1 ჩევანტონი (24), 1:2 ნაგაი (35)



იუვენტუსი — მანჩესტერი 2:3. არეულობა პერუცის კართან. წამიც და კინის დარტყმული ბურთი კარში შეფრინდება



REUTERS კაიეტეურის ფოლსიდან



## მოკრიკეტენი კეტერმა დაატკბო

ჩანჩქერთან ჩაცუცქულან: მარცხნივ რომაა, ავსტრალიელ მოკრიკეტეთა კაპიტანი სტივ ვოაა, გვერდს კი გლენ მაკგრატი უმშვენებს. ამ ორი ვაჟკაცისთვის უცხო არ არის ველური ბუნებით ტკბობა, რახანლა მწვანე ალავის შვილები არიან.

ჩანჩქერები კი უმაღლესია მსოფლიოში, წყალი 741 ფუტის სიმაღლიდან მოსჩქეფს, რაც ხუთჯერ მეტია, ვიდრე განთქმული ნიაგარის ვარდნილობა. ოღონდ, ეგ არის, რომ ნიაგარა ჩანჩქერთა ერთობაა. ეს კი, გაიანის უმთავრესი ღირშესანიშნაობაა, კეტერი რომ ჰქვია და მარტოხელაა.

ოზები კი ტკბებიან კეტერის ხმაურობითა და ხედით, თუმცაღა მალევე უნდა მიატოვონ აქაურობა და ამ პატარა ქვეყნის დედაქალაქ ჯორჯტაუნისკენ უნდა გასწიონ, რათა მეხუთე ერთდღიან მატჩში უნდა შეერკინონ ვესტ ინდოეთის ნაკრებს. თამაში მეხუთეა, ანგარიში — 2:2.

## მუშის შრომა დაფასდა

რუსეთის ჰოკეის გამოჩენილი და თავისებური ვარსკვლავი ალექსანდრ მალცევი ნახევარი საუკუნისა მოყრილა. ლუჟნიკის ყინულზე მის მორიგ გამოჩენას ხალხი ტაშითა და თაიგულებით შეეგება. მუშურ ქალაქ პენზაში გაზრდილმა და იქაურ „დიზელისტში" მოთამაშე ჭაბუკმა მალცევმა თავისი ვარსკვლავური კარიერა მოსკოვის „დინამოში" გაატარა და თამაშის ნატიფი და ინტელექტუალური მანერით ბევრს შეაყვარა თავი. თავმდაბალმა და უთქმელმა მალცევმა სათამაშო კარიერის გასრულების შემდეგ ღირსეული სამუშაო ვერ იშოვნა და პროლეტართა რიგებს შეერთებული, მრავალგზის მსოფლიოს ჩემპიონი გაჭირვებაში ჩავარდა. მაგრამ რუსეთის ჰოკეის მესვეურებმა გაიხსენეს და ვეტერანთა ნაკრების მწვრთნელობა ჩააბარეს. ასე რომ, ამაგმა გზა არ დაკარგა.



REUTERS მოსკოვიდან

**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი პაპაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29